ცესკო უკვდავია A2

შევარდნაძეს მხოლოდ ხალხის ეშინია A2

ხელისუფლების პასუხი - მანიფესტანტთა იგნორირება! A2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 4 ივნისი, 2003 წელი. №151 (363)

ფასი 50 თეთრი

# ოპოზიცია გაერთიანდა

## გუშინდელი აქციის მთავარი შედეგი, რომელმაც ხელისუფლება შეაშფოთა

ეკო ბესელია, ფოტო

*ხელებგადაჭდობილი ოპოზიცია ხელისუფლებისთვის მთავარ თავსატეხად იქცა.*

სოფო ბუკია
ლენა მიქაძე

"რა ხდება აქ?"

"ჭურში ხომ არ ბრძანდებოდით, ქალბატონო? ყური მიადეთ მიწას და გაიგონებთ, არ გესმით, რევოლუცია მოდის."

"რა ვიცი, კაცო, ამათი რევოლუცია. თავის ტკივილები მაქვს და "პირამიდაში" დავდივარ, აქვეა და იმიტომ გამოვიარე..."

"დარჩი, ბებო, წაიკარი თავზე ჩვენი ლენტი და გაგივლის თავის ტკივილი," – დაუწუნეს მკურნალობის კურსი "პირამიდიდან" მომავალ ბებოს თავზე "კმარაწაკრულმა" სტუდენტებმა.

მართლა ჭურში იჯდა, ალბათ, ის ქალბატონი, თორემ, ღამის ერთი თვეა, ოპოზიცია 3 ივნისისთვის ემზადება.

ზაფხულის მესამე დღე ხელისუფლების კალენდარშიც აშკარად განსხვავებული ფერის მელნით შემოხაზეს. ამ აქციის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო მინისტრი წინა დღით ოპოზიციას არ მოშორებია, თუმცა მოლაპარაკებები, ამჯერადაც, უშედეგო გამოდგა.

"ახალი მემარჯვენეების", "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ქალაქის სხვადასხვა მხარეს დაფანტულმა აქტივისტებმა სტრატეგიული პოზიცია – პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია გუშინ დილის თერთმეტი საათისთვის დაიკავეს. აქვე იყვნენ "სახალხო პარტიისა" და "ტრადიციონალისტების" წარმომადგენლებიც, თუმცა, ფაქტია, რომ აქტიურობით არც დაბლა მდგარ ახალგაზრდა აქტივისტებს და არც შედარებით მაღლა შემდგარ "სახალხოელებს", უფრო მეტად კი "ტრადიციონალისტებს", თავი დიდად არ გამოუდიათ...

სააკაშვილის მიერ პოპულიზებულ ხუთჯვრიან დროშებთან ერთად, რუსთაველის გამზირზე "დემოკრატების" ლიმონისფერი ალამი და "ახლების" ემბლემით დამშვენებული ბაირაღები აფრიალდა.

ლოზუნგი ერთადერთი გახლდათ: გადადგეს ცენტრალური საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობით! შეიქმნას სამართლიანი საარჩევნო კოდექსი!

თავდაპირველად მომიტინგეების ყურთასმენას ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები ატკბობდნენ.

**"ჩვენ არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების საშუალება, ეს ჩვენი ღირსების საქმეა! სამართლიან არჩევნებს გაუმარ...ჯოს!"** – გაამხნევა მხარდამჭერები ზურაბ ჟვანიამ.

მთელი დღის განმავლობაში მომიტინგე პარლამენტარები საკმაოდ რთულ რეჟიმში მუშაობდნენ: დროდადრო, ისინი პარლამენტის სხდომაზე ჩნდებოდნენ, შემდეგ კი, იქიდან გამოტანილი "ცხელ-ცხელი" ამბებით წვიმისგან გალუმპული მომიტინგეების "გათბობას" ცდილობდნენ.

ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხვა წევრების გადადგომის ამბავი აქციის მონაწილეებს მიხეილ სააკაშვილმა ახარა, რისთვისაც მქუხარე ოვაციები დაიმსახურა.

**"ცესკო, ფაქტობრივად, დაშლილია და ეს თქვენი დამსახურებაა. თუ ერთად ვიქნებით, ჩვენ კიდევ უფრო მეტს გავაკეთებინებთ ამ უქნარა ხელისუფლებას,"** – განაცხადა სააკაშვილმა.

მომიტინგეთა რაოდენობა გუშინდელი ცვალებადი ამინდის შესაბამისად მერყეობდა. კოკისპირული წვიმის დროს, კეთილი მაგალითის მისაცემად, სააკაშვილი-ჟვანია-გამყრელიძე ხალხის მასებში გავიდნენ. სააკაშვილმა ავტოგრაფიც კი ჩამოარიგა და ხალხს გამძლეობისკენ მოუწოდა. **"მთელი ღამე ლოცულობდა, ალბათ, ხაზარაძე – ნეტავ, ხვალ წვიმა იყოსო,"** – სტუდენტმა შუბლზე გაკრული საფირმო წარწერით - "კმარა" - "მოქალაქეთა კავშირის" ყველაზე ცნობილი სახე ჯადოქრობაშიც კი დაადანაშაულა და გააგრძელა მინი-პლაკატების დარიგება, სადაც სახელისუფლებო ბლოკის ყველა ლიდერი უნიტაზიდან იმზირება, პლაკატს ამშვენებს წარწერა - "ბლოკი უნიტაზი".

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვოლიტიკა

### პოლიტიკურმა მანქანებმა სიჩქარეს მოუმატეს

ქართულ პოლიტიკაში დღეს შექმნილი მდგომარეობა ძალიან ჰგავს ამერიკული ბოევიკების ბანალურ სიუჟეტს: სახელისუფლებო და ოპოზიციური "მანქანები" დიდი სისწრაფით მოძრაობენ საპირისპირო მიმართულებით, ორივე იმედოვნებს, რომ პირველად მოწინააღმდეგეს უმტყუნებს ნერვები და გზიდან გადაუხვევს... "ქართულ შეჯახებამდე" თითქმის აღარაფერი რჩება, ცესკო-სთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი ძალა კი კიდევ უფრო უმატებს სიჩქარეს...

A2

## ეკონომიკა

### ექსპანსია საქართველოს ენერგოსექტორში

გუშინ "24 საათმა", "საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაციის" სახელით, საინტერესო ინფორმაციის შემცველი წერილი მიიღო...

A4

## უცხოეთი

### 4 ივნისი - გადამწყვეტი დღე ახლო აღმოსავლეთისათვის

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ეგვიპტის კურორტ შარმ-ელ-შეიხში ჩავიდა, სადაც თავის ეგვიპტელ კოლეგას ჰოსნი მუბარაქს შეხვდა. აქედან, თეთრი სახლის მეთაური იორდანიაში გაემგზავრება, სადაც დაპირისპირებული მხარეების - ისრაელის და პალესტინის პრემიერ-მინისტრებთან გამართავს მოლაპარაკებებს.

A5

## საზოგადოება

### ბათუმში დაკარგულ 300 ათას დოლარს მეზღვაურები დღემდე ეძებენ

საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირი 3 წლის წინათ ბათუმში დაკარგულ 300 ათას დოლარს დღემდე ამაოდ ეძებს. მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მეზღვაურთათვის ინტერკლუბის ასაშენებლად გადარიცხული ეს თანხა აჭარის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა "ლიბერტი-ბანკმა" უკვალოდ გააქრო. საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირი აჭარის ხელმძღვანელობასა და ეროვნულ ბანკს უშედეგოდ სთხოვს დახმარებას.

A6

## სამართალი

### „ნორდ-ოსტში„ შეჭრილ ტერორისტთა საქმე შეწყდა

მოსკოვის პროკურატურამ, ბრალდებულთა გარდაცვალების მოტივით, შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 24 |
| ქუთაისი | 22 |
| ბათუმი | 19 |
| სოხუმი | 18 |
| ფოთი | 19 |
| თელავი | 22 |
| ზუგდიდი | 21 |
| გორი | 20 |
| ახმეტა | 22 |
| ჭიათურა | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1450 |
| ევრო | 2.5298 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5159 |
| რუბლი | 0.0701 |

## კონტრაბანდული ავტომობილების შემოყვანას საგზაო პოლიციელები უწყობენ ხელს

*სამართალდამცველ ორგანოებში, კარგა ხანია, არსებობს ეჭვი, რომ იმერეთის რეგიონში შემოსულ ავტომობილთა დიდი ნაწილი კონტრაბანდულია. მიუხედავად ამისა, დღემდე ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. ჩვენი ინფორმაციით, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ კონტრაბანდული ავტომობილებით სარგებლობაზე, თავად სამართალდამცველი მაღალჩინოსნებიც არ ამბობენ უარს.*

ბექა სისაური
ქუთაისი

იმერეთის პოლიციის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება, კონტრაბანდული ავტომობილების კვალზე მას შემდეგ გავიდა, რაც "კანონიერი ქურდების" ქონებრივი მდგომარეობის ფაქტების გადამოწმებას შეუდგა. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო წესების დარღვევით შემოყვანილი ავტომობილების "გათეთრების" სქემა მარტივია და მასში მთავარი როლი საგზაო პოლიციას ეკუთვნის. ავტომობილზე, რომლის შემოყვანაც არც საზღვარზე და არც საბაჟოზე რეგისტრირებული არ არის, საგზაო პოლიციაში მინდობილობას ან სხვა საჭირო დოკუმენტაციას ყოველგვარი პრობლემის გარეშე გასცემენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

## საქართველოს ევროსაბჭოსა და სავალუტო ფონდისგან სანქციები ელის

*თუ საქართველოს პარლამენტი ამ კვირაშიც არ დაამტკიცებს კანონპროექტს "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ", ქვეყანას ევროსაბჭოსგან უმძიმესი სანქციები და FATF-ის შავ სიაში მოხვედრა ემუქრება. ივნისის ბოლოს კი, თბილისს სავალუტო ფონდის მისია ეწვევა, რომელიც მთავრობისაგან რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს მოითხოვს. ფონდის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ამ კანონის მიღება გახლდათ.*

სოფო კვინტრაძე

კუკის კუნძულები, ეგვიპტე, გვატემალა, ინდონეზია, ბირმა, ნაურუ, ნიგერია, ფილიპინები და უკრაინა ის ქვეყნებია, რომლებიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციამ (FATF) თავის შავ სიაში შეიყვანა. უკრაინა ამ სიაში სულ ახლახან მოხვდა. მის მიმართ ამგვარი რადიკალური ზომები FATF-მა მას შემდეგ გაატარა, რაც უკრაინის მიერ მიღებული, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისი არ აღმოჩნდა. საქართველოში კი სიტუაცია უფრო მძიმეა. ქვეყნის პარლამენტმა, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთგზის მოთხოვნისა, "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონის მიღება ჯერ კიდევ ვერ მოახერხა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ვუტინი ისევ თავისას აგრძელებს

შოთა უტიაშვილი

"ჩვენ ვთანამშრომლობთ ირანთან და მომავალშიც გავაგრძელებთ მასთან თანამშრომლობას," – ეს განცხადება პრეზიდენტმა პუტინმა ევიანში, დიდი რვიანის სამიტის ბოლო დღეს, პრეზიდენტ ბუშის ეგვიპტეში გამგზავრების შემდეგ გააკეთა. არადა, ორი დღით ადრე, პეტერბურგში ამერიკის პრეზიდენტთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე პუტინი ამბობდა, რომ "ამ საკითხის გარშემო მხარეების (რუსეთისა და ამერიკის) პოზიციები გაცილებით უფრო ახლოსაა, ვიდრე ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს". "ჩვენ ამ საკითხზე ურთიერთგაგებას მივაღწიეთ," – განაცხადა მან ბოლოს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოტორეპორტაჟი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# საქართველოს გარიცხვის აუცილებლობა არ დადგება

*მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტის წინ ოპოზიციური ძალები, ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, საპროტესტო აქციას იწყებდნენ, ამ აქციიდან ასიოდ მეტრში, სასტუმრო "მერიოტში" ევროსაბჭოს ექსპერტები ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ელჩებთან, ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელთან და ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან პლამენ ნიკოლოვთან შეხვედრას მართავდნენ.*

თამარ ხორბალაძე

მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება, საარჩევნო კოდექსზე მუშაობა, ამომრჩეველთა სიების განახლება, წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარება და მედიის თავისუფლება – ეს გახლავთ საკითხები, რომლებსაც სამდღიანი ვიზიტის დროს შეისწავლიან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოზე მონიტორინგის თანამომხსენებლები - მათიას იორში (უნგრეთი; ლიბერალური, დემოკრატიული და რეფორმების ჯგუფი) და ევგენი კირილოვი (ბულგარეთი, სოციალისტთა ჯგუფი). ისინი, ასევე, საქართველოს მიერ ევროსაბჭოში გაწევრიანებისას ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას შეაფასებენ.

საინტერესოა, რომ საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, ექსპერტებს დამტკიცებული უნდა დახვედროდათ ახალი საარჩევნო კოდექსი, რაც ცხადია, არ შესრულებულა.

გუშინდელი შეხვედრების მთავარი თემა, არსებული ინფორმაციით, სწორედ საარჩევნო კანონი და არჩევნებისთვის მზადება გახლდათ.

დილითვე, "მერიოტში" გამართული შეხვედრის შემდეგ, ევროსაბჭოს ექსპერტებმა კომენტარი გააკეთეს მიმდინარე საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით:

ევგენი კირილოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **"სიტყვა "დემოკრატია" საკუთარი სურვილის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას ნიშნავს, თუმცა მთელ პოლიტიკურ სპექტრს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება იმაზე, რომ საქართველოში არ იყოს ძალადობა და მიღებულ იქნას დემოკრატიული საარჩევნო კანონი."**

ამასთან, მისი თქმით, მოხსენებაში, რომელსაც ევროსაბჭოს წარმომადგენლები სექტემბრისთვის მოამზადებენ, **"აღნიშნული აქციები ასახვას არ ჰპოვებენ, ევროსაბჭო მოუსმენს როგორც ოპოზიციას, ისე – ხელისუფლებას და მოხსენება მაქსიმალურად ობიექტური იქნება."**

გუშინ ევროსაბჭოს ექსპერტები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ, საგანგებო კონსულტაციები მიიღეს პროტესტანტთა ლოზუნგებსა და პლაკატების შინაარსთან დაკავშირებით, დაინტერესდნენ სოროსის ფონდისადმი გამოთქმული მუქარით და, რაც მთავარია, წინასაარჩევნო თემატიკით.

მათიას ეორში და ევგენი კირილოვი გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" და "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებსაც შეხვდნენ, გამართეს შეხვედრები სახალხო დამცველთან, ცესკო-ში და უზენაეს სასამართლოში.

საპარლამენტო ოპოზიციასა და პოზიციასთან, შემდეგ კი სახელმწიფო მინისტრსა და პრეზიდენტთან შეხვედრებს ევროსაბჭოს დელეგაციის წევრები დღეს გეგმავენ. საღამოს კი ჟურნალისტებს საკუთარ შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ.

სხვათა შორის, მათ შთაბეჭდილებებზე არის დამოკიდებული იმ რეზოლუციის ბედი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროსაბჭომ საქართველოსთან დაკავშირებით სექტემბერში უნდა მიღოს.

შეგახსენებთ, რომ მათიას ეორში და ევგენი კირილოვი თებერვლის შუა რიცხვებშიც იმყოფებოდნენ საქართველოში. თებერვლის ვიზიტის შემდეგ, ევროსაბჭოს მომხსენებლებმა საქართველოს შესახებ დაწერილ დასკვნის პროექტში საქართველოში მიმდინარე პროცესები, რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა და არსებული საარჩევნო კანონმდებლობა, ძირითადად, უარყოფითად შეაფასეს.

გუშინ თბილისში მყოფმა ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ევროსაბჭოდან გარიცხვის აუცილებლობა არ დადგება.

# ШЕВАРДНАЫЕС МХОЛОЛОД ХАЛХИС ЕШИНИА

დაძაბული დღის მიუხედავად, გუშინ მიხეილ სააკაშვილმა გამონახა დრო და ევროსაბჭოს მონიტორინგის წევრთა დელეგაცია საკრებულოში სტუმრად მიიღო. დელეგაციის წარმომადგენლები ამზადებენ მოხსენებას საქართველოს შესახებ, თუ რამდენად ასრულებს საქართველო ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს. მოხსენება სექტემბერში წარედგინება ევროსაბჭოს და ამის მიხედვით გადაწყდება, გაირიცხება თუ არა საქართველო ევროსაბჭოდან.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ევროსაბჭოს კომისიის წევრმა ევგენი კირილოვმა მოკლე კომენტარი გააკეთა, მან კონკრეტული პასუხებისაგან თავი შეიკავა და ზოგადად აღნიშნა, რომ ჯერ არ შეუძლია რამე განაცხადოს. **"ჩვენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჯერ არ გვისაუბრია, ამიტომ რამე კონკრეტული დასკვნის გაკეთება ნაადრევია,"** - გვითხრა კირილოვმა და განმარტა, რომ დღეს უფრო კონკრეტულად ისაუბრებს. **"ცალკეული ინფორმაციის მიღების შედეგად, ჩვენ საბოლოო დასკვნას არ ვაკეთებთ,"** - განაცხადა ევროსაბჭოს კომისიის წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქართველოს გარიცხვა ევროსაბჭოდან უკვე თითქმის გადაწყვეტილია: **"ამას ვამბობ ადამიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს გაწევრიანებაში ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში"**. სააკაშვილის თქმით, ის კარგად იცნობს ამ ორგანიზაციას. ამიტომ დარწმუნებულია, რომ, მიუხედავად იმისა, თუ როდის მიიღებს ევროსაბჭო გადაწყვეტილებას საქართველოს შესახებ, იმ საარჩევნო კანონის მიხედვით, რომელიც დღეს არსებობს, ქვეყანას დიდი შანსი აქვს, ევროსაბჭოდან გაირიცხოს. **"შევარდნაძეს არ ეშინია არც ევროსაბჭოსი და არც მამაზეციერის, მას მხოლოდ ხალხის შიში აქვს,"** - აცხადებს სააკაშვილი.

სააკაშვილის ინფორმაციით, ევროსაბჭოს წარმომადგენელთა შეფასება საკმაოდ მკაცრი იქნება. დღეს ისინი პრეზიდენტ შევარდნაძეს შეხვდებიან, რომელსაც სააკაშვილის თქმით, "**კიდევ ერთხელ წაუკითხავენ სახარებას, მაგრამ ამას იგივე შედეგი ექნება, რაც მგლის თავზე სახარების კითხვას".**

*"24 საათი"*

# საკრებულო რუსთაველზე მანიფესტანტების დაკანონებას ცდილობს

ბელა მახარაძე

გუშინ დილით, პარლამენტის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს თავი უფრო მეტად დაცულად რომ ეგრძნოთ, საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა საგანგებოდ მოიწვია საკრებულოს სხდომა, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მისი მოწვევის მთავარი მიზანი იყო დადგენილების მიღება, რომლის მიხედვითაც საკრებულო აქციის მონაწილეებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და მათი მოთხოვნაც სამართლიანად მიაჩნია.

საკრებულოს თავმჯდომარემ იხელმძღვანელა საქართველოს კანონის საქართველოს დედაქალაქის შესახებ I პუნქტის "ო" ქვეპუნქტით და მიიღო დადგენილება: **"დაევალოს თბილისის მთავრობას, უმოკლეს ვადაში გასცეს ნებართვა რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი სახალხო შეკრება-მანიფესტაციის ჩატარებაზე; დადგენილება გასაჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით."**

აღნიშნულ დადგენილებას საკრებულოს წევრების უმრავლესობამ, მათ შორის, "ლეიბორისტებმაც" მხარი დაუჭირეს. დადგენილების მიღება და აქციის დაკანონება საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა იყო.

საკრებულოს დადგენილება განსახილველად გადაეცა თბილისის მერიას, მანამდე კი, დოკუმენტმა სპეციალური ინსტანციები უნდა გაიაროს. ამიტომ გუშინ დადგენილების მიღება, შეიძლება ითქვას, უკვე დაგვიანებული იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომენტარი არ გაუკეთებია თბილისის მერს ვანო ზოდელავას, რომელსაც, წესით, ევალება განიხილოს საკრებულოს დადგენილება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს. როგორც გაირკვა, ზოდელავამ საქმის არსში გარკვევა მოიმიზეზა და ამის გამო, არც საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებაა განხილული და, აქედან გამომდინარე, არც აქციაა სანქცირებული.

გავრცელებული ინფორმაციით, ვანო ზოდელავა კომენტარს, სავარაუდოდ, დღეს გააკეთებს.

# პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას რეგიონებიც გამოეხმაურნენ

**ოზურგეთი.** გუშინ 14 საათზე "ქართველ ტრადიციონალისტთა" პარტიის წევრთა ერთმა ჯგუფმა "მოქალაქეთა კავშირის" გურიის სამხარეო და რაიონული ორგანიზაციის ოფისის წინ გამართა მიტინგი, ხოლო შემდეგ შენობის ფასადიდან ჩამოხსნა სმკ-ს დიდი ლურჯი დროშა. ქართველ ტრადიციონალისტთა გურიის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ექსპარლამენტარმა კოტე ბერიძემ ორი ფრთიანი ლოზუნგი ისროლა: "არც ერთი ხმა გურიიდან სმკ-ს" და "გაერთიანებული ოპოზიცია - სმკ-ს მესაფლავე!". კოტე ბერიძის განცხადებით, დღევანდელი აქცია იყო გამოძახილი თბილისში მიმდინარე ოპოზიციის საპროტესტო აქციებისა.

მიტინგსა და დროშის ჩამოხსნის ფაქტს პარტიის წევრების გარდა რამდენიმე ჟურნალისტი და შემთხვევითი გამვლელი შეესწრო. ყველაფერი კი დამთავრდა იმით, რომ "ტრადიციონალისტთა" ლიდერმა სმკ-ს დროშა ფაქიზად დაკეცა და საკუთარი უცხოური მარკის ავტომობილის საბარგულში საგულდაგულოდ შეინახა. ***"24 საათი"***

**ზუგდიდი.** გუშინ დილიდან "ნაციონალური მოძრაობის" ზუგდიდის ოფისში, დაახლოებით 200-მდე პენსიონერი პარლამენტარ კობა დავითაშვილის ჩასვლას ელოდებოდა. იგი მათ დაჰპირდა, რომ ადვოკატობას გაუწევდა სასამართლოში, სადაც ამ ადამიანებმა კუთვნილი პენსიების დაბრუნება უნდა მოითხოვონ. გუშინ, ნაშუადღევს ზუგდიდის ცენტრში გაიმართა ოპოზიციური პარტიების მიტინგი. **ინტერ-პრესი**

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისში გაიმართა მშვიდობიანი მიტინგი, რომელშიც 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მომიტინგეები ამ აქციით სოლიდარობას უცხადებენ დედაქალაქში, პარლამენტის წინ მიმდინარე მიტინგს. "ახალი მემარჯვენეების", "გაერთიანებული დემოკრატების" და "ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნები, ძირითადად, საარჩევნო კოდექსის კომპრომისული ვარიანტის მიღებას და ცესკო-ს გაუქმებას ეხებოდა. აქცია მშვიდობიან ფორმებში მიმდინარეობდა და მას პოლიციის თანამშრომლები იცავდნენ. **ინტერ-პრესი**

**გურჯაანი.** გუშინ გურჯაანში ცენტრალური გზა გადაიკეტა. ამის მიზეზი იყო საკრებულოს შენობის წინ დაწყებული აქცია, რომელშიც "გაერთიანებული დემოკრატების", "ნაციონალების" და "ახალი მემარჯვენეების" კახეთის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მათ თბილისში მიმდინარე აქციაზე წასვლის ნაცვლად, გადაწყვიტეს რეგიონის მასშტაბით, ქალაქ გურჯაანში ჩაეტარებინათ გაერთიანებული მიტინგი.

აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ადგილობრივი პოლიცია მიტინგის დაშლას შეეცადა. როგორც გურჯაანის პოლიციის უფროსმა თამაზ მაჭავარიანმა განაცხადა, მიტინგი სანქცირებულია, თუმცა ნებართვა მისი ჩატარების შესახებ საკრებულოს შენობის წინ კი არა, მისგან 100 მეტრის მოშორებით არსებულ ადგილზე გაიცა და აქციის მონაწილეებს სწორედ ამ ადგილისკენ გადანაცვლება მოსთხოვეს. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან სატელეფონო საუბარში გოაცება გამოთქვა სახელისუფლებო ფრაქციათა მოქმედების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის არსებული შემადგენლობის დათხოვნის შესახებ საკითხის პარლამენტის დღის წესრიგში შეტანას. ამის შესახებ ჟურნალისტებს ნინო ბურჯანაძემ განუცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა თბილისში სამუშაო ვიზიტად მყოფ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წევრებს თხოვნით მიმართა - საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ევროსაბჭომ დიპლომატიური და ეკონომიკური სანქციები აამოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გაყალბებით ჩატარდება. **ინტერ-პრესი**

# პოლიტიკურმა მანქანებმა სიჩქარეს მოუმატეს

*სახელისუფლებო და ოპოზიციური "მანქანები" დიდი სისწრაფით მოძრაობენ საპირისპირო მიმართულებით.*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

გიორგი ასანიშვილი

*ქართულ პოლიტიკაში დღეს შექმნილი მდგომარეობა ძალიან ჰგავს ამერიკული ბოევიკების ბანალურ სიუჟეტს: სახელისუფლები და ოპოზიციური "მანქანები" დიდი სისწრაფით მოძრაობენ საპირისპირო მიმართულებით, ორივე იმედოვნებს, რომ პირველად მოწინააღმდეგეს უმტყუნებს ნერვები და გზიდან გადაუხვევს... "ქართულ შეჯახებამდე" თითქმის აღარაფერი რჩება, ცესკო-სთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი ძალა კი კიდევ უფრო უმატებს სიჩქარეს...*

გუშინ ხელისუფლება ორჯერ შეცბა და შეშინდა, მაგრამ ორჯერვე გადარჩა. პირველად ის მაშინ გაოცდა, როდესაც დილით პარლამენტის შენობის წინ მანიფესტანტები იხილა. არადა, მმართველი ძალა ხალხის პასიურობაში ღრმად იყო დარწმუნებული, რადგან ფიქრობდა, რომ მოსახლეობაში პროტესტის გამოხატვის სურვილი საბოლოოდ ჩაკვდა. **"ოპოზიციის პროვოკაციულ მოწოდებებს ხალხი არ აჰყვება,"** - სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენელთა ასეთი ვარაუდი, საბოლოო ჯამში, არ გამართლდა - პლენარული სხდომის დაწყება დეპუტატებს რამდენიმე ათასი მომიტინგის აკომპანიმენტის თანხლებით მოუხდათ, რომელიც მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მანიფესტაციით გამოწვეული პირველი ელდა სახელისუფლებო ბანაკს თანდათან გაუნელდა, როდესაც დაინახა, რომ საპროტესტო აქციის მონანილეები გამომწვევად და აგრესიულად სულაც არ იქცეოდნენ. მეტიც, მათმა "მოლხენამ" და იმ ფაქტმა, რომ მიტინგმა გრანდიოზული ღონისძიების ხასიათი ვერ მიიღო, ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა გადააფიქრებინა. **"ცოტაც მოვიცადოთ და თითმოკაკვული ოპოზიცია ჩვენს შეთავაზებებზე წამოვა,"** - პარლამენტის სხდომათა დარბაზის წინ ღიმილით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები.

პროშევარდნაძისტული ბანაკი მეორედ მაშინ შეცბა, როდესაც საღამოს მომიტინგეებმა "დისლოკაციის ადგილი" შეცვალეს და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან კანცელარიის წინ გადაინაცვლეს. "პროტესტი-2", საბოლოოდ, ყოველგვარი ექსცესისა და გართულების გარეშე დასრულდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ბრძოლა მოიგო და ეს უკანასკნელი დღეიდან თეთრ დროშებს გამოფენს. ალბათ, უფრო პირიქით იქნება: დაპირისპირება, სავარაუდოდ, ახალ ფაზაში გადავა და კიდევ უფრო გამწვავდება.

ამ ვარაუდს პარლამენტის თავმჯდომარეც იზიარებს. **"ვინაიდან შეთანხმება არ შედგა, ვითარება უფრო დაიძაბება,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ გუშინდელი პლენარული სხდომის დახურვის წინ.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ "შემტევი ძალის" როლში გუშინ ოპოზიცია გამოდიოდა (აქცია ხომ მათი ორგანიზებული იყო), ისინი უფრო მეტ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდნენ, ვიდრე პროსამთავრობო ბანაკი.

**"არც ერთმა ჩვენთაგანმა დღეს საბედისწერო შეცდომა არ უნდა დაუშვას,"** - ორივე მხარეს აფრთხილებდა "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია.

**"სანამ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება და ცეცხლთან თამაში დაიწყება, ხელისუფლებამ გონს უნდა მოუხმოს და ცესკო-ს გაუქმებაზე დათანხმდეს,"** - ვითარების სერიოზულობას უსვამდა ხაზს მისი თანაპარტიელი ვასილ მაღლაფერიძეც.

ოპოზიციის სიფრთხილე საპარლამენტო უმრავლესობამ ოპონენტების სისუსტედ ჩათვალა და პროვოკაციული განცხადებების გაკეთება დაიწყო.

**"ოპოზიციამ ახალგაზრდებს ოცოცი ლარი დაურიგა, მიტინგზე რომ მოსულიყვნენ,"** - მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა პარლამენტარი ნოდარ ამაღლობელი.

**"ის, რაც პარლამენტის შენობის გარეთ ხდება, სხვა სახელმწიფოს შეკვეთაა და მის ინტერესებს ემსახურება,"** - მიტინგის ორგანიზებაში რუსეთის სპეცსამსახურების კვალი "აღმოაჩინა" გლდანის მაჟორიტარმა დეპუტატმა თამაზ გიორგაძემ.

ხელისუფლების მხარდამჭერთა "მამხილებელი მასალები" ოპოზიციას სასაცილოდ არ ეყო. **"ვინ? მე, გიორგი ბარამიძე ვემსახურები რუსების ინტერესებს და თამაზ გიორგაძე საქართველოს ინტერესების ერთგულია? როგორ არ გრცხვენიათ, ამას რომ ამბობთ! მოღალატეები სახელისუფლებო ბანაკში მოიკითხეთ,"** - ნასროლი კენჭი ხელისუფლების ბანაკში დააბრუნა ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ.

იმაში, რომ ოპოზიციასთან დაპირისპირებაში ხელისუფლებამ გუშინ ფარხმალი არ დაყარა და ამით ცესკო-მ თავისი არსებობა შეინარჩუნა, დიდი "წვლილი" მიუძღვის "აღორძინებას". ბათუმური ალიანსი, ჯემალ გოგიტიძის ხელმძღვანელობით, ოპოზიციის ბორბალში ჯოხის გაჩხირვას გულმოდგინედ ცდილობდა და ეს წარმატებით მოახერხა. მაგრამ საბაბი ხომ იყო საჭირო, რომ "აღორძინებას" ცესკო-ს გაუქმების კანონპროექტის წინააღმდეგ გაელაშქრა? გოგიტიძემ საბაბი მოიფიქრა, თანაც როგორი: მისი თქმით, ცესკო-ს ყველა წევრი "ჟულიკია", "აღორძინების" სამი წარმომადგენლის გამოკლებით, **"ამიტომ,** - მოითხოვდა ბათუმური ალიანსის ლიდერი, - **დადგენილებაში უნდა ჩაიწეროს, რომ ცესკო-ს წევრები დასაჭერები არიან, გარდა ჩვენი წარმომადგენლებისა."**

და მაინც... **"ცესკო-ს გაუქმებისა და მისი ხელახალი დაკომპლექტების წესზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმება სულაც არ არის უტოპია,"** - ოპტიმისტურად იყო განწყობილი გუშინდელი დღის პირველ ნახევარში პარლამენტის თავმჯდომარე, საღამოს კი, სხდომის დახურვის წინ, ნინო ბურჯანაძე იმედწართმეული ჩანდა. თუმცა, პარლამენტის სპიკერი არ არის იმ ყაიდის პოლიტიკოსი, რომელიც თავის ფუნქციაზე იოლად ამბობს უარს. ნინო ბურჯანაძეს, თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, მითუმეტეს ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, მედიატორის ფუნქცია აკისრია. ორი პოლიტიკური მანქანა კი ერთმანეთისკენ მიექანება. "შეასკდებიან" ერთმანეთს, თუ ქართული პოლიტიკური თრილერი ბოლოს მაინც ამერიკული "ჰეფი ენდით" დასრულდება, უახლოესი დღეები გამოაჩენს.

# ცესკო უკვდავია

თამარ მჭედლიშვილი

*როგორც სახელისუფლებო პარტიები ჯერ კიდევ ორი დღის წინ შიშობდნენ, ოპოზიციის მიერ ორგანიზებული გუშინდელი მიტინგი მხოლოდ ცესკო-ს გაუქმების მოთხოვნით არ შემოფარგლულა. პარლამენტის წინ დაწყებულმა აქციამ საღამოს უკვე სახელმწიფო კანცელარიისაკენ გადაინაცვლა. ოპოზიციონერების მოთხოვნაც გამაკცრდა – პარლამენტში უშედეგო კონსულტაციების შემდგომ, ზურაბ ჟვანიამ, მიხეილ სააკაშვილმა და დავით გამყრელიძემ პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. გუშინდელი დღის სხვა მთავარი მოქმედი გმირები - ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები კი, მიმდინარე მოვლენებს შორიდან, უფრო ზუსტად კი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობიდან ადევნებდნენ თვალს.*

აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კომისიის სამმა წევრმა, ე.წ. აკადემიკოსთა ჯგუფმა: ჯუმბერ ლომინაძემ, ნიკოლოზ ვახანიამ და მინდია სალუქვაძემ თანამდებობები დატოვეს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მათ განცხადებები ნასვლის თაობაზე, უკვე რამდენიმე თვეა, დაწერილი ჰქონდათ და მხოლოდ პრეზიდენტის რეზოლუციას ელოდებოდნენ.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მათ ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილა. მით უფრო, რომ ორი მათგანი – ცესკო-ს თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე და ნიკოლოზ ვახანია კომისიაში სწორედ ედუარდ შევარდნაძის მიერ იყვნენ დანიშნულები.

ამის შემდგომ ჯუმბერ ლომინაძე საკმაოდ მოკრძალებულ კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ მზად არის, უპრობლემოდ დატოვოს საკუთარი პოსტი, თუმცა იქვე დასძენს, რომ პირადად იგი, **"როგორც საარჩევნო სისტემის უკვე კარგად მცოდნე ადამიანი, კატეგორიულად წინააღმდეგია, საარჩევნო ადმინისტრაციები პარტიული ნიშნით დაკომპლექტდეს."** თუ რატომ, ამას მინდია სალუქვაძე აკონკრეტებს: **"ათასი გარიგება და ვაჭრობა მიდის პარტიებს შორის... "**

ერთი სიტყვით, დღის პირველ ნახევარში შევარდნაძე ოპოზიციას პირველ, (თანაც, უკვე დიდი ხნის წინ განწირულ) "ბარტყებს" უგდებს. თუმცა, უშედეგოდ – ოპოზიცია არ იშლება და მიტინგი პარლამენტის წინ გრძელდება.

რამდენიმე საათში კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას კიდევ ოთხი წევრი: ხათუნა გოგორიშვილი, შალვა ბებოშვილი, პაატა ჯიბლაძე და ელმირა მესხიშვილი ტოვებენ. ამის მიუხედავად, კომისია იურიდიულად კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას, ვინაიდან მის შემადგენლობაში კვლავ რჩება თერთმეტი წევრი. თანაც, პარლამენტი ისევ ვერ ცვლის საარჩევნო კოდექსს და, შესაბამისად, ცესკო-ს დაკომპლექტების წესს. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, კომისიაში მისთვის გამოყოფილი კვოტა კვლავაც გამოიყენოს და გამოთავისუფლებულ ადგილებზე მისთვის მისაღები ადამიანები დანიშნოს.

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისია არ დატოვეს "აღორძინების" სამმა წევრმა: გივი კომახიძემ, ტარიელ გაგნიძემ და მურმან გორგოშაძემ. იმის მიუხედავად, რომ გუშინ აჭარის საპარლამენტო დეპუტაცია ცალსახად აცხადებდა, რომ **"პარტია მზად არის, საკუთარი წევრები კომისიიდან გამოიწვიოს"**, გუშინდელი დღე ისე გავიდა, რომ "ამღორძინებლებმა" თანამდებობის დატოვების თაობაზე განცხადებები არ დაწერეს.

**"პირადად მე, ჩემი ნებით არსად წასვლას არ ვაპირებ. თუკი პარლამენტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, მაშინ სხვა საქმეა... საარჩევნო ადმინისტრაციების მხრივ ვაკუუმის შექმნა სრულიად დაუშვებელია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები არ გაიმართება. ეს კი სწორედ იმათ აძლევს ხელს, ვინც დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმებას ითხოვს. უფრო კონკრეტულად მაშინ ვისაუბრებ, როცა კომისიიდან წავალ,"** – ეს უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გია ზესაშვილია, რომელიც, ჯუმბერ ლომინაძის გადადგომის შემდგომ, ავტომატურად გახდა ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (სხვათა შორის, გია ზესაშვილს ყველაზე მეტად სწორედ "გაერთიანებული დემოკრატები" და "ნაციონალები" არ სწყალობენ).

ცესკო-ში დარჩენილ წევრებს მხარს უჭერდნენ სამთავრობო ფრაქციები და "აღორძინების" ლიდერები (ზოგი – პირდაპირ, ზოგიც – ირიბად). პარლამენტის წინ მიმდინარე მოვლენებს ისინი "სიბინძურედ, შოუდ და დადგმულ სპექტაკლად" ნათლავდნენ. მართალია, "აღორძინება" სახელისუფლებო ფრაქციებისაგან განსხვავებულ განცხადებებს აკეთებდა, თუმცა, საერთო ჯამში, აგრესიის ვექტორი ოპოზიციური პარტიებისაკენ იყო მიმართული.

ჯემალ გოგიტიძის განცხადებით, ყოველივე ამის მიღმა ხელისუფლების ნამდვილი სახე იმალებოდა. **"მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ლენინი, პარტია და კომკავშირი ერთმანეთისგან იყვნენ განუყოფელი, სწორედ ისევე არიან ერთად ჟვანია, სააკაშვილი და შევარდნაძე. ამ ყველაფრის უკან დგას შევარდნაძე, თავის სადირიჟორო პულტით და მართავს მთელ ამ პროცესებს. მას სჭირდება ოპოზიციური ნიშის დაკავება "აღორძინების" წინააღმდეგ. ეს არის და ეს. მართალია, დღეს მას ეს გამოუვიდა, მაგრამ შემოდგომაზე ყველა მიხვდება, თუ რეალურად რა ხდება. ეს დადგმული სპექტაკლია. თუ ვინმეა შევარდნაძის მოწინააღმდეგე და უფლება აქვს, მისი გადაყენება მოითხოვოს, ეს "აღორძინებაა". თუკი ვინმემ გააყალბა არჩევნები 1999 წელს, ეს შევარდნაძე, ჟვანია და სააკაშვილია. სწორედ მათი წარმომადგენლები არიან ცესკო-ში და მათ 10 წელი ციხეც ეკუთვნით,"** - აცხადებდა გოგიტიძე.

ტრადიციულად, თავშეკავებული იყო წარსულში ოპოზიციონერი ირაკლი ბათიაშვილი, მაგრამ მისი შეფასება მრავლისმთქმელი იყო: **"მიტინგების გამართვა ბუნებრივი მოვლენაა. მე, პირადად, ეს არ მიკვირს. მაგრამ დაუშვებელია, რომ იგი ვითარების პარალიზებისთვის გამოიყენონ. ეს ყოვლად დაუშვებელია. ხალხი პარტიებს შორის ურთიერთობის გასარკვევად არ უნდა გამოიყენონ,"** - განუცხადა მან "24 საათს".

მისგან განსხვავებით, სიტყვაუხვი აღმოჩნდა პოეტი-პარლამენტარი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა მიტინგზე "ტაკიმასხარად" მონათლა: **"მე შეხების წერტილი არ მაქვს არც გარე, არც პარლამენტში არსებულ სიბინძურესთან. მე პრეზიდენტის მომხრე ვარ. არავისთან არ შევმძვრალვარ ჩემს ცხოვრებაში. ის, რაც დღეს ხდება, უბრალოდ, უხერხულია. ამ პოლიტიკურმა ლიდერებმა განირეს სამშობლო და ის ადამიანები, ვინც ქუჩაში გამოიყვანეს. მაგრამ პრეზიდენტს ეყო ჭკუა და აქ არ მოხდა დიდი შეხლა-შემოხლა. როგორც კი პარლამენტის წინ მოვიდნენ "ნაციონალები", პოლიციამ ბრძანება გასცა: გზა დაუთმეთო. ეს ძალიან გამეხარდა. ამათ ეგონათ, რომ მოხდებოდა არეულობა და დაიღვრებოდა სისხლი. უფრო მეტიც: მათ სწორედ ეს უნდოდათ. ბევრი პრეზიდენტს საყვედურობს, ეს ხალხი შენი გაზრდილიაო. ამან ერთი გამოთქმა გამახსენა: ობოლს უთხრეს, რომ გაიზრდები, პირველად ვის გააუპატიურებო, - ვინც გამზარდაო. ამის თქმა მხოლოდ ჩვენთან არის შესაძლებელი. ეს ჯგუფიც ამას აკეთებს. იმ კაცმა ესენი გაზარდა, ახლა კი წინ აღუდგნენ. მე უსამართლობას ვერ ვიტან. ნახავთ, რომ ისინი ვერ გაიყოფენ პრეზიდენტის სკამს. ყველას პრეზიდენტობა უნდა. დაჭამენ ერთმანეთს, აქ მოხდება საშინელება, უბედურება... მართალია, პოლიტიკურ ნიუანსებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ჭეშმარიტებას ვგრძნობ და ბოლოს იქ ვდგები, სადაც ჭეშმარიტებაა...",** – ცხარობდა პოეტი.

ასე რომ, გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისია გადარჩა. ამაში ლომის წილი, ბუნებრივია, სახელისუფლებო ფრაქციებსა და, მათთან ერთად, "აღორძინების" წარმომადგენლებს მიუძღვით, ანუ მათ, ვინც ცესკო-ს "ჟულიკობასა" და კორუმპირებულობაზე ყველაზე მეტს ყვიროდნენ.

# ხელისუფლების პასუხი - მანიფესტანტთა იგნორირება!

*საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება დუმილით ცდილობს ოპოზიციური აქტივობის იგნორირებას. საპროტესტო აქციის სინქრონულად, 11 საათისთვის დაიწყო მუშაობა ქვეკომისიამ, რომელიც თავის დროზე საარჩევნო კოდექსის მოსამზადებლად კანცელარიაში შეიქმნა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მარიამ ცაცანაშვილის ხელმძღვანელობით. ქვეკომისიამ თავი მოუყარა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და დამსწრე საზოგადოებას საარჩევნო სიების შესაქმნელად გაწეული სამუშაოს შედეგები გააცნო.*

თამარ ხორბალაძე

**"წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 3 270 000 ამომრჩეველია,"** - აცხადებს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი და თან განმარტავს, რომ **"საარჩევნო სისტემის უზრუნველსაყოფად შექმნილი ქვეკომისიის გეგმით, ხმის უფლების მქონე პირთა აღრიცხვის

# ოპოზიცია გაერთიანდა

პირველი გვერდიდან

გამოცდილმა მომიტინგე ზვიად ძიძიგურმა ხალხი დაამშვიდა: **"წვიმის ნუ გეშინიათ, ახლავე ცელოფნებს მოიტანენ და არ დასველდებით."** "ცელოფნების" პარალელურად, მომიტინგეებს "ზუმბასა" და "უცნობის" მონაწილეობით კონცერტს შეჰპირდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, შუადღისთვის პარლამენტის წინ განლაგებულ მომიტინგეთა რიგები საგრძნობლად შეთხელდა.

სწორედ შუადღისთვის ტრიბუნაზე მიხეილ სააკაშვილი ადის და გუშინდელ აქციაზე ახალი ლოზუნგი ჩნდება: **"თუ დღეს ხელისუფლება არ წავა დათმობებზე და სამართლიან საარჩევნო კოდექსს არ მიიღებს, ხვალიდან მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყება საერთო სახალხო მოძრაობა, სადაც ძირითადი მოთხოვნა უკვე პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა იქნება."** საკრებულოს თავმჯდომარის მიერ აჟღერებული ეს ლოზუნგი პარლამენტის წინ შეკრებილთათვის, როგორც ჩანს, ყველაზე მისაღები გამოდგა. პრეზიდენტის გადადგომაზე ალაპარაკებამ მომიტინგეთა რიგები ისევ გაამრავლა, ტაშიც უფრო მქუხარე გახდა. **"გადადექი, გადადექი, წადი, წადი!"** – სკანდირებდნენ მომიტინგეები. **"შენ გენაცვალე, ასე კაცო, ამით დაგეწყოთ,"** – გაუხარდა ნაყინის გამყიდველს, რომელიც მრავალრიცხოვანი მუშტრის მიუხედავად, მიტინგზე გამომსვლელებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ.

ყველაზე ხშირად ოპოზიციური ტრიბუნებიდან ვიტალი ხაზარაძეს, ირინა სარიშვილს, ვახტანგ რჩეულიშვილსა და ქვემო ქართლის გუბერნატორ "ლევან-ფაშას" ახსენებდნენ.

დაახლოებით ხუთი საათისთვის, პარლამენტის შენობის წინ, სახელდახელოდ დამონტაჟებულ ტრიბუნასთან, ოპოზიციური პარტიების ლიდერების გვერდით, პარლამენტის თავმჯდომარე ჩნდება და ხალხს სრულ მხარდაჭერას ჰპირდება. **"მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ პარლამენტმა ისეთი საარჩევნო კანონი მიიღოს, რომელიც თითოეული თქვენთაგანის ხმას მაქსიმალურად დაიცავს,"** – აცხადებს ნინო ბურჯანაძე. პარლამენტის თავმჯდომარის გამოჩენას ხალხი განსაკუთრებული ოვაციებით შეხვდა.

**"ქალბატონი ნინო ჩვენი ერთადერთი იმედია,"** – დაიყვირა სააკაშვილმა.

ფართო განხილვის თემად იქცა უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას მიერ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ გაკეთებული განცხადება.

**"ჩემი დესტაბილიზაციის მთავარი იარაღი არის 6 წლის ელისაბედ ჟვანია და 4 წლის ანა ჟვანია,"** – აცხადებს ზურაბ ჟვანია, რომელიც ამჯერად მიკროფონთან თავის ორ ქალიშვილთან ერთად ჩნდება.

**"დესტაბილიზაცია მართლაა მოსალოდნელი, მაგრამ - მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან. ჩვენც მოვაწყობთ დღეს დესტაბილიზაციას, ოღონდ მუსიკალურს,"** – განაცხადა "ახლების" ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ და მიკროფონი საკუთარ "დემოკრატ" ძმას გადაულოცა.

**"ყველას, ვინც ჩემი შემოქმედების თაყვანისმცემელია, მოვუწოდებ, აქ, პარლამენტის შენობასთან მოვიდნენ. ნუ ეგონება პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომ ხალხი მას დღესაც დაუჩოქებს, დღეს მას ჩვენ ყველანი ვეუბნებით: წადი! წადი!"** – მოიხმო თაყვანისმცემლები "უცნობმა".

ამის შემდგომ, საპარლამენტო ოპოზიციამ დანაპირები სტრატეგიული ხერხი გამოიყენა და უკვე შეთხელებული აუდიტორიის შესამაგრებლად წინა ფლანგზე "მუსიკალური ბატალიონი" გადაისროლა. "ზუმბა", "უცნობი", "მწვანე ოთახი", ტექნიკური უნივერსიტეტის მუსიკალური ჯგუფი... ინიციატივა, მემარჯვენე ლევან გაჩეჩილაძისგან მოდიოდა, რომელმაც თავის მომღერალ ძმას დახმარება სთხოვა და, მასთან ერთად მის მეგობრებს, მხარში ამოდგომა შესთავაზა. ფაქტობრივად, ამ მანევრით ოპოზიციამ ორი კურდღლის დაჭერა შეძლო. გარდა იმისა, რომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი დაამაგრა ადგილზე, თავად მუსიკოსებსაც შესძინა მსმენელი. გუშინ აქციაზე მომღერალ მუსიკოსებს ხალხის ის კატეგორიაც უსმენდა, ვინც საკუთარი ნებით, რადიოში თუ ტელევიზიით მათ მოსასმენად თავს დიდად არ გამოიდებდა. **"რაო, ვინ არისო?" "ზუმბა, ბაბუა, ზუმბა!"** - არაერთ პენსიონერს არკვევდნენ უფრო გაცვითცნობიერებული ახალგაზრდები. უფროსმა თაობამ, მართალია, თანამედროვე რეპერტუარი მთლიანად ვერ აითვისა, მაგრამ ქართული ესტრადის ერთი-ორი ვარსკვლავის სახელი კი აშკარად დაიმახსოვრა. სხვათა შორის, "დემოკრატ" ელენე თევდორაძეს გუშინ ამ ვარსკვლავებთან მუსიკალური ნომრების შესრულების სურვილი არ გასჩენია.

*გაერთიანებული ოპოზიციის მთავარი ლოზუნგი - საქართველო შევარდნაძის და მისი გარემოცვის გარეშე.*

ექსტრემალურმა ვითარებამ კი, ფარული ნიჭი ზოგ უკვე სხვა კარგად ნაცნობ სახეებსაც გაუღვივა. გია ბარამიძეს მწერლობის ჭიამ დაუწყო ღრღნა. ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა. ადგა და სათქმელი ლექსად თქვა:

**"საქართველო დაიღალა,**
**კორუფცია კმარა,**
**საქართველოს გაუმარჯოს,**
**შევარდნაძეს - არა!"**

სამწუხაროდ თუ საუბედუროდ, "დემოკრატების" ფრაქციის ლიდერის პოეზიის შესაფასებლად გუშინ აქციაზე შეკრებილთ აშკარად არ ეცალათ. პარლამენტში მისვლა-მოსვლა გრძელდებოდა. **"მათ არ აინტერესებთ, რა ხდება რუსთაველზე, რა ხდება პარლამენტის კედლებს გარეთ. არ აინტერესებთ ხალხის აზრი, რომელიც საკუთარი უფლებების დასაცავად მივიდა"**, - ამ უფლებების დასაცავად "ახალი მემარჯვენე" დავით გამყრელიძე მოედანზე შეკრებილთ ხალხთან ერთად ღამის გათენებას ჰპირდებოდა. მის გარდა, ღამისთევის სურვილს სხვა პარტიების ლიდერებიც გმოთქვამდნენ. **"ჩვენ, საერთოდ – ხალხს, დასცინიან. ამბობენ, კონსენსუსს მივაღწევთო და შემოგვთავაზეს ვარიანტი, რომლის თანახმადაც, ცენტრალური საარჩევნო კომისია "მოქალაქეებმა", "აღორძინებამ" და "მრეწველებმა" უნდა დააკომპლექტონ,"** - ვერ ივარგა მახარობლის როლში "დემოკრატმა" ვასილ მაღლაფერიძემ. საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს შიგადაშიგ მუსიკალური ნომრები ენაცვლებოდა. გამომსვლელები ხალხის ერთად დგომის სურვილსა და ამ მიზეზით ხელისუფლების შიშს უსვამდნენ ხაზს. როგორც საქმეში უფრო გარკვეული ხალხი აცხადებდა, სხვადასხვა პარტიის აქტივისტებსა და მხარდამჭერებს შორის პარლამენტის წინ მიტინგებს უფრო შეჩვეული "ზვიადისტებიც" ესწრებოდნენ. მოგვიანებით, გიორგი ბარამიძე, აქციაში სხვა მონაწილეებთნ ერთად, მადლობას ეროვნულ ძალთა გაერთიანებასაც უხდიდა. ეროვნულ ძალთა გაერთიანების ლიდერი ძიძიგური შეკრების აქტიური მონაწილე იყო. "ძველი გვარდიიდან" ამ შეკრებას ნემო ბურჭულაძე, ვალტერ შურღაია, ბიძინა გუჯაბიძე და გურამ აბსანძე ესწრებოდნენ. ამ აქციისას, გვერდზე დგომის გამო, გურამ აბსანძემ დანარჩენი პარტიების მეთაურებისგან "ნამდვილი ოპოზიციონერის ტიტულიც" მიიღო.

**"სკამიდან უნდა გადადგე, ფარაონი ხომ არა ხარ, სკამით დაიმარხო?"** - ეჭვი შეეპარა გუშინ "ნაციონალ" გია ხევიაშვილს ედუარდ შევარდნაძის სტატუსსა თუ ტიტულში. თუმცა, ასეთი და უფრო მკვეთრი განცხადებების მიუხედავად, პოლიტიკურმა ლიდერებმა, შეკრებილთა რეაქციიდან გამომდინარე, ვითარების შეცვლის აუცილებლობა იგრძნეს და შემდგომი მოქმედების გეგმის დასასახად ერთი საათიც ითხოვეს. ერთი საათის შემდეგ, პარტიის ლიდერებმა ოპოზიციის გაერთიანება და საერთო სახალხო მოძრაობის დაბადება ეჭვგარეშედ გამოაცხადეს. **"გუშინ სახელმწიფო მინისტრი საერთო სახალხო გამოსვლის შიშით წამოვიდა დათმობაზე. სანამ სული მიდგას, მზად ვარ ვიბრძოლო იმისათვის, რომ საქართველო, ძალაუფლება, "მოქალაქურ" კლანს არ ჰქონდეს!"** - ასეთ პირობას დებდა საკრებულოს თავმჯდომარე გუშინ. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია კი, საერთოდ ოპოზიციის მიერ მიღებულ ერთობლივ გადაწყვეტილებას ახმოვანებდა: **"ჩვენ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით მთელ საქართველოს მოვედებით. აქციები გაიმართება სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში. ჩვენ ბოიკოტს გამოვუცხადებთ პარლამენტის სხდომებს, რომლებზეც არ სურთ არც ერთი თქვენი მოთხოვნის გაზიარება".**

საბოლოოდ, ოპოზიციის ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან ხალხი სახელმწიფო კანცელარიისკენ დაიძრა. პარტიის ლიდერების მიერ გაკეთებულ ცოცხალ ჯაჭვს წინ დროშებით შეიარაღებული ახალგაზრდები მიუძღოდნენ. კანცელარიასთან მათ, საპასუხოდ, უკვე პოლიციელების ჯაჭვი დახვდათ - ჯერ კიბეებზე (რომელიც მომიტინგეებმა ადვილად გაარღვიეს), შემდეგ კანცელარიის ღობესთან (რომლის გარღვევის სურვილი მომიტინგეებს აღარ გასჩენიათ). **"გა-და-დე-ქი! გა-და-დე-ქი! გა-და-დე-ქი"!** - აქციის მონაწილეების მოწოდების მიუხედავად, გადადგომის სურვილი არც პრეზიდენტს და არც კანცელარიის სხვა "ბინადრებს" არ გასჩენიათ. სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ორგანიზატორებმა შეკრების, სახალხო მოძრაობის პირველი დღე დალოცეს და შემდგომი აქციების გრაფიკის შესადგენად, ვაშლიჯვრის ოფისისკენ გასწიეს. აქციის მონაწილეებს ამ გრაფიკის შესახებ შეტყობინებას პარტიის ლიდერები ტელევიზიით შეჰპირდნენ.

კანცელარიაში კი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ისინი ირონიით საუბრობდნენ მანიფესტაციის მონაწილეთა მცირერიცხოვნობაზე და ამით ცდილობდნენ დაეფარათ შეშფოთების მთავარი მიზეზი - ოპოზიცია გაერთიანდა, ახლა რა ვქნათ?

*ფოტორეპორტაჟი იხ. A8 გვერდზე*

ქალაქების/ქვეყნების კოდები
ჯეოსელ ინფო-თი

700

გთავაზობთ **Geocell ინფო**-ს დამატებით ფუნქციას – ქვეყნების და ქალაქების კოდების მიღება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით.

• **ქალაქის კოდის** მისაღებად SMS-ის მენიუში აკრიფეთ სიტყვა: **qalaqi**, ინტერვალის გამოტოვებით მიუთითეთ ქალაქის სახელი და გააგზავნეთ ნომერზე **"700"**
მაგ. **qalaqi tbilisi**

•**ქვეყნის კოდის** მისაღებად აკრიფეთ სიტყვა: **qvekana,** ინტერვალის გამოტოვებით მიუთითეთ ქვეყნის სახელი და გააგზავნეთ ნომერზე **"700"**
მაგ.: **qvekana italia**

მოგახსენებთ, რომ ჯეოსელის აბონენტებს ასევე შეუძლიათ შეიტყოთ ქალაქების და ქვეყნების კოდები **Geocell**-ის მენიუს საშუალებით. ამ შემთხვევაში ისარგებლეთ ჯეოსელის მენიუს პუნქტით "**satelepono kodebi**"

*ინფორმაციის შეკვეთა უფასოა ,ხოლო ინფორმაციის მიღების ღირებულება შეადგენს 10 თეთრს.*

*დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 928 ან 822 770177*

ჯეოსელის და ფაი-ფაი-ს ყველა აბონენტისათვის




www.geocell.ge

# ექსპანსია საქართველოს ენერგოსექტორში

## ვინ რეკავს განგაშის ზარებს?

მაია ურუშაძე

გუშინ "24 საათმა", "საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაციის" სახელით, საინტერესო ინფორმაციის შემცველი წერილი მიიღო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, "საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ამ წერილის არსებობის თაობაზე არაფერი იცოდა. მიუხედავად ამისა, წერილის შინაარსი მან და ენერგეტიკის სხვა სპეციალისტებმა აქტუალურ თემად მიიჩნიეს და არ გამორიცხეს, რომ წერილი, შესაძლოა, მართლაც საზოგადოების რომელიმე აქტივისტის მიერ არის დაწერილი.

გთავაზობთ ამ წერილის შინაარსს:

*აშშ-ს ელჩს საქართველოში*
*მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს საქართველოში*
*საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის უფროსს*
*საქართველოში EBRD-ის ოფისის ხელმძღვანელს*
*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს*
*საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს*
*გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს*
*"კურიერის" მთავარ რედაქტორს*

გაზეთ "24 საათის" 2003 წლის 30 მაისით დათარიღებულ ნომერში, საქართველოში რუსეთის გაზის გიგანტის "გაზპრომის" ექსპანსიის შესახებ, ჟურნალისტ მაია ურუშაძის სტატიის წაკითხვისას უნებლიედ პარალელს ავლებ მეორე რუსული ელექტროენერგეტიკული გიგანტის – რუსეთის სააქციო საზოგადოება "ერთიანი ენერგოსისტემის" (რსს "რეს") იმავდროულ ექსპანსიასთან დაკავშირებით.

შესაძლოა თქვენთვის ჯერაც უცნობია ის გარემოება, რომ რსს "რეს"-მა უკვე მთლიანად დაიპყრო (საკუთრებაში მიიღო) მეზობელი სომხეთის ყველა უმსხვილესი ელექტროსადგური, სომხეთის ატომური ელექტროსადგურის ჩათვლით.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, რომელიც ბოლო მომენტამდე საკმაოდ გულგრილად ეკიდებოდა რსს "რეს"-ის წინადადებებს, მისი პოზიცია 2003 წლისთვის, ე.ი. არჩევნების წინა პერიოდში, მკვეთრად შეიცვალა. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს ენერგეტიკული სექტორიდან დასავლეთის ინვესტორების განდევნის მიზნით საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ყველა ზომას მიმართავს, გაფიცვების მოწყობის ჩათვლით (ბოლო-დროინდელი გაფიცვაც "ელექტროგადაცემის" სისტემაში არავითარ შემთხვევაში სპონტანური არ იყო).

საქართველოს ენერგოსექტორის ხელმძღვანელებისა და უფრო მაღალი რანგის პირთა მონაწილეობით, სრული სვლით მიმდინარეობს მოლაპარაკებები რსს "რეს"-ის რწმუნებით აღჭურვილ კომერციულ სტრუქტურებთან კომპანია "თელასის", "ენგურჰესის", "ვარდნილჰესების კასკადის", "თბილსრესის" და სხვა ზოგიერთი ობიექტის სასწრაფო გასხვისების ანუ, რაც უფრო მარტივია, მართვაში გადაცემის თაობაზე.

როგორც ჩანს, ქვეყნის პირველ პირს მომდევნო წინასაარჩევნო შემოდგომის საშინელი სურათი დაუხატეს, ამდენად ქართული ენერგეტიკის ჩრდილოელი მეზობლის მიერ დაპყრობას "მწვანე შუქი" ჩაურთეს. ამჟამად რთულია ცალსახად შეფასდეს, რასთან გვაქვს საქმე – პოლიტიკურ მორიგებასთან საპარლამენტო არჩევნებში მხარდაჭერის სანაცვლოდ, თუ საქართველოს ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდების მცდელობასთან. გამორიცხული არ არის, რომ სახეზეა ორივე მოვლენა ერთდროულად.

ერთი რამ ცხადია, რომ მომდევნო 2-3 თვეში დაგეგმილია (რა თქმა უნდა ქართველი "ენერგომამებისა" და მათი უმაღლესი მფარველების მონაწილეობით) რუსული კომპანიებისათვის საქართველოს ყველა, მათ შორის როგორც მწარმოებელი და გადამცემი, ასევე სადისტრიბუციო სტრატეგიული ენერგოობიექტების გადაცემა.

გიგზავნით რა საქართველოს პარლამენტის სახელზე ჩვენი მიმართვის ტექსტს, გთხოვთ თქვენს დაუყოვნებლივ და აქტიურ ჩარევას.

*2003 წლის 31 მაისი*
***საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოება***
*(სტილი დაცულია).*

ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი დოკუმენტის შინაარსს ნაწილობრივ ეთანხმება, თუმცა აფიქსირებს, რომ ის საქართველოს ენერგეტიკაში ხედავს არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის ექსპანსიას. **"ამ დოკუმენტის არსებობის თაობაზე თქვენგან შევიტყვეთ და მისი ფორმა არ მიგვაჩნია სწორად, მით უმეტეს, რომ წერილის ავტორი საკუთარ თავს არ ამჟღავნებს. თუ ეს ანონიმური წერილია და მას ეშინია იმ პრობლემების, რომლებიც, შესაძლოა, ოფიციოზისგან შეექმნას, მოვუწოდებ, მოვიდეს და ღიად ვისაუბროთ ამ თემაზე: გნებავთ, გაზეთებისა და ტელევიზიების საშუალებით, გნებავთ – ენერგეტიკოსთა საზოგადოებაში. ეს საკითხი ჩვენთვისაც აქტუალურია და მე ავტორის მოსაზრებებს ნაწილობრივ ვეთანხმები. ის, რომ პრობლემა არსებობს და, თანაც, რეალური, ფაქტია. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ წერილში არ არის ეს საკითხი ბოლომდე ამოწურული და ამიტომ, მთლიანობაში, დოკუმენტი ჩვენთვის მისაღები ვერ იქნება. დასავლეთისა და რუსეთის მხარეებს აღნიშნულ თემაზე გაცილებით მეტი ინფორმაცია გააჩნიათ და ერთმანეთში უფრო მოწესრიგებულად საუბრობენ. ჩვენ პირველად არ ვაფიქსირებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკაში ექსპანსია მოდის ყველა - არა მარტო რუსული – მხრიდან. ეს დაიწყო არა გუშინ და გუშინწინ, არამედ მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანი ხაზების გასხვისებით, ახლა კი გამანაწილებელი კომპანიისა და გენერაციის სადგურების გასხვისებით გრძელდება. რომელი ქვეყნის დაინტერესებაა ეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვკარგავთ ჩვენს ენერგეტიკას,"** – აცხადებს ფირცხელანი.

ჩვენ დავუკავშირდით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს მერაბ კვეკვესკირსაც, თუმცა მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა. **"ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. პასკვილებზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ყველა პარტნიორთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ასე რომ, ეს იქნება უცხოელი ინვესტორი თუ ახლო მეზობელი, გადაწყვეტილებებს საქართველოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე მივიღებთ."**

"24 საათის" ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაციით, "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემისათვის" "თელასის" აქციების გადაცემის თაობაზე ჩუბაისის ენერგოგიგანტსა და "ეი-ი-ეს კორპორაციას" შორის მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება. სავარაუდოდ, "თელასის" აქციების ნაწილს "ეი-ი-ეს კორპორაციის" ყაზახეთის ფილიალთან "რაო ეეს როსსიის" მიერ ერთობლივად დაფუძნებული კომპანია შეიძენს.

რაც შეეხება საქართველოს ენერგოგენერაციის ობიექტებს, მიუხედავად ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მრავალჯერადი მოწოდებისა და მათი რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხებისა, ეს სადგურები ჯერ ისევ სავალალო მდგომარეობაშია და კვლავ ვალის დაგროვების რეჟიმში მუშაობს. ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ რა ინტერესებს ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგის მიზანმიმართული ნგრევა. წინ არჩევნებია, ეს ელექტროსადგურები კი, ჯერჯერობით, "არავისი არ არის".

*მონიტორინგი*

# სოციალური საფრთხე

სოციალური ფონდის ხარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში სოციალური უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

თებერვლის თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა, დაახლოებით, 6,5 მილიონი ლარია. სრულად არის დაფინანსებული თბილისის, აჭარის, ფოთის, გალის, რუსთავის, გარდაბნის და ბორჯომის პენსიები. ასევე, 100 პროცენტით არის გაცემული დევნილ პენსიონერთა, რეგრესული, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა და პარლამენტართა პენსიები.

დაწყებულია მარტის თვის პენსიების დაფინანსება, თუმცა გარღვევა 8,6 მილიონ ლარს შეადგენს. სრულად არის დაფინანსებული თბილისის, აჭარის, ფოთის და რუსთავის პენსიები. ასევე, 100 პროცენტით არის გაცემული რეგრესული, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა და პარლამენტართა პენსიები.

ასევე, დაწყებულია აპრილის თვის პენსიების გაცემა, თუმცა გარღვევა შეადგენს 12 მილიონ ლარს. ნაწილობრივ არის დაფინანსებული თბილისის, აჭარის, ფოთის და კოდორის ხეობის პენსიები. ასევე, ნაწილობრივ არის გაცემული ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიები.

მაისის პენსიების დაფინასება არც კი დაწყებულა.

**მხოლოდ მიმდინარე წლის პენსიებში დავალიანება, დაახლოებით, 45 მილიონ ლარს შეადგენს.**

საერთოდ, გაუგებარია, პრივილეგირებული რეგიონების არსებობა პენსიების დარიგების პროცესში. შესაბამისმა სამსახურებმა უნდა ახსნან, რატომ არის რიგ რეგიონებში ერთი თვის, ხოლო ზოგიერთ რეგიონში ოთხი თვის დავალიანება.

სოციალური ფონდის მიერ პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

**1 ივნისის მდგომარეობით (მე-6 თვე) სოციალური ფონდის პროგრამები, ოთხი თვის გეგმებთან შედარებითაც კი, არ არის შესრულებული. მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, ოთხი თვის გეგმასთან შედარებით, 81,1 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები - 25,6 პროცენტით.**

*საკონსულტაციო ფირმა*
*"დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"*

მონაცემები 1 ივნისის მდგომარეობით

ათას ლარებში

| დასახელება | ოთხ თვის გეგმა | ფაქტი | % ოთხ თვესთან |
|---|---|---|---|
| უკანმრთელობის დაცვის პროგრამები | 27,392 | 22,223 | 81.1% |
| მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა | 4,548 | 2,627 | 57.8% |
| მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა | 16,929 | 13,885 | 82.0% |
| მოსახლეობის სპეციალური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 5,315 | 4,832 | 90.9% |
| წინა პერიოდის დაავადებების დაფარვა | 793 | 778 | 98.1% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა | 2,337 | 741 | 31.7% |
| უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები | 2,337 | 599 | 25.6% |

# საქართველოს ევროსაბჭოსა და სავალუტო ფონდისგან სანქციები ელის

პირველი გვერდიდან

*საქართველოს FATF-ის შავ სიაში მოხვედრა ემუქრება.*

კანონპროექტი "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ" პრეზიდენტის მიერ შექმნილმა უწყებათაშორისო საკოორდინაციო კომისიამ მოამზადა. 2002 წლის ნოემბერში კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე წარადგინეს, ხოლო დეკემბერში - საკანონმდებლო ორგანოში. პირველი მოსმენით იგი პარლამენტმა მარტში მიიღო, ანუ მას შემდეგ, რაც სავალუტო ფონდის თებერვლის მისიამ უმკაცრესი მემორანდუმი დატოვა და კიდევ ერთხელ მოუწოდა ქვეყნის მთავრობას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები მიეღო.

მას შემდეგ უკვე მერამდენე სასესიო კვირაა, პარლამენტი უშედეგოდ ცდილობს, მეორე მოსმენით მიიღოს კანონპროექტი "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ". წინა კვირას მოსმენა შედგა, თუმცა კვორუმის უქონლობის გამო, კანონპროექტის კენჭისყრა ვერ მოხერხდა. მაისის მეორე ნახევარში საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროსაბჭოს ექსპერტებმა შეშფოთება გამოთქვეს ამ კანონპროექტის მიღების დაყოვნებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა საქართველოს მთავრობის მისამართით მკაცრი შეფასებები გამოთქვეს და აღნიშნული კანონპროექტის საბოლოოდ მიღება დაუყოვნებლივ მოითხოვეს. ევროსაბჭოს ექსპერტების ვიზიტს დაემთხვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ჯეროენ კრემერსის სტუმრობაც, რომელიც ფონდის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას გაეცნო. კრემერსმა მკაფიოდ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, ფონდის მისიის ჩამოსვლამდე საქართველოს პარლამენტს აღნიშნული კანონი მიეღო, რათა ქვეყანას სავალუტო ფონდის პროგრამის გაგრძელებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნას.

პრობლემები კი ივნისის ბოლოსაა მოსალოდნელი. 20 ივნისს საქართველოში სავალუტო ფონდის მისია ჩამოვა, პაოლო ნეუჰაუსის ხელმძღვანელობით. ამ მისიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ივნისის ბოლოს გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ფონდი საქართველოსთან პროგრამას. თავის მხრივ, პროგრამის გაგრძელებაზეა დამოკიდებული პარიზის კლუბში საქართველოსთვის საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციაც. ივნისის ბოლოსაა დაგეგმილი ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის სხდომაც, სადაც საქართველოს საკითხის განხილვა მოხდება. როგორც ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნიკა გეგუჩაძემ განაცხადა, თუ პარლამენტს ამ დროისათვის კანონი მიღებული არ ექნება, საქართველოს მიმართ ევროსაბჭო მეექვსე მუხლს აამოქმედებს, რითაც ევროსაბჭო თავის წევრ და მსოფლიოს დანარჩენ სახელმწიფოებს მოუწოდებს, სანქცირებულ ქვეყანასთან ურთიერთობისას FATF-ის 21-ე რეკომენდაცია გამოიყენონ. ამით, საქართველო FATF-ის შავ სიაში მოხვედრის კანდიდატი ხდება. 21-ე რეკომენდაცია კი ყველა ქვეყანას აფრთხილებს, ამგვარ სახელმწიფოსთან საბანკო ურთიერთობების დამყარების, ინვესტიციების ჩადების, გადაზღვევების გაკეთების თუ სხვა საფინანსო ოპერაციების განხორციელებისაგან თავი შეიკავონ.

საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგში კანონპროექტი "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ" პირველ საკითხადაა შეტანილი. თუმცა, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, დეპუტატებმა ამ კანონპროექტის კენჭისყრისათვის მოიცალონ.

# უძრავი ქონების ბაზარი ვითარდება

სოფიკო ოხანაშვილი

"საქართველოს უძრავი ქონების მართვის ასოციაციამ" გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" კონფერენცია გამართა ეგიდით - "საერთაშორისო თანამშრომლობა წარმატებული ქვეყნისთვის, წარმატებული ბაზრისთვის". ის USAID-ის "საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში ჩატარდა.

კონფერენცია საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის განითარებასაც ეხებოდა და "საქართველოს უძრავი ქონების ასოციაციის" ერთგვარ პრეზენტაციასაც წარმოადგენდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების თანამშრომლები, არქიტექტორები, რეგისტრატორები, იურისტები, შემფასებლები და სხვა, ანუ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული, თითქმის, ყველა სფეროს წარმომადგენლები.

"საქართველოს უძრავი ქონების მართვის ასოციაცია" 2002 წელს USAID-ის "საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში შეიქმნა. შეგახსენებთ, რომ "საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების პროექტი" საერთაშორისო განვითარების სააგენტომ 2000 წელს დააფინანსა. "მიწის ბაზრის განვითარების პროექტს საქართველოში" "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია" ახორციელებს. ამ პროგრამის საერთო ღირებულება ექვსი მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. აქედან "საქართველოს უძრავი ქონების მართვის ასოციაციის" ჩამოსაყალიბებლად 30 ათასი დოლარი გამოიყო. პროექტი მიზნად ისახავდა ისეთი გაერთიანების შექმნას, რომელიც მიიზიდავდა კლიენტებს და გახდებოდა თვითდაფინანსებადი ორგანიზაცია.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ასოციაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ საქართველოში ნამდვილად არსებობს უძრავი ქონების ბაზარი, რომელიც მზარდი განვითარებით ხასიათდება.

დღეს "საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ასოციაციის" წევრია 33 კერძო კომპანიის წარმომადგენელი – მათ შორის, ექვსი სამშენებლო კომპანიის (ცენტრ-პოინტი, აქსისი, არსი, იბერია, იბერია ჯგუფი და დივიდენდ კომპანი) წარმომადგენლები, ბროკერები, შემფასებლები, არქიტექტორები და ქართულ-გერმანული კავშირის "უძრავი ქონების კავკასიური აკადემიის" თანამშრომლები.

# საქართველოს ბანკების ასოციაციის

## განცხადება

საფინანსო-საბანკო სფეროს სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მთლიანად ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი ნაწილია,ხოლო ბანკები და საბანკო სფერო დიდწილად ნდობის ფაქტორზეა აგებული.

ბოლო პერიოდში, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების ფონზე, სისტემატური და მეტად სახიფათო ხასიათი მიიღო საბანკო თემატიკის კონიუნქტურული მიზნებისათვის გამოყენების მცდელობამ.

საქართველოს ბანკების ასოციაცია მიიჩნევს,რომ საქართველოს პარლამენტში "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აკრძალვის შესახებ" კანონპროექტის ლობირებაში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების დადანაშაულება აბსურდია.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ეროვნულ ბანკთან შექმნა არის არა "საბანკო მაფიის კლასიკური მოდელი" ან ლობირების შედეგი,როგორც ეს ზოგიერთს სურს ხაზოგადოებას წარმოუდგინოს,არამედ ქვეყნის დღევანდელი რეალობიდან გამომდინარეოპტიმალური მოდელი.

ქართულმა საბანკო სექტორმა საერთაშორისო და ორგანიზაციული ევოლუციის მეტად რთული გზა განვლო. ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ხასიათელოდ უნდა ითქვას,რომ თანამშრომლობისა და დიალოგის გზით გახდა შესაძლებელი დაძლეულიყო გასულ წლებში ქვეყანაში არსებული ხელმწიფო ინსტიტუციონალური კულტურის დეფიციტური წრე,რამაც უკანასკნელ წლებში უზრუნველყო მაღალი სტანდარტების სისტემური საბანკო მექანიზმების ჩამოყალიბება. ამ ფონზე ნებისმიერ გაუაზრებელ ადმინისტრაციულ-სტრუქტურულ ექსპერიმენტს ნეგატიური ტენდენციების შექმნა შეუძლია საბანკო და მთლიანად საფინანსო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის.

კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე, მიმდინარეობდა მეტად აქტიური დისკუსია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადგილისა და სტატუსის შესახებ. ამ თემას მიუძღვნა რამდენიმე კონფერენცია ყველა დაინტერესებული მხარის,მათ შორის დამოუკიდებელი ექსპერტები და მეტად ავტორიტეტული უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

აღნიშნული შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად შერჩეულ იქნა კანონპროექტის არსებული ძირითადი მონახაზი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება ეროვნულ ბანკთან. აღნიშნული მოდელი თავშიეე გამორიცხავს ინფორმაციის "არასასურველი მიმართულებით" გადინებას, ვინაიდან ეროვნულ ბანკს დღეისათვის სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან შედარებით გააჩნია საფინანსო ხასიათის ინფორმაციის დაცვის ინსტიტუციონალური კულტურა და ყველაზე მეტად დაცული საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემა,რაც კიდევ უფრო ზრდის ამ სტრუქტურისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხს.

აღნიშნული მოდგომა ეტაპზე არავის დაუკარგავს, მათ შორის არც ევროსაბჭოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს.

გამოვთქვამთ იმედს,რომ საქართველოს პარლამენტი კანონპროექტის განხილვისას იქნება ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისას და უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ეკონომიკისა და მისი შემადგენელი ნაწილის, საბანკო სისტემის მდგრადობასა და ზოგადად ქვეყნის ინტერესებს მიანიჭებს უპირატესობას.

# 4 ივნისი - გადამწყვეტი დღე ახლო აღმოსავლეთისათვის

*ჯორჯ ბუშის პირველი ტურნე ახლო აღმოსავლეთში გრძელდება.*

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ეგვიპტის კურორტ შარმ-ელ-შეიხში ჩავიდა, სადაც თავის ეგვიპტელ კოლეგას ჰოსნი მუბარაქს შეხვდა. აქედან, თეთრი სახლის მეთაური იორდანიაში გაემგზავრება, სადაც დაპირისპირებული მხარეების - ისრაელის და პალესტინის პრემიერ-მინისტრებთან გამართავს მოლაპარაკებებს. მანამდე კი, შარმ-ელ-შეიხში, პრეზიდენტ ბუშის ინიციატივით, ეგვიპტის, იორდანიის, საუდის არაბეთის და ბაჰრეინის ლიდერები შეიკრიბებიან და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხს განიხილავენ. ამავე შეხვედრაზე მიწვეულია პალესტინის პრემიერ-მინისტრი აბუ მაზენიც. აშშ-ს პრეზიდენტთან ეს მისი პირველი შეხვედრაა, ისე როგორც ჯორჯ ბუშისათვის - პირველი ტურნე ახლო აღმოსავლეთში.

პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის უმთავრეს მიზანს, არაბული სამყაროს ლიდერებთან სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" დეტალების შეთანხმება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ეს გეგმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებისათვის არის შექმნილი. შარმ-ელ-შეიხში ჩასულ, არაბული სამყაროს ლიდერებს: იორდანიის მეფე აბდულას, საუდის არაბეთის პრინც აბდულას, ბაჰრეინის მეფე აჰმადს და პალესტინის პრემიერ-მინისტრს აბუ მაზენს განზრახული აქვთ, დაარწმუნონ აშშ-ს პრეზიდენტი, ისრაელის ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინოს, რათა "საგზაო რუკის" განხორციელება კორექტივების გარეშე მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ლიდერს არაბული სამყაროს მხარდაჭერა და მათი ნდობის მოპოვება ამჟამად ჰაერივით ესაჭიროება. ამის მიზეზს კი, სულ ცოტა ხნის წინ ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო კამპანია წარმოადგენს, რამაც არაბულ ქვეყნებში საკმაოდ მწვავე პროტესტი გამოიწვია. ამის გამოსასწორებლად და არაბეთში ანტიამერიკანიზმის გასანეიტრალებლად, უკეთესი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ისრაელ-პალესტინის ნახევარსაუკუნოვანი სისხლიანი კონფლიქტის მოგვარება და პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირება აშშ-ს ახლო აღმოსავლური პოლიტიკისთვის ყოველთვის მომგებიან კოზირს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1991 წელს ჯორჯ ბუშ-უფროსმა, ერაყთან პირველი ომის შემდეგ, ამ კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესი წამოწია წინა პლანზე. ვაშინგტონმა იმ დროს კონფლიქტის დარეგულირებისათვის გამართულ მოლაპარაკებებში სირია, იორდანია და ლიბანიც მოიწვია, მაგრამ ამ ინიციატივამ ნაყოფი არ გამოიღო.

12 წლის შემდეგ კი, ისევ ერაყთან ომის შემდეგ, ახლო აღმოსავლური პოლიტიკა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა აამოქმედა. თუმცა, ახლა უკვე სხვა სახელმწიფოების გარეშე. იორდანიაში, ბუშის ინიციატივით, მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთა ლიდერები - არიელ შარონი და აბუ მაზენი ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს. მაგრამ მანამდე, შარმ-ელ-შეიხში, ჯორჯ ბუშმა არაბული ქვეყნების მიმართ თავისი კეთილგანწყობა უნდა დაადასტუროს.

მანამდე, ისრაელი გარკვეულ დათმობებზე მიდის და მშვიდობის დამყარების სურვილს საქმით ამტკიცებს. შარმ-ელ-შეიხში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის პარალელურად, ისრაელმა ციხეებიდან პალესტინელი პოლიტპატიმრების გათავისუფლების დაწყების თაობაზე გააკეთა განცხადება. როგორც ცნობილია, ისრაელის საპყრობილეებში ასი ათასამდე პალესტინელი პატიმარი იხდის სასჯელს. გარდა ამისა, ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობამ პალესტინური ტერიტორიებიდან ისრაელში შესვლაზე დაწესებული აკრძალვებიც გააუქმა. გუშინ დილითვე, დაახლოებით, 25 ათასმა პალესტინელმა, რომელთაც ისრაელში მუშაობის უფლება გააჩნიათ, ღაზას სექტორის და იორდანეს დასავლეთ სანაპიროს დატოვებაზე ნებართვა მიიღეს. მათ უკვე თავისუფლად შეუძლიათ ისრაელში შესვლა და იქ მუშაობა. დამკვირვებლების აზრით, ამ ნაბიჯით ისრაელის ხელისუფლებამ, სამშვიდობო მოლაპარაკების წინა დღეს, კეთილი ნება გამოხატა, რითაც იორდანიაში დღეს დანიშნული სამიტის წარმატებით დასრულება საგრძნობლად უნდა გააადვილოს.

ამის მიუხედავად, პალესტინური მხარე კვლავ აკრიტიკებს ისრაელის ხელისუფლებას და მშვიდობის დამყარებისათვის ხელის შეშლაში დებს ბრალს. პალესტინის ადმინისტრაციის განცხადებით, ისრაელში შესვლის და მუშაობის უფლება გუშინ მხოლოდ 5 ათასმა პალესტინელმა მიიღო და არა 25 ათასმა, როგორც ამას ისრაელის რადიო იუწყებოდა. გარდა ამისა, სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, ისრაელის არმიის ქვედანაყოფებმა პოზიციები დაიკავეს ღაზას სექტორის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე. როგოც ჩანს, ისრაელის არმია, სრულ მზადყოფნაშია, რათა კვლავ ჩაკეტოს საზღვარი ისრაელსა და პალესტინას შორის, თუკი ვითარება კვლავ გამწვავდება. ეს კი ნებისმიერ მომენტშია მოსალოდნელი. ისეთ რადიკალურ დაჯგუფებებს, როგორებიც "ჰამასი," "ისლამური ჯიჰადი" და სხვები არიან, ჯერ კიდევ არ შეუწყვეტიათ ცეცხლი. პალესტინის პრემიერ-მინისტრმა აბუ მაზენმა, აქტიური მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერთა დარწმუნება იმაში, რომ ცეცხლის შეწყვეტა და ტერორისტული აქტების შეჩერება პალესტინისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აბუ მაზენი ამის მიღწევას იორდანიის სამიტამდე ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ.

ყველაფრის მიუხედავად, დღევანდელი დღე, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ისტორიაში უდავოდ მნიშვნელოვანია. პალესტინის და ისრაელის პრემიერ-მინისტრებმა, სამშვიდობო გეგმის ავტორს და ინიციატორს – ჯორჯ ბუშს მშვდობისათვის მზადყოფნა უნდა უპატაკონ. მშვიდობა კი ყველას სჭირდება, პირველ რიგში - აშშ-ს პრეზიდენტს, რომელიც თუ კონფლიქტის შეწყვეტას, მშვიდობის დამყარებას და პალესტინური სახელმწიფოს შექმნას შეძლებს, არაბული სამყაროს ნდობას და მხარდაჭერას მოიპოვებს. ამას კი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ს ეროვნული ინტერესებისათვის უდავოდ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება პირადად ჯორჯ ბუშისათვის, რომელსაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წარმატებული საგარეო პოლიტიკის დემონსტრირება ესაჭიროება. მოკლედ რომ ვთქვათ, არაპოპულარული ერაყული კამპანიის კომპენსირება პალესტინაში მშვიდობის დამყარებით უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება ისრაელს, თუკი ის გაჯიუტდება და აშშ-ს ახლო-აღმოსავლურ პოლიტიკას შეაფერხებს, ოკეანისგაღმიდან კოლოსალური ფინანსური დახმარების შეწყვეტას თუ არა, განახევრებას მაინც უნდა შეეგუოს. ვაშინგტონიდან ფინანსური ინექციების შეწყვეტას კი არაბულ ალყაში მყოფი ისრაელისათვის თვითმკვლელობის მნიშვნელობა ექნება. ამიტომ, როგორც მოსალოდნელია, არიელ შარონმა "საგზაო რუკა" თითქმის უცვლელი სახით უნდა მიიღოს. გეგმაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიძლება შევიდეს, რაც პალესტინისათვის არც თუ ისე მტკივნეული იქნება. ყოველ შემთხვევაში, გეგმით გათვალისწინებულ თარიღს - 2005 წელს, როდესაც დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფო დაფიქსირდება, არაფერი შეცვლის. ეს კი იმ ხალხისათვის, რომელიც 50 წლის განმავლობაში ამ მიზნისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს, უდავოდ დიდი მონაპოვარი იქნება. ამდენად, კონფლიქტის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში უკვე მოახლოებული და მომწიფებულია. მაგრამ, არსებობს ერთი, ყველასათვის ცნობილი და საშიში ფაქტორი - ტერორიზმი და ისლამური ექსტრემიზმი. ეს უკანასკნელი ახლა პალესტინის ინტერესებისათვის უკვე ხელისშემშლელი ფაქტორია. მაგრამ, ამ მოვლენას ფესვები საკმაოდ ღრმად აქვს გადგმული. ეჭვგარეშეა, რომ იორდანიის სამიტზე ამაზე აუცილებლად იმსჯელებენ, შედეგები კი ძალიან მალე გამოჩნდება. დრო აღარ ითმენს.

# ამერიკული ჯარის რესტრუქტურიზაცია აზიას არ დაასუსტებს

სამშაბათს შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვოლფოვიცმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ აზიაში დაგეგმილი ამერიკული ჯარების გადაადგილება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების გამო არ დაყოვნდება.

როგორც ცნობილია, აშშ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში განლაგებული შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან შემცირებას გეგმავს

"ეს ის საკითხი არ არის, რომლის გადადება ბირთვული პრობლემის მოგვარებამდე შეიძლება იმ მიზეზით, თითქოს, სამხედრო შესაძლებლობები ამით შესუსტდება", - განაცხადა ვოლფოვიცმა საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც სინგაპურში, სეულსა და ტოკიოში ექვსდღიანი ტურის შემდეგ მოიწვია.

"პირიქით, ეს ჩვენი სამხედროების გაძლიერებას ემსახურება... განრიგი მხოლოდ ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხივ შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული", - დასძინა მან.

ვოლფოვიცი პენტაგონის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია, რომელიც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღმოსავლეთ აზიას ეწვია. პოლ ვოლფოვიცი სამხრეთ კორეისა და იაპონიის მთავრობების დარწმუნებას შეეცადა, რომ შეერთებული შტატების ჯარების გადაადგილება ჩრდილოეთ კორეის შეკავების ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის.

კორეის ნახევარკუნძულზე კრიზისი გასული წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ფხენიანმა ამერიკელ დიპლომატებთან ბირთვული შეიარაღების პროგრამების არსებობა აღიარა. ამით ჩრდილოეთ კორეამ 1994 წელს ვაშინგტონთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია.

სამხრეთ კორეაში, ჩრდილოეთ კორეის საზღვართან, 37 000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება, რათა ჩრდილოეთ კორეის შესაძლო აგრესიის შემთხვევაში, პროამერიკული სეულის უსაფრთხოება დაიცვას.

აღსანიშნავია, რომ ფხენიანის უპირველესი სამიზნე იაპონიაა. იაპონიასა და სამხრეთ კორეას სურთ, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დაპირისპირება დიპლომატიური გზით მოგვარდეს, ვაშინგტონი კი არანაირ შესაძლებლობას არ გამორიცხავს, მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებასაც.

ვოლფოვიცის თქმით, ჩრდილოეთ კორეის კრიზისის სწრაფად მოგვარება შეუძლებელია და საჭიროა მოთმინება.

მხარეებს შორის მოლაპარაკებები მას შემდეგ შეწყდა, რაც აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები პეკინში შეიკრიბნენ აპრილში, რომლის დროს ფხენიანმა აღიარა, რომ ბირთვულ იარაღს უკვე ფლობს.

ვოლფოვიცმა განაცხადა, რომ აზიაში მყოფი 100 000-კაციანი ამერიკული ჯარების რესტრუქტურიზაცია უკვე დაიწყო. ვაშინგტონი ცდილობს, რომ წლის ბოლომდე სამხრეთ კორეასთან სამხედროების შემცირების თაობაზე შეთანხმებას მიაღწიოს.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის მტკიცებით, ჩრდილოეთ კორეის საზღვართან განლაგებულ ამერიკულ ქვედანაყოფებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება სამხრეთ კორეის თავდაცვის შესაძლებლობებს გაზრდის.

ამავდროულად, ვოლფოვიცმა სამხრეთ კორეას მოუწოდა, რომ თავდაცვის დანახარჯები გაზარდოს, რომელიც ამჟამად მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2.7 პროცენტს შეადგენს.

სკეპტიკოსების აზრით, ჯარების გადაადგილება და სავარაუდო შემცირება ფხენიანმა, შესაძლოა, სწორად არ გაიგოს. გაზეთ "იომური შიმბუნისათვის" მიცემულ ინტერვიუში სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო მუ-ჰიუნმა აღნიშნა, რომ "სამხრეთ კორეაში ამჟამად არსებული ამერიკული ჯარები ჩრდილეთ კორეას აკავებენ. ისინი [ამერიკული ჯარები] ჩრდილო-დასავლეთ აზიაში სამხედრო ბალანსის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ".

პრესკონფერენციაზე ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იაპონიის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ ამ წელს მიიღოს გადაწყვეტილება და ამერიკულ სარაკეტო თავდაცვით სისტემას შეუერთდეს, რომელიც მტრის ბირთვული რაკეტების ჩამოსაგდებად არის გამიზნული.

"ჩვენ ნამდვილად მივესალმებით იაპონიის სარაკეტო თავდაცვის სისტემაში მონაწილეობას", - განაცხადა ვოლფოვიცმა და იაპონიის ტექნოლოგიური მიღწევები შეაქო.

აშშ-ს ბირთვული თავდაცვის საგენტოს ხელმძღვანელი გენერალ-ლეიტენანტი რონ კადიში ტექნიკურ დეტალებზე მოსალაპარაკებლად შემდეგ კვირას ტოკიოს ეწვევა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იაპონია ბირთვული თავდაცვის ამერიკულ სისტემასთან მიერთებას აპირებს.

"მე ვფიქრობ, რომ სარაკეტო თავდაცვა წარმატებით იქნა გამოყენებული ერაყის ომში და უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადარჩა...შესაძლებელია, რომ ამ სისტემაში საყოველთაოდ ცნობილი იაპონური ტექნოლოგიებიც გამოვიყენოთ", - განუცხადა ვოლფოვიცმა რეპორტიორებს.

ჩრდილოეთ კორეიდან მომავალმა საფრთხემ იაპონიაში წინააღმდეგობა შეამცირა, რომელიც სარაკეტო თავდაცვის სისტემაში ტოკიოს მოსალოდნელ გაწევრიანებას თავდაპირველად შეხვდა. მოწინააღმდეგეების თქმით, ამ სისტემაში შესვლა იაპონიის პაციფისტურ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

იაპონური მედიის ცნობით, 2006 წლისთვის ტოკიო ამერიკაში დამზადებული სარაკეტო თავდაცვის სისტემის ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთი, რეგიონის სხვა ქვეყნებთან ერთად, ამერიკული სარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსებით შეშფოთებულია. პეკინმა განაცხადა, რომ ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ სარაკეტო სისტემის განთავსება ჩინეთს თავდასხმისთვის განკუთვნილი იარაღის განვითარებისკენ უბიძგებს.

*"როიტერი"*

# პუტინი ისევ თავისას აბრძოლებს

*გაუთავებელი შეუსრულებელი დაპირებები პუტინის დიპლომატიის დამახასიათებელ თვისებად იქცა.*

### პირველი გვერდიდან

"ირანი ჩვენი მეზობელია და ჩვენ მასთან ყოველთვის ვითანამშრომლებთ. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ გავიზიაროთ ის საკითხები, რომლებიც რეალურად კონკურენციასთან არის დაკავშირებული," – დასძინა მან.

საქმე ეხება ირანში ბირთვული რეაქტორების მშენებლობას. ირანული მხარის შეკვეთით, ამას რუსული კომპანიები ახორციელებენ. აშშ შიშობს, რომ ნავთობითა და გაზით უმდიდრეს ქვეყანას ატომური რეაქტორები მხოლოდ ბირთვული იარაღის შესაქმნელად შეიძლება სჭირდებოდეს და, არაერთი წელია, რუსეთისაგან ირანთან ამ საკითხში თანამშრომლობის შეწყვეტას მოითხოვს. რუსეთი კი ამაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

ზუსტად ორი დღის წინ, პეტერბურგში ბუში პუტინს "ჩემო კარგო მეგობაროო", - მიმართავდა და სექტემბერში თავის რეზიდენციაში, კემპ-დევიდში ეპატიჟებოდა. თვითონ პუტინიც აცხადებდა რომ "მისი და ბუშის მეგობრობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ის ძალები და მოვლენები, რომელთაც ამ მეგობრობის გამოცდა სურდათ".

ამ ფონზე პუტინის "მკაცრი და კატეგორიული" განცხადება ბევრისათვის ნამდვილი სიურპრიზი იყო. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ირანის საკითხი აშშ-რუსეთის ურთიერთობებში დღეს ცენტრალურ ადგილს იკავებს.

საინტერესო ახსნა მოუძებნა რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკის მიერ ერაყში ომის დაწყებასაც. მისი თქმით, ომი გამოიწვია 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკის "შელახულმა თავმოყვარეობამ და თვითდამკვიდრების სურვილმა". კაცმა რომ თქვას, ამგვარი ახსნა, ალბათ, ჩეჩნეთის ომს უფრო მოუხდებოდა.

1-დან 3 ივნისამდე პუტინის მიერ გაკეთებული განცხადებებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია იმის გარკვევა, როგორია ურთიერთობები ამჟამად ამერიკასა და რუსეთს შორის. ერთობლივ პრესკონფერენციებზე ორივე ლიდერი აცხადებდა, რომ უთანხმოება წარსულს ჩაბარდა, თუმცა, როგორც კი პეტერბურგის იუბილე დასრულდა, და ბუშიც შორს დაიგულა, პუტინმა ერთად ამოალაგა ის პრეტენზიები, რომლებიც ამერიკის მიმართ ჰქონდა.

ბევრი მიმომხილველი მიუთითებს, რომ გაუთავებელი შეუსრულებელი დაპირებები პუტინის დიპლომატიის დამახასიათებელ თვისებად იქცა. ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც იგი უარს არავის არაფერზე ეუბნება, მაგრამ დაპირებების შესრულებას სავალდებულოდ არ მიიჩნევს. შორს რომ არ წავიდეთ, შევარდნაძე-პუტინის ურთიერთობები ამის მშვენიერი მაგალითია.

ასეთ ზიგზაგებს ექსპერტები ამერიკასა და რუსეთს შორის რეალური თანამშრომლობის არარსებობით ხსნიან. "ცხადია, რომ ამ ურთიერთობებში შინაარსი არ დევს, – ამბობს ცნობილი რუსი მიმომხილველი ლილია შევცოვა "ვაშინგტონ პოსტთან" საუბარში, – ორი ლიდერი ცდილობს, აღადგინოს ომის შედეგად შესუსტებული პირადი ურთიერთობები. მაგრამ, პირადი ურთიერთობები ვერ შეცვლის შინაარსს. საერთოდ საკითხავია, შესაძლებელია თუ არა არსებითი თანამშრომლობა რუსეთსა და ამერიკას შორის". დაახლოებით, იგივეს ამბობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის დირექტორი ალექსეი მაკუშკინი: "სულ მინდა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებში რაიმე არსებითი დავინახო, მაგრამ ეს ურთიერთობები ძალზე ზედაპირულია".

"პუტინსა და ბუშს შორის ურთიერთობები პიროვნულ დონეს არასოდეს გასცილებია," – ამბობს ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, სერგეი როგოვი. მისი თქმით, ახლა, როდესაც ორივე ქვეყანა წინასაარჩევნო პერიოდში შევიდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ შორის ურთიერთობებში სერიოზული ცვლილებები მოხდეს. "შემდეგი 18 თვის მანძილზე, ჩვენ კარგი ურთიერთობები გვექნება. კონკრეტული, ალბათ, არაფერი მოხდება".

## ინფორმაცია

### ალიევი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს, ოპოზიციას პოლიცია უსწორდება

აზერბაიჯანში ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებამ ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. მით უმეტეს, რომ მას თან ახლდა პრეზიდენტ ალიევის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი კვლავაც აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას. პრეზიდენტმა სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებიც მოიშველია, რომელთა თანახმად მას მოსახლეობის 64 პროცენტი უჭერს მხარს.

საპასუხოდ, ოპოზიციურმა პარტიებმა მასობრივი საპროტესტო აქციების ჩატარება დაიწყეს. ქუჩაში პირველად ალი ქერიმლის სახალხო ფრონტი გამოჩნდა, რომელმაც მიტინგის ჩატარება პარლამენტის წინ გადაწყვიტა. პოლიციამ მომიტინგეებს შეკრებისათვის სხვა ადგილი შესთავაზა, რაზეც ოპოზიციამ უარი განაცხადა. მაშინ, სპეცრაზმებმა ძალის მეშვეობით სცადეს მათი დაშლა, რამაც მასობრივი ჩხუბი გამოიწვია. ნაცემებს შორის აღმოჩნდა რამდენიმე ჟურნალისტი და მილი-მეჯლისის (აზერბაიჯანის პარლამენტი) წევრი.

ეს იყო გუშინწინ. გუშინ, ფრონტელებს სხვა ოპოზიციური პარტიებიც შეუერთდნენ, რომლებიც ამაყად აცხადებდნენ, რომ ყველაფრისათვის, მათ შორის, მორიგი ცემა-ტყეპისათვის მზად იყვნენ. შეკრება ისევ პარლამენტის წინ დაიგეგმა.

მოწინააღმდეგე ძალების გაერთიანებამ სამართალდამცავები ვერ შეაშინა. მათ გაერთიანებული ოპოზიცია თავის დეპუტატებიან-ჟურნალისტებიანად ისეთივე წარმატებით სცემეს, როგორითაც წინა დღეს სახალხო ფრონტს გაუსწორდნენ.

ოპოზიცია აცხადებს, რომ ის დანებებას არ აპირებს და კვლავაც შეეცდება აიძულოს ხელისუფლება, "დიქტატორული" საარჩევნო კოდექსი შეცვალოს.

### საფრანგეთში გაფიცვების სერია გრძელდება

გუშინ საფრანგეთში სახელმწიფო სექტორის თანამშრომლები კიდევ ერთხელ გაიფიცნენ. მუშაობა შეწყვიტა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა, გადაიდო ავიარეისების უმრავლესობა, მუშაობა შეაჩერა ფოსტამ, სასკოლო დაწესებულებებმა და საგადასახადო ინსპექციამაც კი.

ფრანგები მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომელიც საპენსიო ასაკის გახანგრძლივებას გულისხმობს. თუკი ადრე პენსიის მისაღებად 37,5 წლის მუშაობის სტაჟი იყო საჭირო, ახალი პროექტით უკვე 40 წელია გათვალისწინებული.

ამ კანონპროექტის მიღებას ჯერ კიდევ წინა პრემიერ-მინისტრი, ალან ჟუპე ცდილობდა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია და პრობლემა მთავრობის ახლანდელ მეთაურს, ჟან-პიერ რაფარენს გადაულოცა. რაფარენი მომიტინგეთა ზეწოლას, ჯერჯერობით, მტკიცედ ხვდება და აცხადებს, რომ "ქვეყანას მთავრობა მართავს და არა ქუჩა".

საპენსიო ასაკის პრობლემა არა მხოლოდ საფრანგეთში, მთელ ევროპაში ძალზე აქტუალურია. შობადობისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ დასავლეთ ევროპაში შეამცირა ახალგაზრდებისა და გაზარდა პენსიონერთა ხვედრითი წილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მომუშავე ადამიანს უფრო მეტი პენსიონერი ჰყავს "სარჩენი", ვიდრე ადრე. დროთა განმავლობაში, ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდება. მთავრობას სურს, ზომები მანამდე მიიღოს, სანამ ვითარება კრიტიკული გახდება, მაგრამ პროფკავშირების ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება. გაფიცვის გამო, პარიზის ირგვლივ გზებზე 140 კილომეტრის სიგრძის საცობები წარმოიქმნა.

მთავრობა აცხადებს, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონპროექტს პარლამენტში მაინც წარადგენს. განხილვა უახლოეს დღეებშია დანიშნული.

### ალ-ქაიდა მასობრივი განადგურების იარაღის გამოსაყენებლად მზადაა

"ვაშინგტონ თაიმსში" გუშინ გამოქვეყნებული სტატია იუწყება, რომ შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენების თანახმად, ალ-ქაიდასა და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებების მიზანს ქიმიური, ბიოლოგიური, ან ბირთვული იარაღის გამოყენება წარმოადგენს, რათა "პანიკა და ნგრევა" გამოიწვიოს.

გაზეთის მიერ მოპოვებულ ოთხგვერდიან მოხსენებაში აღნიშნულია რამდენიმე მომწმავლელი ნივთიერება და ქიმიური ნაერთი, რომელიც ალ-ქაიდამ თავდასხმისათვის შეიძლება გამოიყენოს, მათ შორის, ნეიროპარალიტიკური გაზები, ბიოლოგიური იარაღი და რადიოლოგიური ნივთიერებების გამფანტავი მოწყობილობები, რომელსაც ზოგჯერ "ბინძურ ბომბსაც" უწოდებენ.

"ვაშინტონ თაიმსის" თანახმად, ცსს-ს აღნიშნული დოკუმენტი სააგენტოს სადაზვერვო დეპარტამენტმა მოამზადა. ცსს-ს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ტერორისტები შეეცდებიან, ადვილად მოსაპოვებელი ქიმიური ნივთიერებები გამოიყენონ.

გაზეთს მოჰყავს ნაწყვეტი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენებიდან, რომ ამგვარი თავდასხმების წარმატებით განხორციელება ტერორისტული აქტების მგეგმავთა პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული.

# ევროპა ავღანეთისგან ნარკოტიკების ყიდვას აპირებს

*ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 56-ე ასამბლეაზე ჟენევაში შეკრებილი 152 ქვეყნის დელეგატები წელს ბავშვებისთვის ჯანმრთელი გარემოს შექმნაზე მსჯელობდნენ. ამ კონტექსტში განიხილება დღეს, მსოფლიოს ნომერ პირველ მკვლელად მიჩნეული თამბაქოს, ე.წ. ჩარჩო კონვენცია, რომელსაც ქვეყნები ორ წელიწადში უნდა შეუერთდნენ. ამ კონტექსტში განიხილება, ასევე, ნარკოტიკების პრობლემა, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც მსოფლიო უნდა შეიკრას. ამაზე, ჟენევიდან გამგზავრებული ჩვენი დელეგაცია, შრომის, ჯანმრთლეობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით, უკვე პარიზში მსჯელობდა. ის ქვეყანა, რომელსაც აქვს პანკისი და, მსოფლიო დაკვირვების მიხედვით, ავღანეთიდან ევროპისკენ დაძრული ნარკობიზნესმენებისთვის ნაცად სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს, ასეთ შეკრებას, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა.*

მაკა ჯაიანი

ავღანეთში, ისევე როგორც მიანმარში (ყოფილი ბირმა), ოპიუმის ყაყაჩოს წარმოების კონცენტრირება მეოცე საუკუნის ბოლოსთვის მოხდა. გაეროს მოხსენების მიხედვით, ამ ორ ქვეყანაზე დღეს მსოფლიოში წარმოებული ოპიუმის 90 პროცენტი მოდის. ავღანეთი მაინც ლიდერია. 20 წელზე მეტ ხანს გაგრძელებულმა ომმა ეს ქვეყანა ოპიუმის წამყვან მწარმოებლად აქცია. უკვე 80-იანი წლებისთვის იქ ჩამოყალიბებულმა ინდუსტრიამ, ფაქტობრივად, შეავსო ის ვაკუუმი, რომელიც ეფექტური, საკუთარი ტერიტორიის გაკონტროლების შემძლე ხელისუფლების არყოლამ და სოფლად გამომუშავების შესაძლებლობების მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია. გაეროს მონაცემებით, ავღანელების 60 პროცენტი სწორედ ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანით ცხოვრობს.

2000 წლისთვის ავღანეთზე ოპიუმის წარმოების 70 პროცენტი (3276ტ) მოდიოდა, 3 პროცენტი - მიანმარზე (1087ტ), 5 პროცენტი - აზიის სხვა ქვეყნებზე (ძირითადად, ლაოსზე, ტაილანდზე, პაკისტანზე), 2 პროცენტი - ლათინურ ამერიკაზე (კოლუმბია, მექსიკა). საერთო ფართობი, რომელზეც ეს ნარკოტიკი მოიყვანებოდა, მსოფლიოს მასშტაბით, 222000 ჰექტარს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ნათესების ამოძირკვამ და ნაციონალურმა კანონმა( ოპიუმის ტრადიციული გამოყენების შესახებ) ბოლივიაში ამ კულტურის რაოდენობა 14600 ჰექტარამდე შეამცირა, მისი სათესი ფართობები შემცირდა პერუშიც( და სხვაგანაც) ვითარება მაინც საგანგაშო რჩება.

გაერო-ს მოხსენებაში კანაფის პროდუქციის ამოღების თაობაზე დაფიქსირებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ამ ნარკოტიკის წარმოება და მისით ვაჭრობა შთამბეჭდავი ნაბიჯებით იზრდება. გასული საუკუნის ბოლოს დაჯამებული მონაცემებით, ამოღებული ნარკოტიკების მესამედი ჩრდილო ამერიკაში იქნა დაკავებული, მეოთხედი - დასავლეთ ევროპაში, მეხუთედი – აზიაში, მეათედი კი - ლათინურ ამერიკაში. ნარკოტიკების ამოღების დონე (მათივე წარმოებასთან შეფარდებით) კოკაინისთვის - 39-ს, ოპიუმისთვის კი 15 პროცენტს უდრის. რაც შეეხება მოხმარებას, გაერო ამბობს, რომ ნარკოტიკებს მსოფლიოს 180 მილიონი მცხოვრები იყენებს. აქედან 144 მილიონი მოიხმარს კანაფს, 29 მილიონი - ამფეტამინებს (სინთეტიკური ნარკოტიკები), 14 მილიონი - კოკაინს და 13,5 მილიონი - ოპიატებს (აქედან 9 მილიონი - ჰეროინს).

ეს გახლავთ წლების განმავლობაში დამუშავებული ნარკოინდუსტრიის არსებული, თუმცა არა საბოლოო, შედეგი. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ყველანაირად ეცდება, ეს ციფრები მატებისკენ რომ არ წავიდეს. რადგან ნარკოტიკები, ძირითადად, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში იწარმოება, ამიტომ ევროპის სახელმწიფოები ერთგვარი ექსპერიმენტის განხორციელებას აპირებენ. ამჟამად საუბარია ავღანეთისგან წარმოებული ოპიუმის შესყიდვასა და მის შემდგომ განადგურებაზე. ამის თაობაზე საუბრობდნენ ევროპული დელეგაციები პარიზის შეხვედრაზე.


ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი
(WWF)
ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორი

WWF

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი

იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორის ადგილის დასაკავებლად.

სამუშაოს, მოვალეობების, პასუხისმგებლობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწერილებითი აღწერა შეიძლება მიიღოთ:

1) WWF-ის ოფისში დილის 10.00-იდან საღამოს 18 საათამდე. მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის II (აკადემიკოსის ტერიტორია)
2)ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე:
ktolordava@wwfgeo.org.ge ან
nmeskhoradze@wwfgeo.org.ge

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 20 ივნისი


# არსებით განხილვაზე ერთკვირიანი შესვენება გამოცხადდა

## საოლქო სასამართლოში "ლეიბორისტების" მიერ დაგეგმილი პოლიტიკური პროცესი არ შედგა

ზაზა ფაჩუაშვილი

*საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში დაიწყო არსებითი განხილვა საქმისა, რომელმაც ოპოზიციურ და სამედიცინო საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. "ლეიბორისტი" კახაბერ ძაგანია ითხოვს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 მაისის N190 ბრძანებულების გაუქმებას, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაციას.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*მოსარჩელე კახა ძაგანია და მოპასუხე კარლო ლაფერაძე სასამართლოს წინაშე.*

მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაცია ითვალისწინებს საავადმყოფოთა შერწყმას, გამოთავისუფლებული შენობების პრივატიზაციას, შემოსული თანხებით შენარჩუნებული დაწესებულებების რეაბილიტაციას და შემცირებაში მოყოლილი სამედიცინო პერსონალისთვის კომპენსაციების გაცემას.

შარშან ამ პროცესს წინ აღუდგა ოპოზიცია და საოლქო სასამართლოში რიგ-რიგობით იჩივლეს "ლეიბორისტებმა" და "ნაციონალებმა".

25 დეკემბერს, საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლომ პრეზიდენტის სადავო ბრძანებულება არსებით განხილვამდე შეაჩერა, რაც ოპოზიციის და, კერძოდ, "ლეიბორისტების" გამარჯვებად მოინათლა. დროებითი შეჩერება უზენაეს სასამართლოში გააპროტესტა პრეზიდენტმა, მაგრამ იქ მისი საჩივარი არ დააკმაყოფილეს, რაც "ლეიბორისტებმა" კიდევ უფრო დიდ გამარჯვებად აღიქვეს.

რეფორმირებული სასამართლო კი ობიექტურობის გარანტად გამოაცხადეს. ასე მივედით 2 ივნისამდე, საქმის არსებით განხილვამდე, რომლის დროსაც გამარჯვებებს მიჩვეულ "ლეიბორისტებს" ხასიათი ცოტათი გაუფუჭდათ.

მათი შუამდგომლობა მოწმეების გამოძახებისა და მოპასუხე მხარისაგან დამატებითი მტკიცებულებების მოთხოვნის თაობაზე სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან, კოლეგიის თავმჯდომარის განცხადებით, ეს პროცედურა მოსამზადებელი სხდომის დროს უნდა ჩატარებულიყო.

ამრიგად, მოწმეობას გადაურჩნენ სააკაშვილი, ჯორბენაძე, ზოდელავა, ტრაპაიძე, გიგოლაშვილი და სხვა პასუხისმგებელი პირები, რომლებიც, ძაგანიას განცხადებით, დანაშაულებრივი კანონის უშუალო შემოქმედნი არიან.

"პრეზიდენტის ბრძანებულებას სამართლებრივი შეფასება სჭირდება. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, ხომ არ არის ის კანონშეუსაბამო. ამას ხსენებული მოწმეები ვერც დაადასტურებენ და ვერც უარყოფენ. ამდენად, შუამდგომლობას ვერ დავაკმაყოფილებთ", - განაცხადა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ, ინგა თოდრიამ, რომელმაც, ფაქტობრივად, "ლეიბორისტების" მიერ დაგეგმილი პოლიტიკური პროცესი ჩაშალა.

ამის შემდეგ ძაგანიამ პაექრობაზე უარი განაცხადა და თქვა, - მე შეკითხვები იმ მოწმეებისთვის უნდა დამესვა, რომელთა მოყვანასაც ვითხოვდიო. პრეზიდენტისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები კი არაკომპეტენტურებად შერაცხა.

ამ დროისთვის დარბაზი უკვე საკმაოდ აღელვებული იყო და მოპასუხე მხარისათვის არასასიამოვნო რეპლიკებიც ისმოდა. მორიგი გაცხარების გამო, "ლეიბორისტი" გიორგი გუგავა მოსამართლემ 10 ლარითაც კი დააჯარიმა. სააკაშვილის რეფორმირებული სასამართლო აბა, რა უნდა იყოსო, - წუწუნებდნენ "ლეიბორისტების" მხარდამჭერები.

ამასობაში ძაგანიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ სასამართლოზე, მტკიცებულების სახით, წარმოედგინათ საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულება; ვინაიდან პრეზიდენტის ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ მოცემული ბრძანებულება აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზანს ემსახურება. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ხელშეკრულება ვერ მოვიპოვე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბრძანებულება მას არ შეესაბამებაო, - განაცხადა ძაგანიამ.

სასამართლოს პროცესის გადადება არ უნდოდა, მაგრამ ეს შუამდგომლობა მაინც დააკმაყოფილა და 20-საათიანი შესვენება გამოაცხადა. ამ პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ხელშეკრულების წარმოდგენა მოპასუხე მხარეს დაევალა.

გუშინ მოპასუხემ, ანუ პრეზიდენტის წარმომადგენელმა, ირაკლი კაპანაძემ ხელშეკრულება წარმოადგინა, მაგრამ ძაგანია პროცესზე არ გამოცხადდა. მის მაგივრად, სასამართლოში ძაგანიას ავადმყოფობის დამადასტურებელი წერილი მივიდა. სასამართლო იძულებული შეიქნა, შესვენება 9 ივნისამდე გაეხანგრძლივებინა.

# ბათუმში დაკარგულ 300 ათას დოლარს მეზღვაურები დღემდე ეძებენ

*საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირი 3 წლის წინათ ბათუმში დაკარგულ 300 ათას დოლარს დღემდე ამაოდ ეძებს. მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მეზღვაურთათვის ინტერკლუბის ასაშენებლად გადარიცხული ეს თანხა აჭარის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა "ლიბერტი-ბანკმა" უკვალოდ გააქრო. საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირი აჭარის ხელმძღვანელობასა და ეროვნულ ბანკს უშედეგოდ სთხოვს დახმარებას.*

ნანა ქადაგიშვილი

საბჭოთა პერიოდის მომსწრე ბათუმელებს კარგად ახსოვთ მეზღვაურთა დასასვენებელი ინტერკლუბის შენობა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მსგავსი დაწესებულებების ფუნქციონირება, თითქმის, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში შეწყდა. მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციამ ინტერკლუბების აღდგენა განიზრახა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, მაგალითად - ლიტვაში, უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოში შესაბამისი პროექტები დააფინანსა. ინტერკლუბი ფოთში უკვე აღდგა; 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში 300 ათასი დოლარის გრანტი გადმოირიცხა ბათუმის ინტერკლუბის მშენებლობისთვისაც; დაგეგმილი იყო 500 ათასი დოლარის გამოგზავნაც. როგორც საქრთველოს მეზღვაურთა პროფკავშირის ხელმძღვანელი ირაკლი ტუღუში აცხადებს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აჭარის ხელმძღვანელობა მაშინ ამ სკითხით არ დაინტერესებულა. მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მოლაპარაკება მხოლოდ ბათუმის მეზღვაურთა პროფკავშირთან ჰქონდათ და ბანკიც, სადაც გრანტი უნდა გადარიცხულიყო, ერთობლივად შეარჩიეს. "ლიბერტი-ბანკი" მაშინ ძალზედ სოლიდურ ბანკად მიიჩნეოდა - მშვენიერი შენობა ჰქონდა, აშშ-ს დროშაც ეკიდა, თანაც, რაც მთავარია, მისი ხელმძღვანელი, ვასილ პატარქალიშვილი აჭარის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირი იყო. ეს ბანკი თხილის ბიზნესშიც უნდა ჩართულიყო, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, "ლიბერტი-ბანკი" გაკოტრების პირას იყო მისული, ჩვენთვის კი არავის არაფერი უთქვამს. მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადმორიცხული 300 ათასი დოლარი "ლიბერტი-ბანკმა" სასწრფოდ გააქრო. თუმცა, ბანკში ოფიციალური დოკუმენტი არსებობს, რომ ეს თანხა ინტერკლუბისთვის გადაირიცხა. ამის შემდეგ "ლიბერტი-ბანკი" მალევე გაკოტრდა, მისი ხელმძღვანელი დღემდე დაუსჯელად დასეირნობს, მეზღვაურები კი კუთვნილ თანხას ამაოდ ელიან", - აცხადებს ირაკლი ტუღუში.

საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირს დახმარებისთვის ეროვნული ბანკისა და აჭარის ხელმძღვანელობისთვის მიუმართავს. დაპირების მიუხედავად, ეროვნულმა ბანკმა დაკარგული 300 ათასი დოლარის ადგილ-სამყოფელს დღემდე ვერ მიაკვლია. აჭარის ლიდერს კი შორს დაუჭერია, - ეს კომერციული ბანკის საქმეა და მე არ მეხებაო. "ასლან აბაშიძეს მხოლოდ იმასღა ვთხოვთ, ინტერკლუბისთვის შენობა გამოგვიყოს, მისი რემონტის ხარჯებს ჩვენი უცხოელი პარტნიორები გაიღებენ და შეპირებულ 500-ათასდოლარიან გრანტსაც გამოგვიგზავნიან, მაგრამ აჭარის ხელმძღვანელობა მეზღვაურებისთვის ერთ შენობას ვერ იმეტებს", - ჩივის საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირი.


IBSU
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ისარგებლეთ შესაძლებლობით
რომელსაც შზსუ გთავაზობთ

საერთაშორისო სახწავლო პროგრამა
სწავლების უმაღლესი დონე
სწავლება ინგლისურ ენაზე
წახალისება
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები,
ლაბორატორიები,ინტერნეტი,ბიბლიოთეკა,აუდიო ვიზუალური ცენტრი
სოციალურ-სპორტული ღონისძიებები.

უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი გაქვთ?
შზსუ-ში ზემოთ აღნიშნულის გარდა სხვა საშუალებებიც არის.

განყოფილებების სია:

- მრეწველობის მართვა
- ფინანსები და საბანკო საქმე
- საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობები
- მრეწველობის ორგანიზაცია
- კომპიუტერული მეცნიერებანი
- კვების მრეწველობა
- ქართველოლოგია
- ამერიკანისტიკა

სწავლების გადასახადი შეღავათები და წარმატების მიხედვით განსაგზავრელი სტიპენდიის ოდენობა

გადასახადი
მოსამზადებელ განყოფილებასა და ფაკულტეტებზე ყოველწლიური გადასახადი შეადგენს: 1000$ (ექვივალენტი ლარებში)

- უნივერსიტეტში 28 ივნისს ჩატარდება ტესტირება რომლის შედეგების მიხედვიტაც შემდგომში სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია 600$-მდე (ექვივალენტი ლარებში).
- მოსამზადებელი განყოფილების წარმატებულ სტუდენტებს გამოცდაზე მიღებული ქულების მიხედვით ენიშნებათ სტიპენდია-400$ (ექვივალენტი ლარებში) .
- ფაკულტეტებზე სწავლისას სტუდენტებს, წარმატების მიხედვით, შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა შეღავათებით (სტიპენდია)
- სწავლის საფასურის განახევრება (სტიპენდია)
- უფასო სტაჟირება საზღვარგარეთ
- საერთო საცხოვრებელში უფასოდ ცხოვრება
- 50$ (ექვივალენტი ლარებში) ყოველთვიური სტიპენდია (10თვე)
- უნივერსიტეტის შემდეგ სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში

ღია კარის დღე ყოველ პარასკევს 10სთ-დან 17სთ-მდე
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ:
დ. გურამიშვილის გამზ. №17 ტელ: (+995 32) 613062 - 610945


# რას მერჩიან?!

## ეკითხება საზოგადოებას გელა მუხაშავრია

თამარ დვალი

*1983 წელს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე დაფუძნდა "პროქტოლოგიის ცენტრი", რომელიც 1999 წელს, "მეწარმეთა შესახებ" კანონის თანახმად, შ.პ.ს-დ ჩამოყალიბდა.*
*2001 წლის 14 მაისის N 190 ბრძანებულების საფუძველზე, ჯანდაცვისა და ქონების მართვის სამინისტროების გადაწყვეტილებით, იგი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ჩაერთო. სწორედ აქედან დაიწყო დავა, რომელიც სასამართლომდე მივიდა. შ.პ.ს "პროქტოლოგიის ცენტრის" დირექტორს გელა მუხაშავრიას თსსუ-ის ხელმძღვანელობა ედავება და ყოველ მხრივ ხელს უშლის ცენტრის პრივატიზებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით გელა მუხაშავრიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა.*

ეკრან ლიტვინენკოს ფოტო

*გელა მუხაშავრია და თემურ ტაბუცაძე.*

**"მთელი ჩემი ცხოვრება პროქტოლოგიის განვითარებას მივუძღვენი და ახლა საავადმყოფოს დაქსაქსვაში მდებენ ბრალს. ამ საქმეში სტუდენტებიც ჩაითრიეს და რას გვედავებიან, თავად არ იციან. მე უამრავი სტუდენტი მყავდა და პროქტოლოგიაში წიგნიც მაქვს გამოცემული. დღესაც მზად ვარ, რომ სტუდენტებს ჩემი გამოცდილება უსასყიდლოდ გავუზიარო. როგორც ვფიქრობ, ეს საავადმყოფო უკვე ჩაძირულია, ვალები აქვს და უნდათ, რომ შეისყიდონ. სხვა საფუძველს, რომ შემედავონ, მე ვერ ვხედავ"**, - აცხადებს მუხაშავრია.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის განკარგულებით (№1137), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, რომელთანაც "პროქტოლოგიის ცენტრს" არანაირი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნია. ამის მიუხედავად დავა საოლქო სასამართლოში გრძელდება. სამედიცინო უნივერსიტეტის ადვოკატის არგუმენტები ასე ჟღერდა: "პროქტოლოგიის ცენტრის" პრივატიზება პარალიზებით ემუქრება ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული დანიშნულების მატარებელი სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებას, რაც ნიშნავს ათასობით პაციენტის და იქ დასაქმებულ მრავალრიცხოვან მედიცინის მუშაკთა ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას.

მისი პრივატიზება მზადდებოდა საიდუმლოდ, უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის პირადი გამორჩენის მიზნით. ეს ფაქტი ჩვენთვის შემთხვევით გახდა ცნობილი, რის გამოც, მივმართეთ სასამართლოს."

საოლქო სასამართლომ სამედიცინო უნივერსიტეტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილა - უარი განუცხადა.

როგორც ბატონი გელასგან შევიტყვეთ, ხელმძღვანელობა ახლო მომავალში უზენაეს სასამართლოში ჩივილს აპირებს. მუხაშავრიას ამჯერადაც გამარჯვების იმედი აქვს და თავის სიმართლეს საზოგადოების წინაშე ბიბლიაზე დაფიცებითაც ადასტურებს.

# კონტრაბანდული ავტომობილების შემოყვანას საგზაო პოლიციელები უწყობენ ხელს

*კონტრაბანდული ავტომანქანები თავისუფლად მოძრაობენ საქართველოს გზებზე. რეიდებში მათ არ ეძებენ.*

ბოლიანა ბასარიას ფოტო

**პირველი გვერდიდან**

ზემოთნახსენები ცნობის საფუძვლად კი საბაჟო დეკლარაციის ყალბ ნომერს უთითებენ, რის შემდეგაც ავტომობილი, ფაქტობრივად, განბაჟებულად ითვლება. აღნიშნულ დარღვევებს პოლიციაში, ბუნებრივია, უანგაროდ არ სჩადიან, თუმცა ამის შესახებ - უფრო ქვემოთ. იმერეთის სამხარეო პოლიციას, ჯერჯერობით, მხოლოდ კონტრაბანდის ორი ფაქტი აქვს გამოვლენილი, რომელთაგან ერთზე ძიება უკვე დასრულდა, ხოლო მეორე კი ძიების პროცესშია.

## ფაქტი N1

გასულ წელს ქუთაისში რამდენიმე "კანონიერი ქურდი" დააპატიმრეს. ზოგიერთი მათგანის მიმართ ორიგინალური მეთოდი გამოიყენეს და მათ ქონებრივ მდგომარეობას დაუწყეს კვლევა. მაშინ ოლქის პროკურატურაში აცხადებდნენ, რომ "კანონიერი ქურდები" უზარმაზარ ქონებას ფლობენ, რომელთა დიდი ნაწილი უკანონო გზით იყო მოპოვებული. სამართალდამცველების მონაცემებით, კრიმინალური დაჯგუფებების ლიდერები ქუთაისის ტერიტორიაზე 20-მდე მშენებარე თუ უკვე აშენებულ სასახლეს ფლობენ. პროკურატურაში მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული მოტივით, პოლიციის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა "კანონიერი ქურდის" ტარიელ ფოცხვერიას მეუღლის, ირინა ასათიანის სახელზე გაფორმებული "მერსედეს-კაბრიოლეტის" შეძენის წარმომავლობის შესწავლა დაიწყეს. **"არსებობდა ვარაუდი, რომ ავტომობილი ყალბი დოკუმენტების საშუალებით იყო გაფორმებული. შესაბამისად, გადახდილი არ იყო სახელმწიფო ბაჟიც. ავტომობილი ლენტეხის საგზაო პოლიციაში იყო გაფორმებული. მასალების შემოწმების შედეგად, იმერეთის საოლქო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ლენტეხის საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო განყოფილების უფროსის ლიპარტელიანის მიმართ. მან სამსახურებრივი სიყალბე ჩაიდინა და უფლებამოსილებას გადაამატა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას იმერეთის ოლქის პროკურორის მოადგილე გურამ გვენცაძემ. მასალების შემოწმების პერიოდში ავტომობილის მფლობელმა ირინა ასათიანმა სახელმწიფო ბაჟი ათას 570 ლარის ოდენობით გადაიხადა. საგზაო პოლიციელის მიმართ კი საქმე გამოსაძიებლად რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის პროკურატურას გადაეგზავნა. სადაც ლიპარტელიანის ანალოგიური ქმედებების გამო, საქმე უკვე აღძრული იყო. ამჟამად ლიპარტელიანს პატიმრობა აქვს შეფარდებული თუმცა, მან მიმალვა ამჯობინა, რის გამოც იძებნება.

## ქუთაისის საკრებულოს წევრი კონტრაბანდული ჯიპით დადიოდა?

კონტრაბანდის მეორე ფაქტი ქუთაისის საკრებულოს წევრს, ბიზნესმენ ბონდო შალიკიანს უკავშირდება. ბონდო შალიკიანს, იმერეთის გუბერნატორსა და სამართალდამცველებს შორის, დიდი ხანია, რაც დაძაბული ურთიერთობაა. შაშიაშვილი შალიკიანს კრიმინალად მიიჩნევს და სამართალდამცველებისგან მის დასჯას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში ბონდო შალიკიანის მხილება ვერც ერთ სერიოზულ დანაშაულში ვერ შეძლეს. შალიკიანი დაახლოებულია როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე "კანონიერ ქურდებთანაც". იგი ტარიელ ონიანის მეგობრად ითვლება. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შალიკიანის გამწვავებული უერთიერთობა, შესაძლოა, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ სამართალდამცველებმა შალიკიანის "მერსედესის" ფირმის "ჯიპის" წარმომავლობის შესწავლა დაიწყეს. ამ ეტაპზე ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ პროკურატურისთვის ცნობილია, რომ შალიკიანის "ჯიპი" 2001 წელსაა გამოშვებული და, დაახლოებით, 50-60 ათასი დოლარი ღირს. პოლიციის მასალების მიხედვით, გამოვლინდა, რომ "ჯიპის" საზღვარსა და საბაჟოზე შემოსვლის ფაქტი არსად არის დაფიქსირებული. რუსთავის საგზაო პოლიციაში კი მასზე მინდობილობის მოწმობაა გაცემული. აღნიშნულის საფუძვლად საბაჟო დეკლარაცია N731-ია მითითებული, არადა, საბუთი საერთოდ არ არსებობს.

**"დოკუმენტებში მითითებულია, რომ "მერსედესი" ვინმე ლომინაძეს ეკუთვნოდა, რომელმაც შემდეგ ბონდო შალიკიანს ავტომობილი რუსთავის საგზაო პოლიციაში მინდობილობით გაუფორმა. ლომინაძე, თავის მხრივ, ამას კატეგორიულად უარყოფს, აცხადებს, ასეთი მანქანა ცხოვრებაში არ მყოლია და არც ბონდო შალიკიანს ვიცნობო. აქედან გამომდინარე, შალიკიანთან მას არანაირი მინდობილობითი ხელშეკრულება არ გაუფორმებია,"** - აცხადებს იმერეთის ოლქის პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების უფროსი ბადრი ტურაბელიძე. ბონდო შალიკიანმა კი გამოძიებაში დუმილის უფლება გამოიყენა. მან მიუთითა, რომ ავტომობილი ოსეთში უცხო პირებზე გაასხვისა. პროკურატურაში კი განმარტავენ, რომ შალიკიანმა ავტომობილი ძიების დაწყების შემდეგ მოიშორა.

აღნიშნულ ფაქტზე 2003 წლის 20 მაისს სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლით აღიძრა - საბაჟო წესების დარღვევა, პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბე. **"ჯერჯერობით, ამ დანაშაულში ბონდო შალიკიანი იმხილება-თქო ვერ ვიტყვი. გააჩნია, მას რა როლი მიუძღვის ავტომობილის შემოყვანაში. ეს უკვე გამოძიებამ უნდა დაადგინოს. საბაჟო წესების დარღვევის გამო, ქვემდებარეობის მიხედვით მასალები გამოსაძიებლად უშიშროების სამინისტროს გადაეცა. ასეთი შემთხვევები ერთეული არ არის და ძალიან გავრცელებული დანაშაულია. აქედან გამომდინარე, იმერეთის პროკურატურამ შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს სპეციალური წერილიც კი გაუგზავნა. ჩვენ ვთხოვეთ მას, რომ საგზაო პოლიციაში საუწყებო შემოწმება ჩატარებულიყო. შესასწავლია კრიმინალების და არა მარტო კრიმინალების საკუთრებაში არსებული ძვირადღირებული ავტომობილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანის კანონიერების საკითხი. დარწმუნებული ვართ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, ამ შემთხვევაში, პრინციპულ პოზიციას დაიკავებს,"** - აცხადებს გვენცაძე.

ბონდო შალიკიანი კი სამართალდამცველების ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და ყველაფერს მის წინააღმდეგ შაშიაშვილის მიერ აგორებულ კამპანიას უწოდებს.

**"ეს არის ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული პროვოკაცია. "ჯიპი"თბილისში, მანქანების ბაზრობაზე მომეწონა და ვიყიდე. გადაფორმების დროც არ მქონდა, ამიტომაც ვისგანაც ვიყიდე, იმ პიროვნებამ რუსთავის საგზაო პოლიციაში მინდობილობა გამიკეთა. მანქანა პეტრესგან ვიყიდე თუ ივანეს მივყიდე, რა მნიშვნელობა აქვს? თუ ჩემი "ჯიპი" არაკანონიერი გზით იყო შემოსული, მე რა შუაში ვარ? ყველაფრის თავი და თავი კი ის არის, რომ ბონდო შალიკიანზე მუშაობს ოლქის პროკურატურა და პოლიცია. მათ კი შაშიაშვილი კურირებს. ეგენი მე ვერაფერს დამაკლებენ,"** - აცხადებს შალიკიანი.

იმერეთის პროკურატურაში მიუთითებენ, რომ ავტომობილები კონტრაბანდული გზით არამარტო ქვეყნის შიგნით შემოდის, არამედ გადის კიდეც. მაგალითად, ქუთაისიდან გატაცებულ ერთ-ერთ "მერსედესს" კვლევა-ძიების შემდეგ სოხუმში მიაგნეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ავტომობილმა ზუგდიდამდე თითქმის ორ ათეულ პოლიციის საგუშაგოს ჩაუარა გვერდით. **"ქუთაისიდან გატაცებული მანქანები თავისუფლად მოძრაობს ტრასაზე და სამეგრელოს გავლით, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადადის. ამ ფაქტს საგზაო პოლიცია იმით ხსნის, რომ საგზაო წესების დარღვევის გარეშე, ავტომობილის გაჩერება გვეკრძალებაო. თუმცა, ვინც აინტერესებთ, მას იოლად აჩერებენ... როგორც ამბობენ, იმერეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე მოპარული ახალი "ნივა" და კარგი "მერსედესი" აფხაზეთის ტერიტორიაზე ათას დოლარად იყიდება,"** –აცხადებენ იმერეთის ოლქის პროკურატურაში.

# „ნორდ-ოსტში„ შეჭრილ ტერორისტთა საქმე შეწყდა

მოსკოვის პროკურატურამ, ბრალდებულთა გარდაცვალების მოტივით, შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც 2002 წლის ოქტომბერში მოსკოვში, დუბროვკაზე მდებარე თეატრალურ ცენტრში მძევლები აიყვანეს. მიუხედავად ამისა, პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ მთლიანობაში, საქმის გამოძიება მძევლების აყვანის ფაქტზე გაგრძელდება მანამ, სანამ დადგენილნი არ იქნებიან "დანაშაულის ორგანიზატორები, მათი დამხმარეები და დანაშაულის სხვა მონაწილეები".

როგორც ცნობილია, თეატრალურ ცენტრში, რომელშიც ასობით ადამიანი იმყოფებოდა, ტერორისტები 23 ოქტომბერს შეიჭრნენ, 26-ში კი, სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად, მძევლები გაათავისუფლეს.

მთელი ამ მოვლენების შედეგად 129 მძევალი დაიღუპა. გამოძიებამ ტერაქტით დაზარალებულად 775 ადამიანი აღიარა.

პროკურატურამ დაადგინა 30 ტერორისტის ვინაობა, 11 ბოროტმოქმედის ვინაობა კი დღემდე დაუდგენელია.

"მძევლების გათავისუფლების დროს ლიკვიდირებული ტერორისტების ბრალეულობა უდავოა, დადასტურებულია საგამოძიებო მასალებითა და მოპოვებული მტკიცებულებებით. გამოძიებამ მათ ქმედებას შესაბამისი კვალიფიკაციაც მისცა: იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ დამზადება და შეძენა, მძევლების აყვანა, მკვლელობა და ტერორისტული აქტის განხორციელება", - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

გამომძიებლები ასევე აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში დასრულდება 19 ოქტომბერს მოსკოვში, რესტორან "მაკდონალდსის" შენობასთან მომხდარი აფეთქების გამოძიება. გამომძიებელთა მტკიცებით, მათ შეძლეს იმ დამნაშავეთა წრის დადგენა, რომლებიც ამ აფეთქების უკან დგანან.

როგორც ცნობილია, "მაკდონალდსთან" მომხდარ აფეთქებას სამართალდამცველები თავის დროზე დუბროვკაში შეჭრილ ტერორისტთა ცოცხლად გადარჩენილ ნაწილს უკავშირებდნენ.

## ინფორმაცია

### რუსეთში კავკასიელი ქურდები აქტიურობენ

რუსეთის მილიციის დასკვნით, მოსკოვში გასტროლიორი ქურდების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. რუსეთში ჩასულ კრიმინალთა დიდი უმეტესობა კავკასიელები არიან, რომელთა შორისაც აზერბაიჯანიდან და საქართველოდან ჩასული ქურდები სჭარბობენ.

მოსკოვის მილიციის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის განცხადებით, მილიციის მორიგე ჯგუფმა დააკავა ბინის ქურდების ჯგუფი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. დაკავებულები - კობახიძე, ტაბატაძე და სულაქველიძე ბინებს სატელევიზიო ანტენებისა და კონდიციონერების მიხედვით ირჩევდნენ.

ქართველი ქურდები შერჩეული ბინის მეზობელი კარების სათვალთვალო ჭრილებს გმანავდნენ, რათა მეზობელთა თვალთახედვის არეში არ მომხვდარიყვნენ, შემდეგ ამტვრევდნენ საკეტებს და ბინიდან ძვირფასი ნივთები გამოჰქონდათ. მილიციამ ქართველი ქურდების სამეული ერთ-ერთი ბინის გატეხვის მომენტში დააკავა.

### მოსკოვის ხელისუფლება პროსტიტუციის წინააღმდეგ გამოდის

მოსკოვის საქალაქო დუმის დეპუტატებმა პროსტიტუციის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი პროგრამა შეიმუშავეს. გადაწყვეტილება დუმის იმ კომისიის სხდომაზე მიიღეს, რომელიც მოსკოვში ბავშვთა პროსტიტუციის პრობლემებს მიეძღვნა.

მოსკოვის დუმის წევრებმა მხარი დაუჭირეს მიმართვას პრეზიდენტ პუტინისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ აუცილებელია რუსეთის არასრულწლოვანი მოქალაქეების დაცვა პროსტიტუციისგან, რისთვისაც სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას ითხოვენ.

მოსკოვის დუმის ჯანმრთელობის დაცვის კომისიამ მოამზადა კანონპროექტი სექსუალური მომსახურებით მოსარგებლე პირების პასუხისმგებლობის თაობაზე. ასეთი კანონი შვედეთში სულ ცოტა ხნის წინ მიიღეს და მან სერიოზული შედეგებიც მოიტანა.

ექსპერტთა მონაცემებით, ბოლო დროს მოსკოვში პროსტიტუციას ეწევა 100 ათასი ადამიანი, რომელთა 25 პროცენტი - არასრულწლოვანი გოგონაა. სამართალდამცველთა მონაცემებით, მოსკოვში პროსტიტუციის ბიზნესს ყოველთვიურად კრიმინალური სტრუქტურებისთვის 15-დან 50 მილიონამდე დოლარი მოგება მოაქვს.

### "დედოვშჩინის" ფაქტები კრემლში

მოსკოვის სამხედრო სასამართლო აგრძელებს კრემლის ბატალიონის ჯარისკაცის, 20 წლის ალექსანდრ ფოკინის წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების სასამართლო განხილვას. სასამართლო პროცესი ორშაბათს დაიწყო და ასამართლებენ კრემლის ბატალიონის უმცროს სერჟანტს ვლადიმირ შუმენკოს, რომელსაც ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ძალადობაში. უმცროსი სერჟანტი რიგითი ფოკინის წინააღმდეგ ძალადობას თვეების მანძილზე ეწეოდა. რაც იმით დასრულდა, რომ ფოკინმა, თვითმკვლელობის მიზნით, სამართლებლით ვენები გადაიჭრა. ვენებგადაჭრილი რიგითი ფოკინი იპოვეს კრემლის ტუალეტში, რომელიც პრეზიდენტ პუტინის კაბინეტიდან 100 მეტრში მდებარეობს. საბედნიეროდ, რიგითი ჯარისკაცი სიკვდილს გადაურჩა.

შუმენკოს 10 წლამდე პატიმრობა ელის.

### ბრიუსელის სასამართლოში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს

ბელგიის პოლიციამ ბრიუსელის სასამართლოს შენობის ფოიეში საეჭვო მოწყობილობა აღმოაჩინა. ექსპერტთა წინასწარი მონაცემებით, სასამართლოს შენობიდან ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა. რამდენიმე დღის წინ ბრიუსელის სასამართლოში იმ 23 განსასჯელის სასამართლო პროცესი დაიწყო, რომლებიც ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ ქაიდასთან" თანამშრომლობაში არიან ეჭვმიტანილნი. ბრალდებულთა შორისაა ბინ ლადენის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი ნიზარ ბენ ტრაბელსი. მას ბრალი ედება ბელგიის სამხედრო ავიაბაზის აფეთქებაში.

სასამართლოს პრესმდივნის ინფორმაციით, ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოჩენილია, ასევე, სასამართლოს შენობის წინ, ქუჩაში. მან მომხდარი ფაქტის შესახებ სხვა კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. არანაირ კომენტარს არ აკეთებს არც ბელგიის პოლიცია.

## მოკლედ

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები გუშინ დილიდან მუშაობას ჩვეული რეჟიმით შეუდგნენ.

ბადრაგის თანამშრომელთა გაფიცვის გამო, გუშინწინ თბილისის სასამართლოებში პროცესები ჩაიშალა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ეს უკვე მეორე საპროტესტო აქცია იყო. საბადრაგო სამსახურის წევრები ხელფასების გაზრდას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. ბადრაგის თანამშრომელთა ერთ-ერთი მოთხოვნა მათი პირადობის მოწმობებს უკავშირდება. კანონით, მათ იარაღის ტარების უფლება აქვთ, თუმცა პირადობის მოწმობებში ეს უფლება დაფიქსირებული არ არის.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის თქმით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად მუშაობა უკვე დაწყებულია; გადაწყვეტილება სახელმწიფო მინისტრმა უნდა მიიღოს. "ბადრაგის თანამშრომელთა მიერ დაყენებული პრობლემები ერთ დღეში ვერ მოგვარდება და მათი მოქმედება გარკვეულ ძალთა მიერ არის ინსპირირებული", - აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რევაზ ნადიბაიძე და ირაკლი კალანდაძე პოლიციელებმა ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს. ისინი წარსულში ოთხჯერ არიან ნასამართლევნი. ნადიბაიძეს და კალანდაძეს ბრალად ედებათ თბილისში, იყალთოს ქუჩაზე ჯემალ ახმედოვის ოჯახზე თავდასხმა. გამოძიების მტკიცებით, თავდამსხმელებმა 1.113 ლარი, 52.500 აზერბაიჯანული მანათი და საოჯახო ნივთები გაიტაცეს. დაკავებისას კალანდაძემ და ნადიბაიძემ პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ე. წ. ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 26 წლის დავით ციციშვილი მაშინ დააკავეს, როდესაც ის თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიას დაესხა თავს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, ციციშვილი გამყიდველს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ფულს სძალავდა. დაკავებულს ჩამოართვეს სანადირო თოფი და პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. მის მიმართ აღძრულ საქმეს შს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ადიგენი.** ადიგენის რაიონის პოლიციამ ბაღდათის რაიონის სოფელ როხვში მცხოვრები, 24 წლის ზაალ გაჩეჩილაძე დააკავა, რომელმაც კურორტ აბასთუმანში ურთიერთშელაპარაკებისას, ბასრი საგნით გულმკერდის არეში დაჭრა მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში მცხოვრები, 34 წლის გივი გვრიტიშვილი, რომელიც ამჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების რიგითები - 20 წლის ვასილ ჩხეტიანი და 21 წლის რამაზ ნატროშვილი ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა სამხედრო ნაწილის საწყობის გაქურდვისთვის დააკავეს.

პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ჩხეტიანი და ნატროშვილი კასპის რაიონიდან არიან და მათ ბრალად ედებათ ისნის რაიონში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სამხედრო ბაზის სანყობიდან სხვადასხვა სამხედრო აგრეგატების მოპარვა.

აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას სამხედრო პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საოლქო სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევაში ბრალდებული ჩეჩენი პატიმრის, ისაევის სასამართლო პროცესი დღეს განახლდება. წინა პროცესზე განსასჯელის ადვოკატმა სასამართლოზე ოფიციალური დოკუმენტები წარმოადგინა, რომლითაც, მისი თქმით, პროკურატურის მიერ ისაევის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების კანონიერება ეჭვქვეშ დადგა.

■ ■ ■

**ქუთაისი.** წყალტუბოს რაიონული პოლიციის საგამოძიებო განყოფილებამ ნესტან ყურაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მას ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვის ბრალდება წაუყენეს.

პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ იგი მინდობილობის საფუძველზე მიღებულ, ონკოლოგიური ავადმყოფისთვის - ნანული სანგირაძისთვის განკუთვნილ ნარკოტიკულ საშუალებებს თავად ისაკუთრებდა, ავადმყოფთან კი სხვა წამლები მიჰქონდა.

"წყალტუბოში ძალიან ბევრი ონკოლოგიური ავადმყოფია. ჩვენი აზრით, მათთვის გაცემული წამლები ყოველთვის დანიშნულებისამებრ არ გამოიყენება. ჩვენ ყველა სიას გადავამოწმებთ," - აცხადებს წყალტუბოს პოლიციის უფროსი გელა დარსაძე. **ინტერ-პრესი**

ბესარიონ ბერიძე, ალექსანდრე ნაბერეჟნი, ნინო ბურჯანაძე, ეროვნული ალიანსი

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# მიტინგი

მაია ჭალაგანიძე

*მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან ჩვენი ინტეგრაცია ახლოვდება, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ქვეყნებისთვის ვიქეციით სტრატეგიულ პარტნიორად, ჩვენი პატარა ქალაქის მთავარი ქუჩა კვლავ პარალიზებულია...*
*აგერ უკვე 15 წელია, არ შეცვლილა აქციაზე გამომსვლელთა ლექსიკა, პათოსი და შემართება. 15 წლის წინაც და ახლაც საზოგადოება პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებს. უბრალოდ, მაშინ სოციალური ისე აქტუალურად არ ჟღერდა, როგორც ახლა.*
*დიახ, მაშინ მოთხოვნები სხვა იყო, მიტინგიც სხვებს მიჰყავდათ და დროშებიც სხვებს ეჭირათ. დღეს ამ დროშების დიდი ნაწილი კანცელარიისა და პარლამენტის ოთახების კუთხეებშია აყუდებული. საინტერესოა, რას ფიქრობენ პირველი მიტინგების აქტივისტები და მაშინდელი ხელისუფალი. თუმცა, ბევრი მათგანის პოზიცია რადიკალურად არის შეცვლილი... ხელისუფლების მომხრე მსხვილ თუ წვრილ ერთეულებს, წარსულში ეროვნულსა თუ კომუნისტურ ძალებს, აშკარად ეტყობათ საარჩევნო ბლოკში ჩატარებული მეცადინეობა-კონსულტაციების კვალი. ოპოზიციის მიერ დაწყებული აქციის საწინააღმდეგო არგუმენტების თემა, ინტონაცია და წინადადებების წყობა ერთია და ძალიან ჰგავს იმ ადამიანის ნააზრევს, რომელიც 12 წლის წინ მეორედ და სამუდამოდ დასარჩენად მოვიდა ხელისუფლებაში.*

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე. წარსულში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, წარსულში სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

პარლამენტარი, წარსულში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სახალხო პარტიის თავჯდომარე. წარსულში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი

მწერალი. წარსულში სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

## ირაკლი წერეთელი: არც ხელისუფლებას და არც მომიტინგეებს ერთმანეთისგან არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ

- მიტინგის მრავალრიცხოვნებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობაა საჭირო: თემატიკა საინტერესო, აქტუალური და ასაღელვებელი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. სამყაროში უამრავი საინტერესო საკითხია, მაგრამ თუ იმ წუთს საზოგადოებას ის არ აინტერესებს, ვერანაირ მიტინგს ვერ მოაწყობ... მიტინგი რომ მრავალრიცხოვანი იყოს, საკითხი იმ დროში და იმ სივრცეში აქტუალური უნდა იყოს.

**- დღეს დაწყებულ აქციაზე წამოყენებულ საკითხებზე რას იტყვით?**

- არა მგონია, რომ ქართულ საზოგადოებას დემოკრატია აწუხებდეს.

**- აბა, რამ გამოიყვანა ეს ხალხი?**

- განა რამდენი კაცია?! იმ რეკლამის შემდეგ, რაც ამ მიტინგს გაუკეთდა, 50 000 მაინც უნდა მოსულიყო და რომ დათვალო, 4 ათასიც არ იქნება. ეს არ არის მრავალრიცხოვანი მიტინგი.

მიტინგის წარმატებისთვის აუცილებელი პირობა მიტინგის ორგანიზატორთა და ლიდერთა პოპულარობაა.

**- თემატიკა?**

- დემოკრატია იმხელა ღირებულებაა, რომ ამისთვის ბრძოლა, სიცოცხლე და სიკვდილიც ღირს. ჩვენ ვაპირებთ ამ თემით მიტინგზე ხალხის გამოყვანას, მაგრამ ძალიან უხერხულია, როდესაც დემოკრატიის დროშის ქვეშ ისეთი პიროვნებები დგანან, რომელთა მოღვაწეობაც სიყალბეზე დგას.

**- მიტინგების წაყვანის დიდი გამოცდილება გაქვთ. როგორ უნდა იმოქმედო, თუ გრძნობ, რომ ხალხი იშლება?**

- მიტინგზე მოსულ კაცს რომ გართობა დასჭირდება, ნიშნავს, რომ ეს მომიტინგეები ვერაფერს გააკეთებენ. დემოკრატია იმხელა თემაა, რომ მარტს შემიძლია ხუთი და ათასაათიანი მიტინგების წაყვანა...

**- წამყვანი რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს?**

- უპირველეს ყოვლისა, გარეგნობა უნდა უწყობდეს ხელს - ეს აუცილებელი ატრიბუტია. საჭიროა იყოს კარგი ორატორი, თუმცა, ორატორობით არც სააკაშვილია ცუდი. შეიძლება - ანეკდოტი მოყვე, პატარა კონცერტი გამართო, დროშა ააფრიალო... მაგრამ, თუ ხალხს იქ გასაჩერებლად სანახაობა სჭირდება, ის მიტინგი შევარდნაძეს ვერ წააცევს. შევარდნაძეს იმ ადამიანების მიტინგი წააცევს, ვინც თავისუფლებისთვის ბრძოლაში არ დაიღლებიან.

ამ მიტინგზე ასეთი ხალხი არ არის, ეს იცის ედუარდ შევარდნაძემ და იმიტომაც არ ეშინია მათი.

**- როგორია მიტინგის არქიტექტურა, როდის დგება კულმინაცია?**

- ეს ინდივიდუალურია და კონკრეტულ მიტინგზეა დამოკიდებული. მასობრივი სანახაობა, თავისი არქიტექტურით, ომს, ბრძოლას ჰგავს. მიტინგის ჩატარების ზოგადი პრინციპებია სასიცოცხლოდ აქტუალური თემა და ლიდერები.

დღევანდელი აქციის კულმინაცია სად იქნება, ვერ გეტყვით, რადგან მონაწილეობას არ ვიღებ. ჟვანია-სააკაშვილის დროშის ქვეშ ვერ დავდგები

**- თქვენი დროშა მიიტანეთ...**

- რაღა მაინცდამაინც დღეს უნდა მივიტანო ჩემი დროშა? დღეს, როცა საქართველო ნატო-ს კარიბჭეს მიუახლოვდა, აშშ-ს პარტნიორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ეს ყველაფერი ედუარდ შევარდნაძის აქტივობით მოხდა და ხელისუფლებაში სულ რაღაც წელინადნახევარი თუ იქნება - რაღა ახლა დაუპირისპირდნენ შევარდნაძეს?

**- რა საფრთხე მოდის ხელისუფლებისგან, როცა ხალხი ქუჩაშია გამოსული?**

- დღეს ხელისუფლებისგან არანაირი საფრთხე არ მოდის, რადგანაც ეს მიტინგი ვერ მიიღებს იმ მასშტაბებს, რომ ხელისუფლების შიში გამოიწვიოს...

შევარდნაძემ მრავალთან ერთად ერთი რომაული სიბრძნეც ისწავლა - ადამიანს ორი ყური იმიტომ აქვს, რომ რაც არ მოეწონება, ერთ ყურში შეუშვას და მეორედან გაუშვას... შევარდნაძე ამათ ყიყინს მოისმენს და მორჩა. ესენიც დაიღლებიან და სახლში წავლენ... ასე რომ, არც ხელისუფლებას და არც მომიტინგეებს ერთმანეთისგან არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ. ეს არ არის საშიში ღონისძიება.

**- ამ აქციაზე არ მიხვალთ?**

- ჟვანია-სააკაშვილის ელექტორატთან სათქმელი არაფერი მაქვს, რადგან პოლიტიკური თავმოყვარეობა გამაჩნია.

## თედო ისაკაძე: ყველაფერი არჩევნებზე გამოჩნდება და არა მიტინგზე...

- ამ შემთხვევაში ექსპერტად არ გამოვდგები, რადგან როდესაც ჩვენ მიტინგებს ვატარებდით, მაშინ ამისთვის ხელისუფლება გვიჭერდა. აბსოლუტურად განსხვავებული ლოზუნგი გვქონდა და ის ძალიან ბევრისთვის და მათ შორის, ცეკას წევრებისთვისაც მისაღები იყო.

ახლა ლაპარაკია ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე და, შესაბამისად, მიტინგების ფორმაცა და შინაარსიც განსხვავდება. ბარე ხუთი პარტია მეგულება რომელსაც სერიოზული მიტინგების მოწყობა შეუძლია და მათ შორის ჩვენს ბლოკსა და ფრაქციას...

**- კანცელარიიდან როგორ ჩანს, რას უქადის ეს აქცია ხელისუფლებას?**

- თუ გონია, რომ ვზივართ და ვკანკალებთ, ოპოზიცია ძალიან შემცდარა. სიტუაციას რეალურად ვფლობთ, ვიცით მოსახლეობის განწყობა და ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც მასობრივ კამპანიას წამოიწყებენ. უფრო მეტსაც გეტყვით - ანალოგიური მიტინგები საპირისპირო ლოზუნგებითაც შეიძლება მოეწყოს...

**- ხომ არ აპირებს ამას ხელისუფლება?**

- როგორ შეიძლება ხელისუფლება მიტინგების პასუხს აპირებდეს? მხარდამჭერები ჩვენც გვყავს. ყველაფერი არჩევნებზე გამოჩნდება და არა მიტინგზე.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ცესკო-ს დაკომპლექტების თაობაზე?**

- რომელ ცესკო-ზეა დავა, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ რომ დააკომპლექტა და სამი არჩევნები რომ გაიარა?! ახლა გახდა ცუდი?!

**- რა შეიძლება ამ მიტინგმა მოიტანოს?**

- ზოგიერთს იმდენად მოადგა დუჟი, რომ პროვოკაციები გამორიცხული არ არის. თვიდან თვემდე რეიტინგებს ჩვენც ვატარებთ და ყველა კარგად ხედავს, რომ მზარდი რეიტინგი გვაქვს, საკმაოდ პერსპექტიულად მივდივართ. ძალიან ბევრის რეიტინგი კი დავარდა.

იქით მხარეს ბევრი მეგობარი მყავს. მათ შორის გამოცდილი ხალხიც არის და ძალიან კარგად იციან, რომ შეიძლება, ეს აქცია უმართავ პროცესებში გადაიზარდოს, თუმცა, ჩვენ ამას ნამდვილად არ დავუშვებთ.

## ჯუმბერ პატიაშვილი: ხელისუფლება დესტაბილიზაციაზე საუბარს მაშინ იწყებს, როდესაც პასუხი უნდა აგოს

**- რა საშიშროება ელის ხელისუფლებას ამ მშვიდობიანი აქციებით?**

- საკმაოდ მწარე გამოცდილება მაქვს და ერთგვარი პროტესტის გრძნობაც დამეუფლა. თუმცა, ვიტყვი, რომ ეს პროტესტის კანონიერი ფორმაა. კონსტიტუცია ამის საშუალებას იძლევა...

**- როდის დგება საჭიროება, რომ ხელისუფალი ხალხთან ჩავიდეს?**

- ამის საჭიროება სულ არის... ამ კითხვას ყოველთვის მისვამენ. ეს პრობლემა მაშინ ნამდვილად არ იდგა. დღევანდელი ვითარება აბსოლუტურად განსხვავებულია, მოტივაციაც სხვა არის, თემატიკაც. სანამ ეს აქცია ჩატარდებოდა, ხელისუფალი პარლამენტში უნდა მობრძანებულიყო. დიდი ხანია, ვითარება გამწვავდა და იმიტომ.

**- რა საშიშროებას შეიძლება ელოდოს ხალხი ხელისუფლებისგან და კერძოდ, შევარდნაძისგან?**

- საშიშროებას ვერ ვხედავ. დიდი ხანია მოვითხოვ, რომ პრეზიდენტმა ჩვენი სათქმელი მოისმინოს - ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

ტრაგედია ის არის, რომ საქართველოში ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი სისტემა ჩამოყალიბდა. ამ სისტემის გამო დემოკრატიაზე საუბარი სრულიად ზედმეტია. ქუჩაში გამოტანილი მოთხოვნები ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს სახელისუფლო სტრუქტურის წარმომადგენელი ოლიგარქები მართავენ.

**- ყველაზე ცუდი რა შეიძლება მოხდეს? საპროტესტო აქციებმა მთელი საქართველო მოიცვა.**

- რეგიონებში ისეთი მდგომარეობაა, რომ ხალხს ქუჩაში გამოსვლას ვერავინ აუკრძალავს, მით უფრო, რომ პროტესტი არა მხოლოდ საარჩევნო კანონთან არის დაკავშირებული. ამ საკითხებში ხალხს ვეთანხმები.

**- ხელისუფლებას როგორ შეუძლია დღეს არსებული ვითარების გამოსწორება?**

- მას შეუძლია, პასუხი გასცეს და ქვეყნის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანისთვის ხალხს ანგარიში ჩააბარებს. თავად მაქვს ჩამოყალიბებული მთელი რიგი პუნქტები, რაზეც პასუხებია გასაცემი.

**- არსებული მოთხოვნები შეიძლება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით შეიცვალოს, მხარს დაუჭერთ?**

- ამ მოთხოვნას არა მხოლოდ ახლა შევუერთდი. ჩვენი გაერთიანება "ერთობა" არა მხოლოდ საპარლამენტო, არამედ საპრეზიდენტო არჩევნების გამო აყენებს მოთხოვნებს. შეუძლებელია, ამგვარი გაყალბების შემდეგ წესიერად ააგო შენი მოღვაწეობა. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ეს სისტემად იქცა და ამის მოწმე მრავალი წელია, ვარ. არ მინდა, რომ ეს საკითხი ისედაც გახლეჩილი საზოგადოების დაპირისპირების მიზეზად იქცეს, მაგრამ, საბოლოოდ უნდა გაირკვეს, ვინ ვინ არის და რა სურვილი ამოძრავებს. მით უფრო, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყველამ ყველაფერი იცის.

**- რას იტყვით, ხელისუფლებას ქუჩაში გამოსული ხალხის ეშინია?**

- რადგანაც თვითონ ამბობენ, რომ არ ეშინიათ - შეშინებული არიან. ამის უარყოფა სისულელეა, რადგან ნორმალურად მოაზროვნე უშიშარი კაცი არ არსებობს. შიშის გრძნობა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ, სიტუაციის უმართავ დაპირისპირებაში გადაზრდისგან ღმერთმა დაგვიფაროს.

ხელისუფლებას ხალხის კი არა, სიცრუის ხმამაღლა ლაპარაკის უნდა ეშინოდეს.

**- როგორ გგონიათ, მოისმინა პრეზიდენტმა თქვენი გამოსვლა და რას ელით?**

- არ ვიცი, მოისმინა თუ არა... ეს ყველაფერი მას დარბაზში ყოფნის დროსაც ვუთხარი - შევხვდეთ და ვისაუბროთ-მეთქი, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ პასუხს მაინც გამცემდა.

მის პიროვნებას კარგად ვიცნობ და ალბათ, ყველა ხედავს, როგორი მეთოდებით და სხვათა საშუალებით ხდება საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. ეს მე არ მიკვირს. პასუხს მთელი ხელისუფლება აგებს - ვინც არ უნდა იყოს ის.

**- მომიტინგეებთან ჩახვალთ?**

- არ ვაპირებ. აქ, პლენარულ დარბაზში მაქვს სამუშაო. მიტინგზე ჩასვლას ჩემი ოპონენტები მაქსიმალურად გამოიყენებენ და სულ სხვა თემაზე გადაიტანენ ყურადღებას. ამას პრესაც აიტაცებს...

4 წლის განმავლობაში არც ერთი ჩვენს მიერ დაყენებული საკითხი არ შესწავლილა და გადაწყვეტილება არ მიღებულა - საშინაო, საგარეო ვალი, კრედიტები... ზოგი ამბობს, ეს საზოგადოების დაპირისპირებას გამოიწვევსო - ასე არ არის.

ხელისუფლება დესტაბილიზაციაზე საუბარს მაშინ იწყებს, როდესაც პასუხი უნდა აგოს. თუ არა მე, მაშ - ვინ... - აი, ამისთვის სჭირდებათ საზოგადოების დესტაბილიზაციით დაშინება და მე ამაში მონაწილეობას ვერ მივიღებ.

## მამუკა გიორგაძე: ხელისუფლება საზოგადოებისთვის დაკეტილია

- ხალხის ქუჩაში გამოსვლის საჭიროება მაშინ დგება, როდესაც ხელისუფლების ყურები დახშულია, თვალები ამოქოლილი და დიალოგის გამართვის საშუალებას არ იძლევა. ხელისუფლება საზოგადოებისთვის დაკეტილია და ხალხიც იძულებული ხდება, აქცია გამართოს.

**- აქციაზე მოსული ხალხის რაოდენობით კმაყოფილი ხართ?**

- თუ ჩავთვლით, რომ ეს აქციის პირველი დღეა და ძირითადად პოლიტიკური თემატიკაა აქტუალური, ყოველივე ნორმალურად მიმდინარეობს.

**- როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, რისი საშიშროება არსებობს?**

- განვითარების ორი გზა არსებობს, ერთი: ხელისუფლება დიალოგზე მოდის, საზოგადოების აზრს ითვალისწინებს და მაგიდასთან ჯდება, ანდა ავტომატურად დგება ამ ხელისუფლების წასვლის საკითხი. იწევს მუხტი, იწევს ორგანიზებულობა და აქციები ამ მოედნიდან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გადადის.

თუ ხელისუფლება საბოლოოდ დაკარგავს გონიერებას და პროვოკაციის მოწყობას შეეცდება, შეიძლება პროცესები არაორგანიზებული გახდეს.

**- რა იქნება კულმინაცია?**

- კულმინაცია მას შემდეგ დადგება, როდესაც ხელისუფლება საბოლოოდ გვეტყვის, არის თუ არა მზად იმისთვის, რომ ქართველ ხალხს მოუსმინოს.

**- თქვენი თანამოაზრეები პარლამენტის დარბაზშიც იბრძვიან. რა მოლოდინი გაქვთ?**

- ჯერ-ჯერობით, დიალოგის სურვილს ვერ ვხედავთ.

**- ხომ შეიძლება, დადგეს წუთი, როდესაც ხალხს აღარ დაინტერესოს მიტინგის თემატიკამ და დაშლა დაიწყოს?**

- აქციაზე მოსულმა ხალხმა თავისი მოსაზრება გამოხატა და თუ ხელისუფლება არ მოუსმენს, ხალხი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ცესკო-სი და არჩევნების კი არა, ამ ხელისუფლების წასვლის მოთხოვნები დააყენოს; ხელისუფლებას მუშაობაში პრობლემები შეუქმნას - გზების გადაკეტვა, პიკეტირება - კონსტიტუციით დაშვებული მშვიდობიანი ხერხები გამოიყენოს. დაიწყება მოძრაობა - საზოგადოება ამისთვის დიდი ხანია, მზად არის.

**- როგორ ატყობთ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს აქციები?**

- ჯერ-ჯერობით, მუხტი აწეული არ არის. ალბათ ეს მაშინ მოხდება, როდესაც საბოლოოდ გახდება ცნობილი ხელისუფლების პოზიცია. ეს ჩვეულებრივი, სამუშაო აქციაა. ვერ გეტყვით, როდის დაიშლება, მაგრამ პერმანენტულ ხასიათს რომ მიიღებს, ცხადია.

## დათო ტურაშვილი: არჩევანის უფლება სამოქალაქო მოთხოვნაა და არა პოლიტიკური

**- 80-იანი წლებისგან განსხვავებით დღეს არააქტუალური ხომ არ გახდა პოლიტიკური მოთხოვნები და ხომ არ აისახება ეს მიტინგზე მოსული ხალხის რაოდენობაზე?**

- არჩევანის უფლება პოლიტიკური მოთხოვნა არ არის, ეს სამოქალაქო მოთხოვნაა. მე, პირადად, ნაკლებად მაინტერესებს პოლიტიკური მოთხოვნები. აქციაზე მოსული ხალხი სამოქალაქო მოთხოვნებს აყენებს. არჩევანის წართმევა დახვრეტის ტოლფასია. საზოგადოება საკმაოდ შეგნებული აღმოჩნდა და მიხვდა, რომ არჩევანის წართმევის მერე ყველაფერს წაართმევენ.

**- კანცელარიასთან აქციის გადანაცვლება ხომ არ იყო სტრატეგიული შეცდომა?**

- არა მგონია, შეცდომა იყოს. ამ პროცესის ბედს შევარდნაძე გადაწყვეტს და სადაც შევარდნაძეა, ხალხიც იქ მივიდა.

**- დღეს კანცელარიაში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა, თქვენმა თანამებრძოლებმა გადაინაცვლეს. ბრძოლის დასაწყისში ეტყობოდათ ამ ადამიანებს, როგორ და სად დაამთავრებდნენ თავის მოღვაწეობას? როგორ უნდა გამოიცნო ეს?**

- ამ თემაზე კომენტარს ნუ გამაკეთებინებთ, იმიტომ რომ, ეს მათი არჩევანია. საკუთარ არჩევანს კი ყველამ თვითონ უნდა გაუკეთოს კომენტარი. მე კი, სადაც ვთვლიდი რომ უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის იქ ვიყავი.

**- დავუბრუნდეთ აქციებს... ტექნოლოგიურად როდის არის მიტინგის ტემპერატურა ყველაზე მაღალი?**

- გააჩნია, რა მოთხოვნებია. ამ შემთხვევაში კულმინაციას რამდენიმე დღე დასჭირდება. ილუზია, რომ საკითხი ერთ დღეში მოგვარდებოდა, ორგანიზატორებს არ ჰქონიათ.

**- როგორც აქციის რიგითი, მაგრამ გამოცდილი წევრი, ფიქრობთ, რომ ლიდერებს ბოლომდე შემართებით დგომის ენერგია აქვთ?**

- კი, ნამდვილად იგრძნობა.

**- საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ აქციით ვერაფერს შეცვლის და მიტინგებს სკეპტიკურად უყურებს...**

- ამ ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ მათ ცხოვრებას სხვა ვერავინ შეცვლის. ხვალინდელი დღე თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. ყველამ უნდა იწვალოს.

ხალხთან დგომაზე ფასეული კი არაფერია. ყოველთვის მინდა ვიყო იქ, სადაც ის ხალხია, ვისაც ვეკუთვნი და ვისი ნაწილიც ვარ.

**- ამ ტიპის ხელისუფლებამ რა შეიძლება დაუშაოს ამ ტიპის მიტინგს?**

- სურათი ნათელია - ყველა გამოკითხვითა და რეიტინგით ჩანს, რომ ხელისუფლება აბსოლუტურად გაკოტრებულია და მხარდაჭერის უმცირესი პროცენტი აქვს. ბუნებრივია, მათთვის ძალზე ძნელი შესაგუებელია ის ფაქტი, რომ შეიძლება დაკარგონ ყველა სიკეთე, რაც მათ ხელისუფლებაში ყოფნამ მოუტანა. ამიტომ ასე მშვიდობიანდ და ადვილად ნამდვილად ვერ შეელევიან სკამსა და ქონებას.

ადამიანს ჰგონია, რომ თუ თანამდებობა და ბევრი ფული არ აქვს, არ არსებობს. ასე არ არის, რა მოხდა მერე - იყო, ახლა სხვა მოვა და ა.შ.

**- ოპოზიციის ლიდერებს თუ აქვთ შემუშავებული აქციის პროვოკაციებისგან დამცავი მექანიზმები?**

- ალბათ, ლიდერები ამაზე ზრუნავენ... ყველა ზრდასრული ადამიანი ხვდება, რომ შეიძლება პროვოკაცია მოაწყონ და ამისთვის მეტ-ნაკლებად მზად არიან. ამის შესახებ დღეს ბევრჯერ გაისმა მიტინგზე. ყველა ქვეყანაში, ყველა მიტინგზე, როცა ცვლილებები ხდება, პასუხისმგებელი ხელისუფლებაა.

ხელისუფლება, რომელიც ჩიხშია, ბუნებრივია, დაპირისპირების გამძაფრებას იწყებს. დღეს ოპოზიცია უმარტივეს რამეს - დემოკრატიული არჩევანის უფლებას ითხოვს და ამაზეც არ არიან თანახმა...

ვისაც ჰგონია, რომ ცხოვრება მხოლოდ მოლხენაა, მართალი არ არის. წვალება უნდა, მთელი საქართველოს ისტორია წვალებაა.

# მსოფლიოში ცნობილი ბანის საიუბილეო კონცერტი

პაატა ბურჭულაძე კომპაქტდისკის ყდაზე

თეონა ჯაფარიძე

გრანდიოზული გალაკონცერტი, რომელსაც თბილისი ივნისის თვეში ელოდება, უკვე კარს მოგვადგა. თუმცა, პოლიტიკურად ანგაჟირებული თბილისი არჩევნებს უფრო მოელის და შესაბამისად, საზოგადოება ივნისიდან მოყოლებული ნოემბრის ჩათვლით პოზიციასა და ოპოზიციას მიყიდულ შოუბიზნესის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ პომპეზურ (ვეჭვობ, მაღალი დონის) კონცერტებზე ივლის. 17 ივნისს კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საერთაშორისო დონის კონცერტი, ალბათ, ერთადერთი იქნება, რომელსაც ვერანაირი პოლიტიკური ძალა ვერ იყიდის. იმიტომ, რომ კონცერტში მონაწილე რვა ცნობილი საკმაოდ ძვირადღირებული ქართველი საოპერო მომღერალი ყოველგვარი ჰონორარის გარეშე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საკუთარი ნებით ჩამოდის სამშობლოში, რათა ცნობილი ბანის პაატა ბურჭულაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე აღნიშნოს. გუშინ კონცერტის ორგანიზატორის "თაგის არტსის" ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა. კონცერტში მონაწილე ვარსკვლავთა სია ასე გამოიყურება: იანო ალიბეგაშვილი, თეა დემურიშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, თამარ ჯავახიშვილი, ლადო ათანელი, ბადრი მაისურაძე, ლაშა ნიქაბაძე, ზურაბ სოტკილავა და მოწვეული სტუმარი, სახელგანთქმული სოპრანო მარინა გულედინა. თბილისამდე პაატა ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტს 14 ივნისს მოსკოვი, დიდი თეატრის სცენა უმასპინძლებს. მოსკოვი, თითქოს, ვალშია ქართველი ბანის მიმართ: შეგახსენებთ, რომ 1998 წელს რუსეთის პრეზიდენტთან არსებულმა პიროვნების პალატამ ქართველ ვარსკვლავს სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსანდრე მეორის მიერ ხელმოწერილი თავადობის დამადასტურებელი დიპლომი, თავადის ორდენი და ხმალი გადასცა. მიზეზი კი "რუსეთის კლასიკური მუსიკის" პოპულარიზაცია და საერთოდ, მუსიკალურ ხელოვნებაში გაწეული ღვაწლია. ამის დამადასტურებლად ისიც კმარა, რომ ბურჭულაძის რეპერტუარიდან მისი ცნობილი ბორის გოდუნოვის პარტია 1995 წელს მეასედ შესრულდა მიუნხენის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. 14 ივნისს დიდი თეატრის სცენაზე მის საპატივსაცემოდ გამართულ საიუბილეო კონცერტზე პაატა ბურჭულაძეს პარტნიორობას ცნობილი ბარიტონი რენატო ბრუზონი და სახელგანთქმული მარინა გულედინა გაუწევს. 15 ივნისს კი იუბილარი დანარჩენ რვა ქართველ ვარსკვლავთან ერთად უკვე თბილისში ჩამოვა. პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, რომ 16 ივნისს ბატონი პაატა ავლაბარში უპატრონო ბავშვთა სახლს "მომავლის სახლს" მოინახულებს.

17 ივნისს თბილისის ოპერის თეატრში გამართული გალაკონცერტი ორაქტიანი იქნება. შესრულდება ცნობილი არიები და დუეტები. კონცერტის ფინალი კი ზაქარია ფალიაშვილის "დაისიდან" ცანგალას კუპლეტებით დაგვირგვინდება, იუბილარის შესრულებით. კონცერტში ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მიიღებს მონაწილეობას, ვარსკვლავი 20 ივნისს დატოვებს სამშობლოს.

როგორც პრესკონფერენციაზე კონცერტის ორგანიზატორის, ანი ლაღიძისაგან შევიტყვეთ, ამ გრანდიოზული პროექტისათვის საქართველოში თანხების მოძიება მეტად გაჭირვებულა. "ამიტომ იძულებული გავხდით, რომ ბილეთები გაიყიდოს. თუმცა, მოსაწვევები თბილისში ცნობილი კლასიკური მუსიკის ფანებისა და ინტელიგენციისათვის მაინც დარიგდება. კონსერვატორიის სტუდენტებისთვის კი შეღავათებია და სტუდბილეთის წარდგენის შემთხვევაში მათთვის ბილეთს სიმბოლური ფასი (10 ლარი) ექნება", - ამბობს ანი ლაღიძე. საერთოდ გაცნობებთ, რომ ბილეთები დღეიდან რუსთაველის თეატრის სალაროში გაიყიდება, ფასი – 10-დან 100 ლარამდე.

# ნაწერი ხანჯლის წვერითა

ავტოგრაფი "პარნასში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ წიგნის მაღაზიის მესვეურთა და ქართველ ლიტერატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც "პარნასი" გაიხსნა, თბილისის წიგნის მოყვარულებს დღესასწაული არ მოჰკლებიათ: კვირა არ გასულა ისე, რომ ახალი წიგნის პრეზენტაციით ან მხიარული ღონისძიებით არ გავეხალისებინეთ. გამონაკლისი არც გუშინდელი საღამო ყოფილა.

"თეთრი გიორგის" მიერ გამოცემულ გიორგი ცოცანიძის მოთხრობების კრებულში "ნაწერი ხანჯლის წვერითა" შესულია არამარტო ახალი ნაწარმოებები, არამედ "მეცხვარეული ნოველებიც". ეს არის მოთხრობები სიმამაცესა და ერთგულებაზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, პატიოსნებასა და გონიერებაზე.

თავად ავტორს, "თუშური ლექსიკონის" შემქმნელ დიალექტოლოგს, ეთნოგრაფსა და ფოლკლორისტს, უკვე კარგად ვიცნობთ. მისი სახელის გარდა, გუშინდელ "პარნასულ" ხალხმრავლობაში დიდი წვლილი ბატონ გიორგის წიგნის მხატვარს, თენგიზ მირზაშვილსაც მიუძღვის. მან ბრძანა, სტუმრებისთვის სიურპრიზს ვამზადებო, და გუშინ მათ, ვინც "ნაწერი ხანჯლის წვერითა" შეიძინეს, ბატონი თენგიზის თითო ნახატიც ერგოთ. მოკლედ, მშვენიერი საღამო გამოვიდა.

თურმე გომეწრის ხეობაში, სიპ ქვაზე, დანისა თუ ხანჯლის წვერით ვინმე ჯამრულ გრიგოლაიძეს ლექსი ამოუკაწრავს – ნაწერებს დავტოვებ სახსოვრადო. გუშინ წარდგენილი წიგნის ავტორსაც სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია საქართველოს მთაბარში ხეტიალისას გაგონილი თუ თავსგადახდენილი ამბების მოთხრობებად ჩაწერა. და თუკი ბატონ გიორგის თხოვნას ყურად ვიღებთ და თითოეულ მათგანს ქვაზე თითო წარწერად ჩავთვლით, ნამდვილად არ დავივიწყებთ მის ამბებსაც და პერსონაჟებსაც – კაცებს, ცხვრებს, ძაღლებს, მგლებს თუ დათვებს. მით უმეტეს, თუ სახლის კედელი ბატონ თენგიზ მირზაშვილის ნახატით გვექნება დამშვენებული.

# რა თავბრუდამხვევი ყოფილა სიცოცხლე?!

თამარ სუხიშვილი

მიმდინარე სეზონზე მარჯანიშვილის თეატრში ახალი სპექტაკლის - **"თოვლივით თეთრი თოვლის"** ბოლო ჩვენება გაიმართა. სპექტაკლმა, რომელიც რეჟისორმა **ანდრო ენუქიძემ ლაშა თაბუკაშვილის** ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დადგა, მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია...

**მოქმედების ადგილი:**
**პაბი-ბიბლიოთეკა**
**მოქმედების დრო:**
**21-ე საუკუნე**

- ჰმ, პრინციპში დღეს ბიბლიოთეკა მომხიბლავი ანაქრონიზმია, – აცხადებს პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი...

ბიბლიოთეკა კი პიესისთვის ის სივრცეა, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. ის ერთგვარი თავშესაფარია პერსონაჟებისათვის, რომლებიც მარტონი არიან, გარესამყაროს მოწყვეტილნი და თითქოს დროსაც არიან აცდენილნი.

თავად განსაჯეთ, როგორია ეს პაბი-ბიბლიოთეკა, რამდენად შეუსაბამოა დროსთან და რა პერსპექტივები ექნება მას: "საინტერესო ხალხი დადის, მწიგნობარი, მაგრამ ფულს არავინ იხდის, ამხელა არზა მაქვს მევალეების! ალბათ, მალე გავკოტრდებით!" – აცხადებს ბარმენი გოგონა და პაბ-ბიბლიოთეკის მეპატრონის, მწერალ ნიკა იშხნელის მისამართით თბილი საყვედურით, ერთგვარი თავმოწონებითაც წამოიჩივლებს: "ბატონი ნიკა ყველას პატიჟებს, თვითონ კი წიგნის ფულიც ვერ დააგროვა."

ბატონი ნიკა (მიხეილ გომიაშვილი) მწერალია, როგორც ჩანს, პოპულარული; მზრუნველ, "დედობრივ" ცოლს გაცილებული, ერთადერთი ქალიშვილი უცხოეთში ჰყავს; როგორც ბარმენი გოგონა ამბობს, ვაჟკაცი კაცია, კეთილშობილი, "დასტოინი", მაგრამ ფათერაკიანი. შემთხვევითი არაა, რომ მოქმედ პირთა ჩამონათვალში ბატონი ნიკა პაბ-ბიბლიოთეკის მეპატრონედ არაა დასახელებული. დაგროვების რომანტიკა მას არ ხიბლავს. 44 წლის მწერალს მძიმე ავადმყოფობა ტანჯავს (ექიმის დიაგნოზით, მოურჩენელი ავადმყოფობა), სენზე მეტად კი დიდი სულიერი ტკივილი აწუხებს, წასული მშობლების აუხდენელი ნატვრა და აფხაზეთის ომში დაღუპული მეგობრების გაუხორციელებელი მიზნები აფორიაქებს. ეს მეგობრები არიან ნიკას თანამდევი სულები: "ჩვენ ხომ შენს წარმოსახვაში ვართ!" – ეუბნება მწერალს პიესის ერთ-ერთი მისტიკური პერსონაჟი, ნიკას წარმოსახვა, შლაპიანი ბიჭი თეთრი კაშნეთი (ზაზა იაკაშვილი), ნიკას ალტერ ეგო, სხვა მე, მაგრამ კოლექტიური მე, ანუ - ჩვენ. რეალურად ეს ექსკლუზიური "ჩვენ" არის (მე და ისინი ანუ მე და წასულები) და ნიკა წარსულშიღა არსებობს. ცხოვრობს ხსოვნით, თითქოს ერთი სული აქვს, თვითონაც გადასახლდეს მის მიერვე შექმნილ წარმოსახვაში. ნიკა ვერ ეგუება დღევანდელობას, და ჟურნალისტის შეკითხვაზე, ანდერძი თუ დაგიწერიათ ოდესმეო, იქვე შეთხზავს ანდერძს: დამასაფლავეთ მე-20 საუკუნეში. ნიკას ეს სიტყვები არ არის კეკლუცობა, გულწრფელადაა ნათქვამი. კონფლიქტი დღევანდელობასთან (მე და შენ ან მე და თქვენ) ანუ 21-ე საუკუნის დასაწყისთან აღარ არსებობს ან თითქმის აღარ არსებობს. დღევანდელობა მხოლოდ რამდენიმე კაცია: გაცილებული ცოლი, რომელიც პიესის გმირი არაა და მხოლოდ ტელეფონით ეხმიანება ნაქმარევს, ბოლონიაში სასწავლებლად გადახვეწილი შვილი, იქ ოფიციანტად რომ დაუწყია მუშაობა (ისიც არ ჩანს პიესაში); მეგობარი ლოთი პოეტი, ყველაფერზე ხელჩაქნეული გუგა (ალეკო მახარობლიშვილი), კეთილი ცინიკოსი, რომლის განწყობა (არასასურველი დღევანდელობით შექმნილი) ამ ერთი ფრაზიდანაც კარგად ჩანს: "მალე პირიქით დაილევა ხოლმე, რას არ გაუმარჯოს!"; მოკლეკაბიანი ბარმენი ხათუნა (რუსუდან გრიშკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე) – გულუბრყვილო, ოდნავ თავქარიანი, მცირემცოდნე კეთილი გოგონა, საკუთარი ბედნიერებისკენ მიმსწრაფი მომხიბლავი პატარა "თუთიყუში", რომელიც ცდილობს "ინტილიგენტებს" მიბაძოს საუბრით, აზროვნებით, ქცევით, მაგრამ ხშირად "იჭრება"; პირად ცხოვრებაში ხელმოცარული ჟურნალისტი, ჭკვიანი და საზრიანი გვანცა (ქეთინო გეგეშიძე), ნიკა იშხნელთან ინტერვიუზე რომ მისულა, ამ ინტერვიუზე მისი სამსახურში მოწყობა-არმოწყობაა დამოკიდებული; არის კიდევ ერთი პერსონაჟი, ვინმე აფრასიონ ბუაჩიძე (დავით დვალიშვილი), 80 წლის თეთრწვერა იმპოზანტური მოხუცი, გრძელი, შავი საწვიმრითა და ხელჯოხით, რომელიც თვითონ არის "მომხიბლავი ანაქრონიზმი". აფრასიონი ომგამოვლილი თაობის გულუბრყვილო ნატვრის ამხდენელად გამოეცხადება ნიკა იშხნელს, როგორც ამერიკაში მცხოვრები, ძალიან-ძალიან ბევრი ფულის პატრონი მილიონერ-მილიარდერი ქართველი ემიგრანტი და სამშობლოს გადარჩენას ჰპირდება ნიკას, ამჯერად კი მხოლოდ ფულს (ას რაღაცას და ხურდა ფულს) დასცინცლავს. მაგრამ აფრასიონი ჩვეულებრივი აფერისტი არ არის. ის მისტიკური პერსონაჟია (ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მხოლოდ აფრასიონი ხედავს ნიკას წარმოსახვას – შლაპიან ბიჭს), ის ქარონია – დაკოჟრილხელება მენავე, მიცვალებულთა სულები ამქვეყნიდან იმქვეყანაში რომ გადაჰყავს და ამაში გასამრჯელოს იღებს...

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღეს ბიბლიოთეკა მომხიბლავი ანაქრონიზმია

"თოვლივით თეთრი თოვლი" ევროპული ტიპის პიესაა და ცოტა უცხოც კია ქართული დრამატურგიული რეპერტუარისათვის. აქ არ არის ერთიანი სიუჟეტი. მოქმედების მთელი დაძაბულობა ფაქიზ და ღრმა დიალოგებში და პაუზებშია ჩადებული. ამ პაუზების ამეტყველება კი მსახიობისგან დიდ შინაგან ინტელექტსა და სამსახიობო ოსტატობას მოითხოვს. არ ვიცი, რამდენად კომპეტენტურია ჩემი აზრი – მეჩვენება, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მიხეილ გომიაშვილი ჩასწვდა თავის როლს. ვფიქრობ, მსახიობები მომავალში უფრო შეთამაშდებიან და როლებიც უფრო დაიხვეწება.

ეს არის პიესა მძაფრი შინაგანი დინამიკით. პერსონაჟები სათქმელს პირდაპირ არ ამბობენ, მარტოსული გმირები ნართაული ფრაზებით ეთამაშებიან ერთმანეთს და ამ "თამაშში" ჩანს, რომ ერთმანეთს ძალიან კარგად უგებენ; აქ, ამ "მყუდრო საგიჟეთში", კეთილგანწყობა და ურთიერთნდობა სუფევს.

თუ ნიკას გაცილებული ცოლისა და ქალიშვილის ზარებს არ ჩავთვლით, ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება, რითაც გარესამყაროს ტლანქი და დამთრგუნველი რეალობა ბიბლიოთეკის ჩაკეტილ სივრცეში აღწევს, ხათუნას უსახელო ჩოყლაყების სატელეფონო ზარებია – პირველი მოძალადე ინტელექტუალია, ცოდნა მისთვის დამცირების იარაღია, სხვათა თანდასწრებით ცინიკურად დასცინის გოგონას იმის გამო, რომ მას "კამა-სუტრა" მოთხრობა თუ რომანი ჰგონია – "იმ პირველმა რაღაც მაგარი წიგნი მირჩია, წაიკითხეო... სათაური? მოიცა... (ბლოკნოტს გადაშლის) "კამა-სუტრა" არ გესმის? "კამა-სუტრა", რატომ იცინი გიჟივით? რა ვთქვი ასეთი?.." მეორე თაყვანისმცემელიც მოძალადეა, ოღონდ მას ინტელექტი არ ყოფნის, სამაგიეროდ ჯანიანია. ეს მუტრუკი გოგონას გარეთ გაიხმობს და სილასაც გააწნავს. აი, აქ კი თავს გამოიდებენ ჩვენი ბიბლიოთეკის რაინდები და მუტრუკს გააქცევენ. და კიდევ, გარესამყარო ბიბლიოთეკის მყუდრო ცხოვრებას მკითხველის მიერ გამოგზავნილი უაზრო შეკითხვებითაც უხეშად არღვევს (სპექტაკლში რეალობა ბიბლიოთეკაში "კურიერითაც" იჭრება, ხმაურიანი მუსიკითა და მღელვარე მოლოდინით). რა აინტერესებს ნიკა იშხნელის დღევანდელ მკითხველს "საყვარელი მწერლის" ცხოვრებიდან ყველაზე მეტად? – ის, თუ რა პარფიუმერიას ანიჭებს მწერალი უპირატესობას და რაღაც კიდევ ამის მსგავსი. ამ კითხვაზე ბატონი ნიკა ცოტა ღიზიანდება კიდეც, მერე კი უცებ ხუმრობის ხასიათზე დგება და პასუხობს: "ერთხელ მწერლების სემინარზე ტრაინოი ადეკალონი დავლიე... ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს პარიკმახერი შევჭამე!" – ასეთი ჟარგონული სტილი ახალისებს ყველაზე მეტად დღევანდელი დღის ვითომდა მკითხველებს.

დღევანდელობის შეფასება კი ყველაზე კარგად გუგას მონოლოგში აისახება: "საერთოდ აღარ მესმის, რა ხდება, ვინ არის ეს ხალხი, რომელი ნაპრალებიდან გამოძვრნენ? გუშინ არარაობიდან გამოჩეკილი ვირთაგვა, ერთი-ორი პოლიტიკური "დიშოვი" სკანდალით ყველა გაზეთის თავფურცელზეა... თან მნიშვნელობა არა აქვს, კაიკაცობით თუ სიბილწით აღწევ ამას. მთავარია ჩანდე, არ დაგივიწყონ... ისე კი თუნდაც დედა გაგინოს ყველამ, უკვე რაღაცას წარმოადგენ!"

პიესა კომედიურ ჟანრშია გადაწყვეტილი და, ამავე დროს, რეკვიემია. "უეცრად თვალი გაახილე და თქვი: თოვლი იყო თოვლივით თეთრი... მგონი ტოლსტოის ფრაზაა, მაგრამ ჩემთვის შენს ნათქვამად დარჩა... ჩვენი სიყმაწვილის ქათქათა თოვლი, ახლა ნაშარდალი და ტალახგამჯდარი..." – ასე იხსენებს ნიკა ტამიშთან დაღუპული ერთ-ერთი მეგობრის სიკვდილს. თოვლივით თეთრი თოვლი ომგამოვლილი და ჩაწინხლული თაობის სიმბოლოა, ყველაზე ნათელი სიწმინდე რომ შეუგინეს. ნიკა თვითონაც მიილტვის იქითკენ, სადაც "თოვლი ყოველთვის თოვლის ფერია", მას დაღუპული მეგობრების სულებიც უხმობენ, უკურნებელმა სენმაც ხელი დარია, მაგრამ... Deus ex machina-დ აქ სწორედ ქარონი – აფრასიონი გვევლინება. სწორედ მოხუცი გახსნის კვანძს – ექიმები შეცდნენ. რენტგენის სურათებზე სიმსივნური გამონაზარდი კი არა, ჩვეულებრივი ხურმის კურკა იყო დაფიქსირებული. "კიდევ ბევრი დაგრჩა საბაჩუნო ამ ცოდვილ მიწაზე," – ეუბნება შლაპიანი ბიჭი და თავის შავ შლაპასა და თეთრ კაშნეს, რომელიც ცოტა ხნით ადრე გადასცა, უკანვე იბრუნებს. სხვაგვარად არც შეიძლება. ნიკა, რომელიც ფსალმუნებს უკითხავდა სიკვდილის წინ თავის მეგობარს, სიმბოლოა იმათი, ვინც ყველაზე მეტად შეინარჩუნა ზნეობრიობა, ვის გარშემოც პაბ- ბიბლიოთეკაში, როგორც საყდარში, შემოიკრიბნენ კარგი ადამიანები, უხეში დღევანდელობით დაბნეულნი, რომლებმაც არ დაკარგეს თავიანთი ინდივიდუალობა, არ აითქვიფნენ დღევანდელობის ჭუჭყში და შეინარჩუნეს მიზანი, რომ თოვლი უნდა იყოს თოვლივით თეთრი, საგანი უნდა ჰგავდეს თავის თავს – ე.ი. ქვეყანა – ქვეყანას, ადამიანი – ადამიანს. ეს არის არსებობის საზრისი. ნიკა არ უნდა დაიღუპოს, რადგან მისი დაკარგვა ამ ხსოვნის, წარსულის დაკარგვა იქნებოდა. ამიტომ ნიკა უნდა გადარჩეს და გადარჩება კიდეც - ნიკა (თვალებზე მოისვამს ხელს): რა თავბრუდამხვევი ყოფილა სიცოცხლე?!

სპექტაკლი "თოვლივით თეთრი თოვლი" მარჯანიშვილის თეატრში მომავალ თეატრალურ სეზონზე განახლდება.

ლიტერატურული ჯონჯური "PENმარათონი"-2003 გაიმართება 2003 წლის 7-8 ივნისს ფოთის საზღვაო ნავსადგურში, გემზე "კაპიტანი თავართქილაძე". თითოეულმა ჯონჯურისანმა 24 საათის განმავლობაში (7 ივნისის დღის 12-დან 8 ივნისის დღის 12 საათამდე) ქართულ ენაზე უნდა შექმნას ერთი ორიგინალური პროზაული ნაწარმოები. ჯონჯურისანტები იმუშავებენ გარკვეულ თემაზე, რომელიც უშუალოდ მარათონის დაწყების წინ დასახელდება.

# "კინოტავრი" უცხოელი ვარსკვლავების გარეშე ჩაივლის

## მეთოთხმეტე ფესტივალის თოთხმეტდღიანი გეგმები

თამარ სუხიშვილი

*სოკუროვი (შუაში) "მამა და შვილში" მონაწილე მსახიობებთან ერთად*

გუშინ, 3 ივნისს, სოჭში დაიწყო რუსეთის ღია კინოფესტივალი XIV "კინოტავრი" და X საერთაშორისო კინოფესტივალი. ორივე ფესტივალი კომპანია "კინოტავრის" ჯგუფის ორგანიზატორობით ტარდება და 17 ივნისამდე გასტანს.

"კინოტავრის" პრეზიდენტმა მარკ რუდინშტეინმა ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე გემზე "მაქსიმ რილსკიზე" შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წელს სოჭში არ ჩამოვლენ უცხოელი ვარსკვლავები ("კინოტავრზე" ელოდებოდნენ ნიკოლ კიდმანს და ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავებს), სამაგიეროდ, (იხტიბარი არ გაიტეხა ფესტივალის დამფუძნებელმა) ჩვენებებს დაესწრებიან ევროპული ფესტივალების მონაწილე კინოკრიტიკოსები, და, სხვათა შორის, მათი მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანია რუსული კინოსათვის.

კინოტავრის მთავარი პრიზის - "ოქროს ვარდის" მოსაპოვებლად წლეულს 18 საკონკურსო ფილმი შეეჯიბრება ერთმანეთს. მათ შორის, ალექსანდრე ხვანის "კარმენი", ივან პოპოვის "პატარა ლორდი", სერგეი სოლოვიოვის "სიყვარულის შესახებ", ფიოდორ პოპოვის "კავკასიური რულეტკა", ვიტალი მელნიკოვის "საწყალი, საწყალი პაველი", ვიტალი მოსკალენკოს "ცხოვრება ერთია", ვალერი სერიკოვის "მიზიდულობა", ბახტიერ ხუდოინაზაროვის "შიკი", ვადიმ აბდრაშიტოვის "მაგნიტური ქარები", და სხვები.

"საკონკურსოდ ყველაფრის მიღება მოვახერხეთ, გარდა ერთისა," – ამბობს მარკ რუდინშტეინი. ეს ერთი ალექსეი უჩიტელის ფილმი "გასეირნებაა".

რუსეთის XIV კინოფესტივალის მთავარ მოვლენად ალექსანდრე სოკუროვის ახალი ფილმი "მამა და შვილია" დასახელებული. შეგახსენებთ, რომ ეს ფილმი კანის ფესტივალის ნომინაციაზე იყო წარდგენილი და "ფიპრესის" პრიზი მოიპოვა. "ოქროს ვარდის" ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ცნობილი რეჟისორი ელდარ რიაზანოვიცაა.

ძირითადი კონკურსის გარდა, "კინოტავრზე" დაგეგმილია კონკურსგარეშე ფილმების კინოპანორამა და სადებიუტო ფილმების ჩვენებაც. ამ პანორამის ჩარჩოში ჟიური ორ პრემიას გასცემს – "საუკეთესო სანახაობითი კინოსა" და "პირველი ფილმისათვის."

ჩაფიქრებულია რამდენიმე საინფორმაციო ჩვენებაც, მათ შორის, პროგრამები "დოკუმენტის სარკეში" და "კინოტავრის დებიუტი. მოკლე-მეტრაჟი." კომპანია "კინოტავრის" ნოუ ჰაუს ჯგუფმა დააწესა საგანგებო ორდენი "კინემატოგრაფიული მოვლენისათვის". ამ ორდენით დააჯილდოებენ რუს მსახიობებსა და რეჟისორებს რუსეთისა და მსოფლიო კინემატოგრაფის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის, და ასევე ჟურნალისტებსაც, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კინოს პროპაგანდაში. ორდენს, "კინემატოგრაფიული მოვლენისათვის" გადასცემს კომისია მარკ რუდინშტეინის თავმჯდომარეობით; ორდენი ითვალისწინებს ერთჯერად ფულად ჯილდოსაც 1000 დოლარის ოდენობით, გარდა ამისა, გამარჯვებული მუდმივად მიიღებს პენსიას - 1500 რუბლს, ამ თანხას ინფლაცია არ შეეხება.

წლევანდელი "კინოტავრის" სიახლე ისაა, რომ პრიზი "საუკეთესო პროდიუსერული პროექტისათვის" ოფიციალურ ჯილდოთა რიცხვში ჩაიწერა და მას ძირითადი კონკურსის ფარგლებში გასცემენ. "კინოტავრის" ჟიურის წევრები არიან: ვალერი ტოდოროვსკი (თავმჯდომარე), რეჟისორი დიმიტრი მესხიევი, მწერალი ტატიანა ტოლსტაია, კომპოზიტორი ევგენი დოგა, ოპერატორი სერგეი მაჩილსკი, მსახიობი ეკატერინა გუსევა, კინომცოდნეები - ანდრეი პლახოვი და სერგეი ლაზარუკი.

რაც შეეხება X საერთაშორისო ფესტივალს, აქ კონკურსში 13 სურათი მონაწილეობს. ჟიურის თავმჯდომარეობს უკრაინელი რეჟისორი ბოგდან სტუპკა. მასთან ერთად ფილმებს შეაფასებენ: რეჟისორი ირინა ევტეევა, კინომცოდნე ოლგა სურკოვა, რეჟისორები - სტანისლავ ჩაპლინი და იუსუპ რაზიკოვი, მსახიობები - როსტისლავ იანკოვსკი და რეგიმანტას ადომაიტისი.

საერთაშორისო ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ჩართულია ცნობილი ფილმები: "24 საათი ქალის ცხოვრებიდან" (რეჟისორი: ლორან ბონიკი), "ყველას უყვარს ალისა" (რეჟისორი: რიჩარდ ჰობერტი).

ფესტივალის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე რეტროსპექტივა გაიმართება: "და ვინ არიან ისინი?" (წარმოდგენილი იქნება სოჭის I-X საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრთა ფილმები), "ვესტერნი წითელი დროშის ქვეშ" ("ლიმონათის ჯო", "ჩინგაჩგუკი – დიდი გველი", "თავისიანი უცხოთა შორის, უცხო თავისიანებს შორის"...), სპეციალური პროგრამა "ვითვლით ათამდე", რომელშიც მაყურებელი ნახავს "ორ კაპიტანს", "ხუთ საღამოს" და 8 -საც.

ფესტივალის მონაწილეებმა უკვე მოიყარეს თავი ზღვისპირა ქალაქში. დღეს, 4 ივნისს, "კინოტავრის" გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. სოჭის ზამთრის თეატრის წინ, ღია ცისქვეშ გიგანტური ამფითეატრი წამოჭიმეს. წელს რუსეთის ღია კინოფესტივალი ერთი დღით გაიზარდა, მარკ რუდინშტეინმა იხუმრა კიდეც: "მეთოთხმეტე ფესტივალი ზუსტად თოთხმეტი დღე გაგრძელდება, მეთხუთმეტე – თხუთმეტი და ასე შემდეგ... იმის გაფიქრებაც კი მზარავს, როგორი იქნება "კინოტავრი" ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე."

# სანიმუშო ქველმოქმედება

## გამოფენა-გაყიდვის პირველი დღე მოულოდნელი შედეგებით დასრულდა

ვერა ნეფარიძე

*ქველმოქმედება ყველას სასარგებლოდ*

ალბერტ ბესელიანის ფოტო

გუშინდელმა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვამ "ქარვასლაში" წარმატებით ჩაიარა. აქცია ოფიციალურად არც იყო გახსნილი, რომ უცნობმა მყიდველმა გამოფენის პირველი ექსპონატი შეიძინა. გოგი წერეთელის ნამუშევარს ზურაბ ლეჟავას გრაფიკა მიჰყვა. დღის ბოლომდე თხუთმეტზე მეტი ნახატი, რვა კერამიკული ნიმუში და წარმოდგენილი ქართული წიგნების უმრავლესობა გაიყიდა. შემოსულმა თანხამ კი 3 500 ლარს გადააჭარბა. გამოფენა ათ ივნისამდე გრძელდება. დღეიდანვე "ქარვასლას" ცარიელი კედლები ახალი, ქველმოქმედებისთვის შეწირული მხატვრული ნამუშევრებით დაიფარება.

ასეთ შედეგებს საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორები არ ელოდნენ. თუმცა, მე თუ მკითხავთ, გუშინ ყველაფერმა ლოგიკურად ჩაიარა. თავად განსაჯეთ, წარმოდგენილი იყო სამოცდაათზე მეტი ქართველი, საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული მხატვრის გრაფიკა, ფერწერა, ქანდაკება და ეს ყველაფერი საქველმოქმედო ფასად. და ეს ფასები რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო, გამოფენა-გაყიდვის პირველი დღე ისეთი შედეგებით არ დასრულდებოდა, როგორც საბოლოოდ მოხდა.

"ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ, როგორი ფორმით გაგვეკეთებინა აქცია. აუქციონზეც ვიფიქრეთ, მაგრამ გამოფენა-გაყიდვა ვამჯობინეთ. აუქციონის პრინციპი, ხომ, ძირითადად, ფასის აგდებაზე მუშაობაა; ჩვენთვის მთავარი პრინციპი სხვაა – ამ აქციაზე საუკეთესო ქართველი მხატვრების ძალიან დიდმა ნაწილმა (ვერ ვიტყვი, რომ ყველა) საქველმოქმედო მიზნით თავად შემოგვწირა საკუთარი ნამუშევრები", - გვითხრა აქციის თანაორგანიზატორმა, გაზეთ "ახალი 7 დღის" რედაქტორმა ხათუნა მაისაშვილმა. აქციის ორგანიზატორები თავიდანვე გაოცებულნი იყვნენ იმ ენთუზიაზმით, რაც იდეის შეთავაზებისთანავე ქართველი მხატვრებისგან მიიღეს პასუხად. "თითქმის არცერთ მათგანს აქციაში მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს", - მხატვართა მონდომებით აღფრთოვანებას ვერ მალავს აქციის იდეის ავტორი, კერამიკოსი მარიკა იზორია. გამოფენა-გაყიდვის კიდევ ერთი ორგანიზატორი ლიკა მამაცაშვილი კი გუშინ მთელი საღამო იმას იმეორებდა, როგორი აღფრთოვანებული და ამაყი იყო "ჩვენი ხალხის ასეთი ქველმოქმედებით".

"ქარვასლას" ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გუშინ ისეთი ხალხმრავლობა და ხმაური იყო, არავის ესმოდა შიგადაშიგ გამოცხადებული გაყიდული ნახატისა და მყიდველის ვინაობა. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, მყიდველთა უმრავლესობამ დიდად არ მოინდომა საკუთარი ვინაობის გამხელა.

მხატვრული ტილოების ფასი აქციაზე 80-დან 400 ლარამდე იყო; შედარებით ძვირი ღირდა ქანდაკება, რასაც, საბედნიეროდ, მყიდველთა მონდომებაზე დიდად არ უმოქმედია. როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ საუკეთესო შედეგებით დასრულდა ქართული წიგნებისა და ჟურნალების გამოფენა-გაყიდვა. და ბოლოს, ვინც აქციის გუშინდელი დღე გამოტოვა, არაფერი აქვს სადარდებელი. როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, მხატვრების დიდმა ნაწილმა ვერ მოასწრო საკუთარი ნამუშევრების დარბაზში მიტანა, ამიტომ დღეიდანვე გამოფენა განახლდება.

# კელვინ კლაინის ახალი, მოულოდნელი სუნამო




ჩვეულებრივ, როცა ესა თუ ის პარფიუმერული ბრენდი ქალის სუნამოს უშვებს, როგორც წესი, მალე მას მამაკაცის სუნამო მოჰყვება ხოლმე (ან პირიქით). კელვინ კლაინმა, გარკვეულწილად, დაარღვია ეს ტრადიცია: მან, დაახლოებით, ერთი წლის წინ, ქალის სუნამო - Truth Calvin Klein გამოუშვა. როცა ყველა ამ სუნამოს მეწყვილეს, მამაკაცის სუნამოს მოელოდა, კელვინ კლაინმა მოულოდნელად, მამაკაცებისთვის Crave შექმნა; ხოლო როცა ყველა უკვე ქალების Crave-ს ელოდა, სიურპრიზის სახით, მსოფლიოს პარფიუმერულ ბაზარზე, "დაგვიანებული" Truth Calvin Klein Men გამოჩნდა.

მამაკაცის Truth Calvin Klein Men შექმნილია ქალბატონებისთვის მიძღვნილი Truth Calvin Klein-ის მეწყვილედ. კელვინ კლაინი დარწმუნებულია, რომ ამ ორმა არომატმა ერთმანეთი უნდა შეავსოს, ისევე, როგორც ქალი და მამაკაცი ავსებენ ერთმანეთს. თუ Truth Calvin Klein ქალურ გრძნობებსა და შინაგან სილამაზეს ასხივებს, Truth Calvin Klein Men მამაკაცურ სიძლიერეს ააშკარავებს.

კელვინ კლაინის ეს ახალი არომატი მამაკაცური სიძლიერისა და სექსუალობის განსახიერებაა. ეს კი, კელვინ კლაინის აზრით, ყველაზე მეტად მის ბუნებრიობაში ვლინდება: "იყავი ნამდვილი და ეს გაგხდის ყველაზე მეტად სექსუალურს",- ასეთია კელვინ კლაინისეული ხედვა მამაკაცის სექსუალობაზე. სუნამოს სახელწოდებაც კელვინ კლაინმა სწორედ ამ მოსაზრებით შეარჩია.

Truth Calvin Klein Men-ის არომატი მამაკაცთა კლასიკური სუნამოების ტიპს განეკუთვნება. საერთოდ, კელვინ კლაინის სუნამოებში, როგორც წესი, არომატის ზედა და ქვედა ნოტები მკვეთრად არ არის გამოხატული. Truth Calvin Klein Men - ის არომატშიც ასეა: მასში მხოლოდ მცენარეული ინგრედიენტებია გამოყენებული - კელვინ კლაინი აქაც ბუნებრივს ანიჭებს უპირატესობას და ნატურალურ არომატს ირჩევს: მისი მცენარეული სურნელი, რომელიც აქცენტს ბაზილიკისა და კარდამონის აკორდებზე აკეთებს, ბუნებრივი სისუფთავის შეგრძნებას იწვევს; თეთრი ფაჩუღი და წითელი კედარი აძლიერებენ ხის მერქნისებურ არომატს, რომელიც უპირველესად მამაკაცური სექსუალობის ხაზგასმას ისახავს მიზნად. მოკლედ და ერთი სიტყვით კი, კელვინ კლაინის ახალ სუნამოს ნაწვიმარი ტყის არომატი აქვს.

კელვინ კლაინისეულ ხედვას მამაკაცებზე, არომატთან ერთად, სუნამოს ფლაკონიც გამოხატავს. ფაბიან ბარონმა, რომელიც წლების განმავლობაში კელვინ კლაინის სუნამოთა ფლაკონების დიზაინზე ზრუნავს, Truth Calvin Klein Men-ისთვის სადა და ელეგანტური ფლაკონი გამოიგონა. ის, გარკვეულწილად, მამაკაცის ტორსს წააგავს. ფლაკონის სახურავზე დამაგრებული ვერცხლისფერი სასხურებელი ღილაკი ისევ და ისევ მამაკაცურ სიძლიერესთან ასოცირდება.

რაც შეეხება მის სახეს, ის პოპულარული ადამიანი არ არის. უფრო მეტიც, ეს ყოვლად უცნობი სახეა და ამ ახალგაზრდა მამაკაცზე ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოპოვება გართულებულია. როგორც ვარაუდობენ, ახალგაზრდა მამაკაცის ინკოგნიტოდ დატოვება და იდუმალ სახედ ქცევა სპეციალურად ხდება, იმისთვის, რომ ის უფრო საინტერესო, მიმზიდველი გახდეს და საზოგადოების ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, სუნამო მოექცეს.

Eternity-ს შემდეგ, Truth-ს სერია არის კელვინ კლაინის მეორე დიდი ბრენდი, რომელიც პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელის "ისი პარის" ჯერ-ჯერობით ბოლო სიახლეა.

# უნიკალური რელიკვია სოფიის მუზეუმში

სოფიის ისტორიულ მუზეუმში უნიკალური ექსპონატი გამოიფინა. ეს არის წიგნი დაწერილი "მკვდარ", ეტრუსკულ ენაზე. წიგნი ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნით თარიღდება. იგი ექვსი ცალი ოქროს გვერდისგან შედგება, რომლებზეც ამოტვიფრულია ტექსტი და მხედრებისა და ჯარისკაცების გამოსახულებებია დატანილი.

60 წლის წინ, ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არხის გაყვანისას წიგნი შემთხვევით იპოვეს. ეტრუსკული რელიკვია ანონიმმა კოლექციონერმა კი მუზეუმს აჩუქა. კოლექციონერის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი 87 წლისაა და მაკედონიაში ცხოვრობს.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სოფიის მუზეუმში ექსპონირებული რარიტეტი არის უძველესი წიგნი, რომელსაც აქვს ყდა.

# "ბეჭდების მბრძანებელი", როგორც მიუზიკლი

ლონდონში "ბეჭდების მრძანებლის" მუსიკალურ ვერსიაზე მუშაობენ. ეს იქნება უესტ-ენდის ყველაზე ძვირადღირებული მიუზიკლი – მასზე რვა მილიონი ფუნტი სტერლინგის ხარჯია გათვალისწინებული.

სპექტაკლის პრემიერა ტოლკიენის ტრილოგიის ერთტომეულად გამოსვლიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ გაიმართება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რეჟისორმა პიტერ ჯექსონმა გამოუშვა ტრილოგიის პირველი ორი ფილმი "ბეჭდების საძმო" და "ორი ციხესიმაგრე" – ამ წიგნის პოპულარობა საოცრად გაიზარდა. ორივე ფილმი ყველა დროის ყველაზე წარმატებულ ფილმთა ათეულში მოხვდა. ტრილოგიის მესამე კინოსურათის "ხელმწიფოს დაბრუნება"-ს პრემიერა მსოფლიოს კინოეკრანებზე 17 დეკემბერსაა დაგეგმილი.

ლონდონის უესტ-ენდში ჯონ ტოლკიენის კლასიკური ეპოპეის თემაზე მიუზიკლს დგამენ. პროექტის ავტორი კევინ უოლისი არწმუნებს საზოგადოებას, რომ "აქამდე მსგავსი რამ უესტ-ენდზე ჯერ არავის უნახავს. სცენაზე შექმნილი იქნება ტოლკიენის მთელი ფანტასტიკური სამყარო, ხოლო დადგმაში გამოიყენებენ სპეცეფექტებს, რომლებიც მაყურებელს ჭკუიდან შეშლის". მიუზიკლის შემქმნელები დარწმუნებულები არიან, რომ მათ ეს პროექტი მსოფლიო აღიარებას მოუტანს.

მიუზიკლის დამდგმელი რეჟისორია მეთიუ უორჩსი. მან სახელი გაითქვა მიუზიკლებით: "მითხარი კვირას" და "ჩვენი სახლი". მიუზიკლზე მუშაობა ნელიწადნახევარია მიმდინარეობს. ხოლო 2004 წლის გაზაფხულიდან დაიწყება როლების განაწილება. ყველაზე მნიშვნელოვან, ფრედოს როლზე, დიდ ბრიტანეთში გამოცხადდება კონკურსი.

ახალმა მიუზიკლმა უკვე დაამყარა რეკორდი – დადგმის ბიუჯეტი რვა მილიონი ფუნტი-სტერლინგია და ერთნახევარი მილიონით აჭარბებს უესტ-ენდის სადღეისოდ ყველაზე ძვირადღირებულ მუსიკალურ სპექტაკლს Chitty Chitty Bang Bang-ს.

ინფოთეკა

## გერმანიის ტურმა მონაწილე დაკარგა

გერმანიის გზებზე, სადაც ველორბოლაში "გერმანიის ტური" მიმდინარეობს, სკანდალია. ფრანგი ველომრბოლი ფაბრის სალანსონი სატუმროს ნომერში, ერთობ გაურკვეველ მდგომარეობაში, გარდაცვლილი ნახეს.

ამასთან დაკავშირებით ტურის დირექტორმა როლანდ ჰოფერმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ 23 წლის სპორტსმენის სიკვდილის მიზეზი ჯერაც უცნობია. ერთადერთი, რაც ჯერჯერობით დადგენილია, ის არის, რომ ველოსიპედისტი გამთენიისას, ჩვენი დროით, დაახლოებით 05:30 - 07:00 შუალედში გარდაიცვალა. სალანსონის ცხედარი ადგილობრივ ჰოსპიტალში გადაასვენეს. კრიმინალურმა პოლიციამ კი ინციდენტთან დაკავშირებით საქმე აღძრა.

"ბონჟურის" (გუნდი, რომლის ღირსებასაც სალანსონი იცავდა) წევრებმა, შეიტყვეს რა მეგობრის სიკვდილის შესახებ, ასპარეზობის გაგრძელებაზე ხელი აიღო და შინ, საფრანგეთში გაემგზავრნენ. სალანსონის ერთ-ერთმა თანაგუნდელმა უდო ბოლტსმა Reuters-თან ინტერვიუში განაცხადა: "მეც იმავე სასტუმროში ვცხოვრობდი. ყველა ველომრბოლი, რომელიც იქ იმყოფებოდა, მომხდარით შოკირებულია. რა მოხდა, ამაზე პასუხის გაცემა ყველას გვიჭირს".

## ღია ცისთვის გრეცკი პირობას არღვევს

უეინ გრეცკი, რომელსაც დიდი წარდგენა არ სჭირდება, ჰოკეიდან წასვლის შემდეგ ისევ ყინულს უბრუნდება. დიადი გრეცკი ვეტერანთა მატჩში იასპარეზებს - მატჩში, რომელიც 22 ნოემბერს ედმონტონში, საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის აგებულ, ღია "თანამეგობრობის" სტადიონზე გაიმართება. სტადიონი კი, არც მეტი, არც ნაკლები, 60 ათას მაყურებელს იტევს. ისტორიულ შეხვედრაში გრეცკისთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ "მონრეალ კანადიენსისა" და "ედმონტონ ოილერზის" ყოფილი მოთამაშეები.

ამით გრეცკიმ დაარღვია პირობა, რომ ყინულზე აღარასოდეს გავიდოდა. ამ ფაქტს თავად ასე ხსნის: "ღია სტადიონზე თამაში ჩემთვის ახალი ხილია, ისეთი ხილი, რომელიც ჩემს კარიერაში არასდროს მიგემია".

აღსანიშნავია, რომ გრეცკი ყინულზე "ედმონტონის" რიგებში ითამაშებს, სწორედ იმ კლუბის, რომელთან ერთადაც სპორტული კარიერის დასაწყისში ოთხჯერ დაეუფლა სტენლის თასს.

ამასობაში კი ედმონტონში ვარაუდობენ, რომ ღია ცის ქვეშ ასპარეზობები ნაციონალური ჰოკეის ლიგის შემადგენელი ნაწილი არ გახდება. ქალაქის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ "თანამეგობრობის" სტადიონზე მატჩები წელიწადში ერთხელ, ნოემბერში გაიმართება.

## NHL ვირუსს თვალყურს ადევნებს

სასიკვდილო ვირუსის - ატიპური პნევმონიის გამო NHL-ის ინდივიდუალური პრიზებით დაჯილდოების ცერემონია ტორონტოდან, შესაძლოა, კანადის სხვა ქალაქში გადაიტანონ. თუმცა, ნაციონალური ჰოკეის ლიგის ვიცე-პრეზიდენტის ფრენკ ბრაუნის განცხადებით, ცერემონიის გადატანაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან ლიგა თვალყურს ადევნებს სასიკვდილო ვირუსის გამო შექმნილ ვითარებას. დღევანდელი მონაცემებით, ვირუსი ტორონტოში კონტროლს ექვემდებარება. დაჯილდოების ცერემონია 12 ივნისსაა დაგეგმილი. რაც შეეხება ნომინანტებს, "ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარე მარტინ ბროდო, რომელიც ყველაზე სარგებლიანი მოთამაშისა და საუკეთესო მეკარის ნომინაციაზეა წარდგენილი, ყველაფრის მიუხედავად, დაჯილდოების ცერემონიაზე უყოყმანოდ ჩავა, ოღონდ აუცილებლად უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

## "ბარსელონამ" დარაჯს მიაგნო

"ბარსელონას" ხელმძღვანელობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საფრანგეთის "რენის" მეკარე პეტრ ჩეხთან.

"მინდა, აღვნიშნო, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. მეტიც, უკვე მომავალი კონტრაქტის დეტალებს ვაზუსტებთ", - გაზეთ "მლადა ფრონტა დნესთან" საუბარში აცხადებს ჩეხი მოთამაშის აგენტი პაველ ზიკა.

რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, "რენის" 21 წლის დარაჯს, მან ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებში 11 მატჩი ჩაატარა და ახლა მოლდოვის ნაკრებთან სათამაშოდ ემზადება.

## ინგლისის ჩემპიონატში უმუშევრობას ებრძვიან

ინგლისის ჩემპიონატის პრემიერლიგისა და ქვედა დივიზიონების 586-დან 200 მოთამაშეს, რომლებთანაც კლუბებმა კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვეს, მომავალ სეზონში უმუშევრად დარჩენა ემუქრებათ. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ (PFA).

"ჩვენ შეიძლება 586 მოთამაშის მესამედი დავკარგოთ, - აცხადებს PFA-ს აღმასრულებელი დირექტორი გორდონ ტეილორი. - ჩვენი ვალია, მათ დავეხმაროთ, რათა საკუთარ გუნდებში დამკვიდრდნენ. მოხარული ვიქნები, თუ მათი ორი მესამედი ადგილზე დარჩება. ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რა დიდ ხელფასებს იღებენ ფეხბურთელები, იმაზე კი არ ზრუნავენ, როგორ შეინარჩუნონ პროფესია".

ალან ბოკშიჩი ("მიდლსბრო"), პატრიკ ბერგერი ("ლივერპული"), ფაბრიციო რავანელი ("დერბი ქაუნთი") - ესაა ნაწილი იმ ცნობილი ფეხბურთელებისა, რომლებთანაც კლუბებმა განშორება გადაწყვიტეს.

## სერია A-ს უიღბლო

"ატალანტასთვის" სერია A-ს სეზონი უიღბლო გამოდგა. პლეი-ოფის გადადებულ, მეორე მატჩში "რეჯინასთან" "ატალანტამ" მარცხი იწვნია. კლუბები კვირას უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთავარმა მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ თავსხმა წვიმის გამო მატჩი გადადო. გადავადებული მატჩი კი ორშაბათისთვის დათქვეს, მაგრამ...

პირველი მატჩი 0:0 დამთავრდა და, ცხადია, კლუბები წარმატების ერთნაირ შანს ინარჩუნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ "ატალანტა" საკუთარ მოედანზე თამაშობდა, მეტოქის კარი მხოლოდ ერთხელ აიღო, საპასუხოდ კი ორი ბურთი მიიღო.

ერთი სიტყვით, "ატალანტამ", რომელიც რამდენიმე წლის წინათ სერია A-ს გრანდებს თავზარს სცემდა, დივიზიონით დაქვეითდა. რაც შეეხება დანარჩენ დაქვეითებულებს, "ატალანტას" ბედი გაიზიარეს "პიაჩენცამ", "კომომ" და "ტორინომ". მათ მიერ გამოთავისუფლებული ადგილები კი ქვედა დივიზიონის ბინადრებმა - "სამპდორიამ" და "სიენამ" დაიკავეს.

**ფეხბურთი.** ბოსნიის ნაკრების წევრმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის "ბავარიასთან" კონტრაქტი გააგრძელა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დასრულებული სეზონი მისთვის წარუმატებელი გამოდგა. 26 წლის სალიჰამიჯიჩის მძიმე ტრავმის მიუხედავად, იგი ოტმარ ჰიტცფელდის გუნდის განუყოფელ ნაწილად რჩება. ახალი კონტრაქტი ორწლიანია.

**ფეხბურთი.** 29 აგვისტოს უეფას სუპერთასს მონაკოს "სტად ლუი II" უმასპინძლებს. პრესტიჟულ ჯილდოს ერთმანეთს შეეცილებიან ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი "მილანი" და უეფას თასის გამარჯვებული "პორტო".

**ფეხბურთი.** "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი ლუჩანო მოჯი ამ კვირას "პერუჯას" ხელმძღვანელობას შეხვდება, რათა მოთამაშეების გაცვლის თაობაზე მოილაპარაკონ. "Tribalfootball"-ის ცნობით, მოლაპარაკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია "ბებერი ქალბატონის" ფორვარდი მარსელო სალაიეტა, რომელსაც, სავარაუდოდ, "პერუჯაში" იჯარის უფლებით მოთამაშე ფაბრიციო მიკოლიში გადაცვლიან. გარდა ამისა, ცნობილია, რომ "იუვე" ნიგერიელი კრისტან ობოდოთია დაინტერესებული.

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 4 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 თვალი გადავავლოთ განვლილ სეზონს
15:00 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალური მატჩები. მიმოხილვა
15:55 ჩემპიონთა ლიგის არქივი
17:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:40 "დარტყმა გოლისთვის"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი
21:30 იტალიის ჩემპიონატი. შეჯამება
23:00 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
24:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:15 22:00 "პრეს-ცენტრი"
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი
14:15 პოკერი. "One Million Poker-2003"
14:55 ჩოგბურთი. "როლან გაროსი". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ცხენოსნობა. რუსეთის თასი
21:30 "Power week - NHL-ის კვირა"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ძალოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი. ქალები
24:00 სფიდვეი. შვეიცის გრან-პრი
01:00 ახალი ამბები
01:45 ბოულინგი

**EUROSPORT**
11:30 მულტისპორტი
11:45 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ექსტრემალური სპორტი
13:30 ექსტრემალური სპორტი
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
15:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
22:45 ახალი ამბები
23:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
24:00 "როლან გაროსი"
01:00 ახალი ამბები
01:15 მულტისპორტი
01:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი
02:30 გოლფი
03:30 აფროსნობა. როლექსის თასი
04:00 სამთო ველოსიპედი. მსოფლიოს თასი
04:30 ახალი ამბები

ფეხბურთი

# რა ჩაიფიქრა ძოძუაშვილმა

*რევაზ ძოძუაშვილმა თანამდებობა დატოვა*

"ტორპედო-მეტალურგთან" 1:3 დამარცხების შემდეგ ვლადიკავკაზის "სპარტაკ-ალანიას" მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა თანამდებობა დატოვა. თუმცა, ეს ერთობ ორიგინალურად გამოუვიდა. ქართველი სპეციალისტი მატჩის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელებს გასახდელში დაემშვიდობა. მას შემდეგ ძოძუაშვილი აღარავის უნახავს და რადგან ასეა, გამოდის, რომ მან თანამდებობა დატოვა, - მსჯელობენ ოსური გუნდის ხელმძღვანელები.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ძოძუაშვილი მერვე მწვრთნელია, რომელმაც "სპარტაკ-ალანიას" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ვარაუდობენ, რომ ადვილი შესაძლებელია, ძოძუაშვილიც, წინამორბედთა მსგავსად, კლუბში დატრიალებული ინტრიგებისა და არაჯანსაღი სიტუაციის მსხვერპლი გახდა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ "ტორპედო-მეტალურგთან" მატჩის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილი ვლადიკავკაზში არ დაბრუნებულა. კლუბის პრეზიდენტი მიხაილ შატალოვი მას ვერ დაუკავშირდა. შატალოვის თქმით, ძოძუაშვილს გადადგომის შესახებ განცხადება არ დაუწერია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი კლუბი მას არ შეეწინააღმდეგებოდა.

ძოძუაშვილმა ელისტის "ურალანში" ერთწლიანი მუშაობის შემდეგ ოსურ კლუბთან, ზამთარში, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პრინციპში, შედეგით "ალანია" კმაყოფილი უნდა იყოს. გუნდმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა "სპარტაკი" და "ლოკომოტივი", მაგრამ ოსური კლუბი ქულებს აუტსაიდერებთან კარგავს და მაღალი ადგილების პრეტენდენტად არ მიიჩნევა.

თუ ჭორებს ვენდობით, ძოძუაშვილმა, ბათრაზ ბითაროვის მსგავსად, კლუბის ხელმძღვანელობასთან საერთო ენა ვერ გამონახა. ჯერჯერობით სიტუაცია გაურკვეველია. თუ ძოძუაშვილს განცხადება არ დაუწერია, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, რის საფუძველზე გაათავისუფლეს მწვრთნელი. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ასეთი განცხადება ამ დღეებში გაჩნდება.

"სპარტაკ-ალანიას" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ალექსანდრ იანოვსკი შეასრულებს. იანოვსკი კლუბში ადრეც მუშაობდა. სწორედ ის მოამზადებს გუნდს მომდევნო მატჩებისთვის. ამასთან, შატალოვმა უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ კლუბს სათავეში შეიძლება ნიკოლაი ხუდიევი ან იური გაზაევი ჩაუდგეს. ხუდიევი ძალზე გამოცდილი მწვრთნელია. ამჟამად რუსეთის ეროვნულ ნაკრებში ვალერი გაზაევის თანაშემწედ მუშაობს. უფრო ადრე კი მოსკოვის "ლოკომოტივში" იური სიომინს ეხმარებოდა. სიმართლე რომ ითქვას, "ალანიაში" ხუდიევის ხილვა ოსებს ჯერ კიდევ ნოემბერში სურდათ, მაგრამ მაშინ კლუბის ხელმძღვანელობამ, ძოძუაშვილის სახით, უფრო გამოცდილი მწვრთნელი მიიწვია.

ალექსანდრ იანოვსკი თავის მოვალეობას პირველი წრის ბოლომდე შეასრულებს. შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს მოძებნის. შატალოვი კი უარყოფს, მაგრამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატად სწორედ ნიკოლაი ხუდიევს ასახელებენ. იანოვსკიმ განაცხადა, რომ თავისი გუნდის თამაშს საფუძვლიანად არ შეცვლის. "ტაქტიკისა და შემადგენლობის საფუძვლიან შეცვლას არ ვაპირებთ. მინდორზე გავლენ ის ფეხბურთელები, რომლებიც კონკრეტული მატჩისთვის საუკეთესო ფორმაში იქნებიან. თუმცა, სათქმელია, რომ დიდი არჩევანიც არა გვაქვს", - ამბობს "ალანიას" ახალგამომცხვარი მწვრთნელი.

რაც შეეხება რევაზ ძოძუაშვილს, მისმა გადაწყვეტილებამ საქართველოშიც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გაჩნდა ინფორმაცია, რომ თბილისის "ლოკომოტივიდან" ლუის ცაკარიასის წასვლა და ძოძუაშვილის გადაწყვეტილება უბრალო დამთხვევა არ არის და, ადვილი შესაძლებელია, ძოძუაშვილი სწორედ "ლოკომოტივს" ჩაუდგეს სათავეში. ამის შესახებ "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა კონკრეტულს არაფერს ამბობს. კლუბის აღმასრულებელი დირექტორის ლევან ყიფიანის თქმით, ეს ვერსია მანაც ჭორის დონეზე იცის, ხოლო აკაკი ჩხაიძე საბოლოო გადაწყვეტილებას თათბირის შემდეგ მიიღებს. სხვა ვერსიით, ქართველ მწვრთნელს რამდენიმე რუსული კლუბი ეპატიჟება და, გამორიცხული არ არის, ძოძუაშვილი რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ გუნდში ვიხილოთ. რა ჩაიფიქრა რევაზ ძოძუაშვილმა, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

# 15 ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი

მიხეილ აბაიშვილი

*დევიდ ბექჰემი (მარჯვნივ) - ყველაზე გახმაურებული ტრანსფერის ობიექტი*

დაიწყო ზაფხული და, მასთან ერთად, სატრანსფერო ციებ-ცხელებაც. ჯერჯერობით არ განხორციელებულა არც ერთი მეტ-ნაკლებად მსხვილი ტრანსფერი, მაგრამ, საცაა, ვარსკვლავი ფეხბურთელები გუნდებს, ხოლო მსხვილი თანხები პატრონებს ჩაბარდება. ფეხბურთელთა ბაზარზე ამ სეზონის მთავარი შემსყიდველი, რაღა თქმა უნდა, იქნება "სამეფო კლუბი" - მადრიდის "რეალი", რომელმაც, კარგა ხანია, აიღო ვალდებულება, წელიწადში ერთხელ მაინც ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელოს. ამ ტრადიციის გადაღებას აპირებენ "მილანი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული" და "ინტერი". ისინი მზად არიან, გასაძლიერებლად 20-30 მილიონი ევრო გაიღონ. ნუ დავივიწყებთ "ბარსელონასაც", რომელსაც, ამ კლუბის ტრადიციების გათვალისწინებით, სამარცხვინო სეზონი ჰქონდა და მომავალ წელს აპირებს გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციას.

გაგაცნობთ იმ 15 ფეხბურთელის სიას, რომლებზეც, ფეხბურთის სპეციალისტებისა და მარკეტოლოგების აზრით, "ძველი სამყაროს" მთავარი კლუბები ნამდვილ ნადირობას გააჩაღებენ.

**რონალდინიო** ("პარი სენ-ჟერმენი", საფრანგეთი, ნახევარმცველი, 23 წლის).

ბრაზილიის ნაკრების ექსცენტრულ შემტევ ჰავბეკს მობეზრდა არშემდგარი ფრანგული სუპერკლუბის "პარი სენ-ჟერმენის" გაჭიანურებული აგონიური პროცესი და არ მალავს, რომ "მანჩესტერში" გადაბარგება სურს.

მთავარი პრეტენდენტები: "მანჩესტერ იუნაიტედი", "რეალი", "იუვენტუსი".

სავარაუდო ფასი: 25-30 მილიონი დოლარი.

**დეკო** ("პორტუ", პორტუგალია, ნახევარმცველი, 26 წლის).

დეკო უმაღლესი კლასის პლეიმეიკერია. გასულ სეზონში პორტუგალიის ნაკრებში მიიწვიეს. რუი კოშტას შემდეგ პორტუგალიაში ასეთი მაღალი კლასის შუა ხაზის მოთამაშე არ გამოჩენილა. გასულ სეზონში "პორტუმ" უეფას თასის ტურნირი და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიგო. ამ გამარჯვებებში დეკომ დიდი წვლილი შეიტანა.

პრეტენდენტები: "ინტერი", "იუვენტუსი", "ნიუკასლი", "ბარსელონა", "დეპორტივო".

სავარაუდო ფასი: 15-20 მილიონი დოლარი.

**ნიჰატი** ("რეალ სოსიედადი" ესპანეთი, თავდამსხმელი, 24 წლის).

ფეთქებადი, დაუღალავი და არაორდინარული, ამოუცნობი თურქი ფორვარდი, ესპანეთის პრიმერადივიზიონის სეზონის აღმოჩენა, რომელმაც აპენინებზე ერთ წელიწადში მრისხანე თავდამსხმელის იმიჯი შეიქმნა.

მისი შეძენა სურთ "მანჩესტერ იუნაიტედს", "ატლეტიკოს" და "ბარსელონას".

სავარაუდო ფასი: 12-17 მილიონი დოლარი.

**ჰაკან იაკინი** ("ბაზელი", შვეიცარია, ნახევარმცველი, 26 წლის).

შვეიცარიული ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც ქართველმა გულშემატკივარმა თბილისშიც ნახა. მისი წარმატებული თამაშით ჩემპიონთა ლიგის გასულ სეზონში იზარალეს "ლივერპულმა" და "სელტიკმა". მის შესაძენად ყველაზე მეტად სწორედ ეს კლუბები აქტიურობენ. იაკინზე პრეტენზიას აცხადებს მადრიდის "ატლეტიკოც".

**მატეი კეუმანი** ("ეინდჰოვენი", ჰოლანდია, თავდამსხმელი, 23 წლის).

გასულ სეზონში სერბი ფეხბურთელი ჰოლანდიის წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მან 32 მატჩში 35 გოლი გაიტანა და "ეინდჰოვენში" რონალდოს გმირობაც კი დაჩრდილა.

პრეტენდენტები: "რომა", "მილანი", "ბარსელონა", უფრო ზუსტად, "ბარსელონას" პრეზიდენტობის კანდიდატი ჟაუმე ლაურადო, რომელიც პოსტის დაკავების შემთხვევაში გულშემატკივრებს კეუმანის შეძენას ჰპირდება.

სავარაუდო ფასი: 3 წლის წინ "ეინდჰოვენმა" ამ ფეხბურთელში ბელგრადის "პარტიზანს" 11 მილიონი დოლარი გადაუხადა. საეჭვოა, რომ ჰოლანდიის ყველაზე მდიდარმა კლუბმა თავისი საუკეთესო ფეხბურთელი გაყიდოს, თუ ორჯერ მეტს არ გადაუხდიან.

**დევიდ ბექჰემი** ("მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი, ნახევარმცველი, 28 წლის).

ამ ფეხბურთელის სხვა კლუბებში შესაძლო გადასვლის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციათა 90 პროცენტი წმინდა წყლის სპეკულაციაა. თუმცა, დარჩენილი 10 პროცენტიც იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი, რომელსაც ფერგიუსონთან იდეალური ურთიერთობა არასდროს ჰქონია, გუნდის გამოცვლის წინააღმდეგი არაა. ამიტომ ევროპის წამყვანი სუპერკლუბები სატრანსფერო შეთავაზებების წყალობით შეეცდებიან, ეს შესაძლებლობა ფაქტად აქციონ.

პრეტენდენტები: "რეალი", "ბარსელონა", "ინტერი", "მილანი".

სავარაუდო ფასი: 30 მილიონი დოლარიდან... ზევით.

**დამიენ დაფი** ("ბლექბერნ როვერსი", ნახევარმცველი, 24 წლის).

ირლანდიელმა ჰავბეკ-ფორვარდმა თბილისში საქართველოს ნაკრებს გოლი გაუტანა. მან მარტომ "აათრია" "ბლექბერნი" პრემიერლიგის მეექვსე საფეხურზე და ახლა გუნდიდან წასვლა სურს. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირს დიდხანს არ მოუწევს შეთავაზებათა ლოდინი.

მთავარი პრეტენდენტები: "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული", "სელტიკი".

სავარაუდო ფასი: 15-20 მილიონი დოლარი.

**ჯიბრილ სისე** ("ოსერი", საფრანგეთი, თავდამსხმელი, 22 წლის).

ალბათ, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი იმათ შორის, ვინც სუპერკლუბში არ თამაშობს. მაღალი სისწრაფე, უნაკლო ტექნიკური არსენალი, უტყუარი საგოლე ალღო.

სისესთვის ბრძოლაში "პოული" ეკუთვნის "ლივერპულს", რომელიც ამ ფეხბურთელში 25 მილიონ დოლარს იხდის.

მთავარი პრეტენდენტები: "ლივერპული", "მარსელი".

**ფილიპ მექსესი** ("ოსერი", მცველი, 21 წლის).

მხცოვანი მწვრთნელის გი რუს სამჭედლოში გამოძერწილი კიდევ ერთი ნორჩი გენიოსი. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საიმედო მცველი, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საფრანგეთის ნაკრების კანდიდატი.

პრეტენდენტები: "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული", "რომა", "იუვენტუსი", "მილანი".

სავარაუდო ფასი: 8-12 მილიონი დოლარი.

**შაბანი ნონდა** ("მონაკო", საფრანგეთი, თავდამსხმელი, 26 წლის).

ბოლო ორი წლის განმავლობაში საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. გასულ სეზონში მის ანგარიშზე 26 მატჩში გატანილი 25 გოლია.

მთავარი პრეტენდენტები: "ჩელსი", "მანჩესტერ სიტი", "პსჟ", "ლიონი".

სავარაუდო ფასი: კრიზისში მყოფი "მონაკოს" ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სატრანსფერო თანხა, შესაძლოა, 7-10 მილიონი დოლარი იყოს.

**რაფაელ მარკესი** ("მონაკო", მცველი, 24 წლის).

თანამედროვეობის საუკეთესო მექსიკელი ფეხბურთელი, მაღალი კლასის ცენტრალური მცველი.

მთავარი პრეტენდენტები: "რეალი", "იუვენტუსი", "დეპორტივო", "სელტა", "ბარსელონა", "ბენფიკა".

სავარაუდო ფასი: 10-15 მილიონი დოლარი.

**ლუსიუ** ("ბაიერი", გერმანია, მცველი, 25 წლის).

2002 წლის ფორმაციის ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, უაღრესად ნიჭიერი ცენტრალური მცველი, რომელიც შეტევებშიც ხშირად ერთვება.

პრეტენდენტები: "ბარსელონა", "რეალი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ინტერი".

სავარაუდო ფასი: 15-20 მილიონი დოლარი.

**ნიკოლა ლეროტალიე** ("კიევი", იტალია, მცველი, 27 წლის).

ბრწყინვალე სეზონმა, იტალიის ნაკრებში გამოძახებამ და "აძურას" მაისურით გატანილმა გოლმა "კიევოს" ცენტრალური მცველი შიდაიტალიური სატრანსფერო ბაზრის ლამის ყველაზე სასურველ ფიგურად აქცია. დღე არ გავა, "გაძეტა დელო სპორტმა" ლეროტალიეს სატრანსფერო პერსპექტივებზე ერთი ინფორმაცია მაინც არ დაბეჭდოს. თავად ნიკოლა თავმდაბლად აღნიშნავს, რომ ბავშვობიდან "მილანს" ქომაგობს.

პრეტენდენტები: "რომა", "ინტერი", "მილანი", "იუვენტუსი", "პარმა", "ტოტენჰემი", "ნიუკასლი", "ლიდსი".

სავარაუდო ფასი: 7-10 მილიონი დოლარი.

**დეან სტანკოვიჩი** ("ლაციო", იტალია, ნახევარმცველი, 25 წლის).

იაპ სტამთან ერთად "ლაციოს" ყველაზე "კონვერტირებადი" ფეხბურთელი, რომელსაც იტალიის ყველა კრედიტუნარიან კლუბში ელიან.

მთავარი პრეტენდენტები: "ინტერი", "მილანი", "იუვენტუსი", "ვალენსია".

**ჰარი კიუელი** ("ლიდსი" ინგლისი, ნახევარმცველი, 25 წლის).

"ლიდსის" სეზონის მთავარი ლოტი – კლუბის ხელმძღვანელებმა მას უკვე ჩამოკიდეს "იარლიყი" – 22 მილიონი დოლარი. "ბარსელონას" პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ხორდი მედინა გულშემატკივრებს და პრესას უკვე ცხვირწინ უფრიალებს ვითომდა კიუელთან ხელმოწერილ კონტრაქტს, თუმცა, ვაჭრობის მთავარი რაუნდი წინაა.

მთავარი პრეტენდენტები: "არსენალი", "ლივერპული", "ბარსელონა", "მანჩესტერ იუნაიტედი".

სავარაუდო ფასი: არცთუ მაღალი – 5-7 მილიონი დოლარი. თუ "ლიდსი" ასეთ ფასს არ დათანხმდება, ფეხბურთელი მომავალი სეზონისთვის თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და სულ უფასოდ გადავა სხვა კლუბში.

Roland Garros

# პარიზული სასწაულები

## დასრულდა აგასის ლამაზი ოცნება

REUTERS

REUTERS

*დღის გმირები: გილიერმო კორია (ზემოთ) და მარტინ ვერკერკი*

**პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "დიდი სლემის" ტურნირი. მეოთხედფინალი.**

ვაჟები

| | |
|---|---|
| **გილიერმო კორია (არგენტინა, 7) - ანდრე აგასი (აშშ, 2)** | **4:6, 6:3, 6:2, 6:4** |
| **მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) - კარლოს მოია (ესპანეთი, 4)** | **6:3, 6:4, 5:7, 4:6, 8:6** |

ქალები

| | |
|---|---|
| **სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5)** | **6:1, 6:2** |
| **კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 24)** | **6:2, 6:1** |
| **ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 4) - ჩანდა რუბინი (აშშ, 8)** | **6:3, 6:2** |
| **ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) - ვერა ზვონარევა (რუსეთი, 22)** | **6:1, 4:6, 6:3** |

გილიერმო კორიას მოწოდებაა. არგენტინელი ახლოს არის მიზანთან - სახელოვან აგასიზე გამარჯვებასთან. ანდრე მშვიდად ელოდება მოწოდებას. მან კარგად იცის, რომ ეს უკანასკნელი მოწოდებაა, რადგან მომქანცველი მატჩის ბოლოს მის მოსაგერიებლად არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური ძალა აღარ შესწევს. კორია აწვდის და მატჩს იგებს.

დასრულდა ლამაზი ოცნება "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის მოგებისა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულის დაბრუნების შესახებ. აგასი კორტს უკომენტაროდ ტოვებს. მას საამისო ხალისიც კი აღარ შერჩენია. ნამდვილად სიბერის ბრალია. ვეტერანს გუშინ თამაში არ გამოუვიდა: 75 უნებლიე და 4 ორმაგი შეცდომა. არც პირველ მოწოდებაზე უმართლებდა და ეს ყველაფერი არგენტინელი გილიერმო კორიას დამსახურება იყო. კორია ნახევარფინალში გავიდა და ამ ეტაპზე ჰოლანდიელ მარტინ ვერკერკთან გაარკვევს ურთიერთობას.

ჰოლანდიელის გამარჯვებამ მთლიანად აურია დავთრები ტურნირის ორგანიზატორებს. თავიდან იგულისხმებოდა, რომ ნახევარფინალი სწორედ აგასისა და მოიას უნდა გაეთამაშათ, მაგრამ პირიქით გამოვიდა და ფინალის საგზურს არგენტინულ-ჰოლანდიური დუელი გაარკვევს. ვერკერკი უძლიერეს მოწოდებას ფლობს. მან 27 ეისი ჩაუგდო მოწინააღმდეგეს და თუმცა ხუთი სეტი დასჭირდა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა.

უაღრესად საინტერესო გამოდგა ქალთა თანრიგის შეხვედრებიც. ამელი მორესმომ ქარს გაატანა ფრანგების უკანასკნელი იმედი. ის მსოფლიოს პირველი ჩოგნის სერენა უილიამსის მსხვერპლი გახდა. 6:1, 6:2 - ასე გაანადგურა ამერიკელმა ამბიციური ფრანგი და ამით პასუხი გასცა მორესმოს თავხედურ გამოხდომას იმის შესახებ, რომ "პრესამ ძალიან გაამსუყა დები უილიამსების ძალმოსილება". - ეს სიტყვები ფრანგმა ვინუს უილიამსის დამარცხების შემდეგ თქვა. "ბარი-ბარში ვართ, - ამბობენ უილიამსის ბანაკში, - ამიერიდან მორესმოს ეცოდინება, რომ თავმდაბლობა არ აწყენს".

მორესმომ, მართლაც, უმოწყალოდ გააცამტვერა ფრანგების ბოლო იმედი, თანაც, თავისივე გულშემატკივრის წინაშე. პირველ სეტში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მეტოქის სამი მოწოდება მოიგო, მეორეში კი - ორი და ეს აბსოლუტურად საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. სერენა უილიამსი ნახევარფინალში ბელგიელ ჟიუსტინ ენინ-არდენთან გაარკვევს ურთიერთობას, რომელმაც სერენას თანამემამულე ჩანდა რუბინი არ დაინდო - 6:3, 6:2. ასეთია ამ მატჩის საბოლოო შედეგი.

დღის ყველაზე საინტერესო თამაში კი ვერა ზვონარევასა და ნადეჟდა პეტროვას შორის გაიმართა. 18 წლის ზვონარევამ, როგორც ჩანს, მთელი ენერგია ვინუს უილიამსთან შეხვედრაში ჩააქსოვა და თანამემამულე პეტროვას წინააღმდეგ ვერაფრით მოახერხა მობილიზაცია. თამაშს თან ახლდა ქალთა ჩოგბურთისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტები. ჩოგბურთელებმა საკუთარი მოწოდებები უფრო გაანიავეს, ვიდრე მოიგეს. ბრეიკებში პირველად პეტროვამ იმარჯვა. პირველ სეტში მან უზარმაზარი უპირატესობა მოიპოვა. ნადეჟდამ მეტოქის მოწოდება პირველივე გეიმში მოიგო, ხოლო მატჩის დაწყებიდან 10 წუთში ის უკვე 4:0-ს იგებდა.

ზვონარევამ თავისი მოწოდება მხოლოდ მეხუთე გეიმში მოიგო, მაგრამ ამით პირველ სეტში მისი წარმატებები ამოიწურა - 6:1 და პეტროვა დაწინაურდა - 1:0. სეტი ნახევარ საათს გაგრძელდა. სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს უამრავი შეცდომა, რომელიც ზვონარევას ბევრად მეტი ჰქონდა. თანაც, ის ძალიან ცუდად ასრულებდა პირველ მოწოდებას, რაც მეტოქეს შეტევის საშუალებას აძლევდა.

მეორე სეტი თითქმის პირველის ანალოგი გამოდგა. ოღონდ ახლა ზვონარევას უპირატესობა აშკარა იყო. მან სწრაფად მოიგო მეტოქის მოწოდება და, მაგრამ პეტროვამ მდგომარეობა გამოასწორა - 4:4. თუმცა, მომდევნო ორი გეიმი და, ამასთან, სეტიც წააგო. მესამე პარტია ყველაზე "შეშლილი" გამოდგა. ორივე ჩოგბურთელი უკიდურესად ნერვიულობდა და ვერაფრით ახერხებდა თავისი მოწოდების მოგებას. ბრეიკების გაცვლა-გამოცვლა შუა პარტიამდე გაგრძელდა, როცა 3:3-ზე პეტროვამ ინიციატივა ხელში ჩაიგდო და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო - 6:3.

ნახევარფინალში ნადეჟდა პეტროვა შეხვდება ბელგიელ კიმ კლიისტერსს, რომელმაც იოლად გადალახა ესპანელი კონჩიტა მარტინესის წინააღმდეგობა - 6:2, 6:1.

NBA

# დიდიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია




*ფინალის მთავარი ფიგურები: ტიმ დანკანი და ჯეისონ კიდი*

როგორც იქნა, დადგა 2002-2003 წლების სეზონის გადამწყვეტი მატჩების პერიოდი. "სან-ანტონიო სფურსი" და "ნიუ-ჯერსი ნეთსი" სეზონის მთავარ ფინალს გაითამაშებენ. "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" სამწლიანი ბატონობის შემდეგ დადგა დრო, NBA-ის ჩემპიონის ბეჭედი სხვა გუნდმა მოირგოს. საკითხავი მხოლოდ ის არის, რომელი იქნება ეს გუნდი. ეს კითხვა თითქმის ყველა სპეციალისტსა თუ გულშემატკივარს ღიმილს ჰგვრის.

"ჩემპიონი, რასაკვირველია, "სან-ანტონიო" იქნება. როგორ შეიძლება, "ლეიკერსის" დამარცხების შემდეგ პირველობა ვიღაც "ნიუ-ჯერსის" დაუთმო?". ვფიქრობ, ეს საკითხი არც ისე მარტივია. როგორც ჩანს, "სფურსის" დამსახურების მიუხედავად, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ წლევანდელ სეზონში არც "ლეიკერსი" იყო ისეთი, როგორიც შარშან. "სან-ანტონიოსაც" ძალიან გაუჭირდა ნახევარფინალურ სერიაში "დალას მავერიქსის" დამარცხება. "დალასის" ლიდერის დირკ ნოვიცკის არყოფნამ, რა თქმა უნდა, თითქმის ნულამდე დაიყვანა "მავერიქსის" შანსები. ამის მიუხედავად, დონ ნელსონის გუნდმა მოახერხა სერიის მეხუთე მატჩის მოგება და ახლოს იყო მეექვსე გამარჯვებასთანაც.

"ლეიკერსთან" და "მავერიქსთან" შეხვედრებმა ნათლად დაგვანახა, თუ რატომ გახდა ტიმ დანკანი ჩემპიონატის MVP (წლის საუკეთესო კალათბურთელი). "სან-ანტონიოს" მძიმე ფორვარდი ფარქვეშ შეუდარებელი იყო და ჩეჩქვითი აგროვებდა ქულებს, მიუხედავად იმისა, რომ ორმაგ, ზოგჯერ კი სამმაგ დაცვით ზღუდეს აწყდებოდა. მცველებს დანკანის წინააღმდეგ არაფერი გამოსდიოდათ. მათ ეპიზოდურ წარმატებებს თუ არ ჩავთვლით, ტიმ დანკანის ბოლომდე ნეიტრალიზება ვერავინ მოახერხა. გადავხედოთ პლეი-ოფის სტატისტიკას: ტიმ დანკანი თავის გუნდში ყველაზე მეტ ქულას აგროვებდა, ახორციელებდა ყველაზე მეტ შედეგიან გადაცემას, დაფარებას და ასე შემდეგ. საინტერესოა, შეძლებს კი სეზონის MVP და "სფურსი", იოლად გაუმკლავდეს "ნეთსს?" ეს საკითხი, მართლაც, ცალკე საუბრის თემაა.

აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო კლუბი "ნიუ-ჯერსი ნეთსი" მარტო ფინალში კი არ გავიდა, არამედ პლეი-ოფის მასშტაბით მცირე სენსაციაც გამოაცხო: მან ზედიზედ 10 თამაში მოიგო. ამ მაჩვენებლით "ნეთსი" ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში მე-4 ადგილზე დამკვიდრდა. ახლა "ნიუ-ჯერსის" სან-ანტონიოში მოუწევს ფინალური სერიის დაწყება და თუ, ღვთის მადლით, ერთი თამაში მაინც მოიგო, ამ ფინალისადმი სკეპტიკოსთა დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვლება. ახლა სკეპტიკოსთა დიდი არმია ფიქრობს, რომ "ნიუ-ჯერსი ნეთსი" "სან-ანტონიოს" წინაშე, უბრალოდ, სასაცილო იქნება და რეგულარული სეზონის ჩემპიონი ფინალურ სერიას - 4:0 მოიგებს. არა მგონია, ამ შემთხვევაში სკეპტიკოსთა ვარაუდი გამართლდეს და იმედი მაქვს, წლევანდელი ფინალი უფრო საინტერესო და დაძაბული იქნება, ვიდრე ბოლო ორი წლის ფინალური სერია შაკილ ო`ნილის "ლეიკერსის" მონაწილეობით. სხვათა შორის, როცა "ნეთსის" მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ "სფურსიც" შეიძლება დიდი გუნდიდან სასაცილომდე დაეცეს - რა თქმა უნდა, თუ ფინალურ სერიას დათმობს. თავად განსაჯეთ: რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო სასაცილო, რომ "ლეიკერსის" მძლეველი NBA-ის ჩემპიონის ბეჭედს ვერ ირგებს?

ფინალის მონაწილეთა შედარება მათი შესაძლებლობების შესახებ ობიექტურ შეფასებას ვერ მოგვცემს. როგორც უნდა ვიფიქროთ, ფაქტია, რომ ეს გუნდები აბსოლუტურად განსხვავებული კლასის მეტოქეებს შეხვდნენ. თუმცა, ციფრებით მსჯელობა მაინც შესაძლებელია. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა მაჩვენებლით "ნიუ-ჯერსი" ლიდერობს. საშუალო შედეგიანობა: 98,6 "სფურსის" 97,1-ის წინააღმდეგ. საკუთარ კალათში "ნეთსი" უფრო ცოტა ბურთს უშვებს, ვიდრე "სფურსი" - 91,4, 91,7-ის წინააღმდეგ შესაბამისად. თამაშიდან შედეგიანი ტყორცნის პროცენტული მაჩვენებელი: 44,9, 44:4; სამქულიანები: 38,3, 35,9; საჯარიმო ტყორცნები: 75,4, 71,4; შედეგიანი გადაცემა: 23,3, 21,6. როგორც ვხედავთ, "ნეთსი" ყველა კომპონენტში უპირატესობას ფლობს, მაგრამ, ვიდრე პირველი ორი თამაში არ დასრულდება, ყველა პროგნოზი ნაადრევი და უადგილო იქნება.

"სან-ანტონიოს" აუცილებლად ექნება უპირატესობა ფარქვეშ, მაგრამ "ნეთსს" გიგანტი დიკემბე მუტომბო ჰყავს და, თუ გიგანტი აფრიკელი ტრავმას დროზე მოიშუშებს, გამორიცხული არ არის, მისმა გამოჩენამ "სფურსს" დავთრები აურიოს. ამას გარდა, "ნიუ-ჯერსი ნეთსს" ჰყავს NBA-ის საუკეთესო გამთამაშებელი ჯეისონ კიდი. მისი სანანტონიოელი კოლეგა ტონი პარკერი კი პლეი-ოფის შეხვედრებში არასტაბილურად და ხშირად არადამჯერებლად გამოიყურებოდა. ყოველ თამაშში სულ უფრო უკეთ გამოიყურება კენიონ მარტინი და რატომ არ შეიძლება, მან პროგრესი ფინალურ სერიაშიც გაგრძელოს? საინტერესო სიურპრიზები მოსალოდნელია რიჩარდ ჯეფერსონისგანაც, რომელმაც წლეულს NBA-ში თავის მეორე სეზონში აშკარა პროგრესი განიცადა.

ყველაფრის მიუხედავად, აშკარაა, რომ ფინალური სერიის ფავორიტია "სან-ანტონიო სფურსი", მაგრამ ჯეისონ კიდისა ნიჭისა და "ნეთსის" სხვა მოთამაშეთა მოტრფიალენი უარს ვერ იტყვიან ოცნებაზე, რომელიც მათ საყვარელი გუნდის 10-მატჩიანმა წაუგებელმა სერიამ გაუღვივა.

## ფოლიანტი

გიგა გურასაშვილი

### მისაბაძიც და უმაგალითოც

*რაინჰოლდ მესნერი*

ავსტრიული წარმოშობის იტალიელმა მთამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა, რომელიც ცხოვრებაშივე ლეგენდად იქცა, საქვეყნო აღიარებამდე გრძელი გზა განვლო. გზა ხიფათით, მოულოდნელობებით, ნაპრალებითა და ვარდნილობებით აღსავსე. ერთი სიტყვით, მესნერის თითოეული წამოწყება რისკით იყო გაჯერებული.

1978 წლის 8 მაისს, ანუ მას შემდეგ, რაც პეტერ ჰაბელერთან ერთად ევერესტს სამხრეთიდან ეწვია, თითქოს რა უნდა ყოფილიყო გასაკვირი, მაგრამ ფაქტია: კლასიკური მარშრუტი უმალ ყურადღების ცენტრში მოექცა.

ამ ასვლაში უჩვეულო ის გახლდათ, რომ მესნერმა და ჰაბელერმა ევერესტი ჟანგბადის ბალონების გარეშე დაიპყრეს. ასეთი რამ კი მანამდე არავის გაეკეთებინა.

სამი თვის შემდეგ მესნერმა თავზე ხელაღებული იდეაც განახორციელა - იდეა, რომელმაც ნანგა პარბატზე პირველად ყოფნისას მოსვენება დაუკარგვინა: ნანგა პარბატი - "სიკვდილის მთა", "საშინელებათა მთა", როგორც მას უწოდებენ, მარტოს, აქამდე გაუვლელი დიამარის კედლით უნდა აევლო. თავზე ხელაღებულის ბარგი 15 კილოგრამი იყო. დიამარის კედლიდან კენწერომდე 3 500 მეტრი იყო გასავლელი. მოგვიანებით საკუთარ წიგნში "ნანგა პარბატთან მარტო" მესნერი დაწერს, რომ მწვერვალის დაპყრობაში ყველაზე ძნელი მარტოობის შიშის გადალახვა გამოდგაო. თუმცა, მთელი არსიც ამაში მდგომარეობდა: ნანგა პარბატის დაპყრობით მესნერმა მარტოობის შიში დაამარცხა.

1979 წელს მესნერი ყველაზე ლამაზ და, ამასთან, რვაათასიანებში ყველაზე მკაცრ მწვერვალს K-2-ს, იგივე ჩოგორს (8 611 მ.) დაუპირისპირდა. ახალი მარშრუტით მიზანს ვერ მიაღწია. ასვლით კი მაინც ავიდა, თანაც, ალპურ სტილში - ხუთ დღეში, ოღონდ კლასიკური მარშრუტით, მეწყვილე დ. დაჰერთან ერთ თოკში ჩაბმული. ჩოგორზე ასვლა მესნერმა შედარებით მსუბუქ წინაღობად შეაფასა. თუმცა, ევროპაში დაბრუნებულმა, სხვაგვარად განაცხადა. K-2-ზე ყოფნისას საკუთარი შესაძლებლობის ზღვარს მივაგენიო. მეტიც, ევერესტი-78-ის ექსპედიცია K-2-თან შედარებით წავარჯიშება იყოო.

მოგვიანებით მესნერი საკუთარ შესაძლებლობათა ძიებისთვის, საკუთარი თავის უკეთ შეცნობისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილებას იღებს: 1980 წელს ევერესტს სრულიად მარტო ეკვეთა. სოლო ასვლა ჟანგბადის ბალონების, თოკების, კაუჭების, წინასწარ გამზადებული სადგომების, დამხმარეებისა თუ მხარდამჭერების გარეშე! მესნერი გზას გაუდგა. მაგრამ განა მარტო ეს! ევერესტზე ასვლას ეს ფათერაკის მაძიებელი შეგნებულად მუსონების სეზონს ამთხვევს, ანუ პერიოდს, როდესაც ჰიმალაები მომხდურებისგან ისვენებს. მიუხედავად ამისა, იგი უკან არ იხევს. მალე ჩნდება სენსაციური ცნობა: მესნერმა საარაკო დროში - სამ დღეში ევერესტს ჩრდილო უნაგირის გავლით 20 აგვისტოს მიაღწია. ეს მაშინ, როდესაც სხვა ექსპედიციები იგივეს გაკეთებას ორ თვეს ანდომებენ.

1982 წელს მესნერი ჰეთ-თრიკს ასრულებს. ადის კანჩენჯანლაზე (8 586 მ.), გაშერბრუმ II-ზე (8 035 მ.) და ბროუდ-პიკზე (8 047 მ.). ერთი წლით ადრე შიშა პანგმაც (8 046 მ.) "მოინახულა". მაგრამ არც ამით კმაყოფილდება. 1983 წელს იგი კვლავ ეწვევა ჰიმალაის მიხაელ დაჰერთან და ჰანს კამერლანდერთან ერთად. მიზანი: ჩო ოიუს (8 201 მ.) ნაწილობრივ ახალი მარშრუტით, სამხრეთ-დასავლეთ კედლით დაპყრობა. ახირებული მისია ისევ შესრულებულია. ამ დროისთვის მესნერს უკვე ათი რვაათასიანი მწვერვალი ჰქონდა დაპყრობილი. რჩებოდა ოთხი: ანაპურნა (8 091 მ.), დჰაულაგირი (8 167 მ.), მაკალუ (8 463 მ.) და ლჰოცე (8 516 მ.). მიაჩნდათ, რომ თითოეულის დაპყრობა მესნერისთვის მხოლოდ დროის საკითხი გახლდათ. ისიც ნათელი იყო, რომ მესნერის შეჩერება თავად მესნერსაც აღარ შეეძლო. მართლაც, იტალიელი მთამსვლელი იღებს გადაწყვეტილებას, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. შეჩერება მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ამასთან, ყველა მას შეჰყურებდა. მესნერმაც სრული კონცენტრაცია დარჩენილი ბუმბერაზებისკენ მიმართა. ამისთვის მიუნხენში გამომავალი ჟურნალის "ალპინიზმის" გამომცემლის თანამდებობაც მიატოვა და ზურგჩანთით ანაპურნას მიადგა. 1985 წელი იყო. მწვერვალის დასაპყრობად საკმაოდ რთული - ჩრდილო-დასავლეთი მარშრუტი შეარჩია, ამასთან, ექსტრემალური პირობებით. ისევ გამარჯვება!. საბაზოსკენ მიმავალი, დჰაულაგირის ბილიკებს ვირტუალურად ამუშავებდა, რაც მალე რეალობად აქცია. 1986 წელს მაკალუ და ევერესტს "შეამხანაგებული" ლჰოცეც დალაშქრა. ერთი სიტყვით, რაინჰოლდ მესნერმა განახორციელა ის, რაზეც 1982 წლიდან ოცნებობდა. 42 წლისამ დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი თავის "ჭკუაზე მოიყვანა".

მაშინ მესნერის გიჟური იდეა ბევრს არასერიოზულად მიაჩნდა. და მაინც, რითი შეიძლება აიხსნას მესნერის წარმატებათა ფორმულა? ამაზე ყველას თავისებური მოსაზრება აქვს, ისევე როგორც თავად მესნერს: "თუკი შევძელი, რომ თოთხმეტივე რვაათასიანზე ავედი და ცოცხალი დავრჩი, ეს იმიტომ, რომ ყოველთვის ვიცოდი, როდის უნდა შეეჩერებულიყავი; ყოველთვის ვგრძნობდი, სად იყო დიდი რისკის საშიშროება. მარცხიც განმიცდია და ჰიმალაის ექსპედიციებში 11-ჯერ უკანაც დამიხევია. ამიტომაც გადავრჩი".

11-ჯერ უკან დახევა. ესეც თავისებური რეკორდია. საიდანაც უკან არასდროს დაუხევია, ეს მაკალუ, დჰაულაგირი, ლჰოცე, ჩო ოიუ და ნანგა პარბატია. მესნერს მარტო მთები არ აინტერესებდა. 1990 წელს ანტარქტიდისკენაც გაუწია გულმა და აქაც თავისებური რეკორდი დაამყარა. მესნერი გახდა პირველი, ვინც ყინულოვანი კონტინენტი ფეხით (92 დღეში) გადასერა.

კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად, ბევრისთვის კი სამაგალითოდ, ხშირად დაუდანაშაულებიათ კიდეც. ერთნი ფიქრობენ, რომ მესნერი ახალგაზრდობისთვის ცუდი მაგალითია, რადგან ისინი, ვინც მას ბაძავენ, თავს საფრთხეში იგდებენ. მიაჩნიათ, რომ მესნერმა პასუხი უნდა აგოს იმათ სიცოცხლეზე, ვისაც მესნერის მსგავსი შესაძლებლობები არა აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკუთარი კერპის ნაკვალევს მარტოდმარტო, ჯიუტად, ბრმად მიუყვებიან. თუმცა, "ყველა დროის მთამსვლელი" (მესნერს ხშირად ამ ეპითეტითაც ამკობენ) სხვა მხრივაც მისაბაძია: ბუნების თავგადაკლული დამცველი 40-ზე მეტი წიგნის ავტორიც გახლავთ. ამჟამად რაინჰოლდ მესნერი ევროპარლამენტის წევრია.

ფორმულა 1

# რა დაგემართა, "ფერარი"?

ფორმულა 1-ში დიდი ამბებია. ულამაზეს მონაკოში გავრცელდა ხმები პილოტებისა და გუნდების ახალი ალიანსების თაობაზე. ყურადღების ცენტრში, ბუნებრივია, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის მომავალია. ამბობენ, რომ "ფერარისა" და გერმანელი პილოტის შემდგომი თანამშრომლობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის. თუმცა, როგორც ვილი ვებერი ამბობს, მსოფლიო ჩემპიონი რბოლებისგან კვლავ დიდ სიამოვნებას იღებს. ეს ერთადერთი არგუმენტია, რაც შუმახერს ფორმულა 1-ში აჩერებს და "ფერარიც" სწორედ ამ არგუმენტით ცდილობს, დააშშმინოს ცნობისმოყვარე პრესა. ასეა თუ ისე, სრულიად ნათელია, რომ მიხაელ შუმახერის გადაწყვეტილებაზე ბევრად არის დამოკიდებული პილოტთა ბაზრის მდგომარეობა. იტალიური გაზეთები მაინც ვერ ისვენებენ და "ფერარიში" შუმახერის მემკვიდრედ კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას ასახელებენ. მონტოია სკუდერიასთან ყოველგვარ მოლაპარაკებას უარყოფს. გერმანულმა პრესამ კი გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს შუმახერმა "ფერარისთან" ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ამ მითქმა-მოთქმის ფონზე, ბუნებრივია, აბეზარმა რეპორტიორებმა შეკითხვებით აიკლეს ნორბერტ ჰაუგი, ფრენკ უილიამსი და "ფერარის" წარმომადგენლები. შეკითხვაზე კი კონკრეტულ პასუხს არავინ იძლევა. გუნდების ბოსები იფარგლებიან მხოლოდ განცხადებით: პილოტების გადასვლებზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

ამასობაში ძალიან საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ფორმულა 1-ის წლევანდელ ჩემპიონატზე. თავისი პარტნიორისგან განსხვავებით, "მაკლარენის" პილოტი დევიდ კულტჰარდი შთამბეჭდავი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. თუმცა, შოტლანდიელს სჯერა, რომ დაკარგული არაფერია. "ჩემპიონის საკითხი ჯერ ღიად რჩება. ვერ ვიტყვით, რომ ამ ეტაპზე რომელიმე პილოტს აშკარა უპირატესობა აქვს. გამარჯვებას ყველაფრის შეცვლა შეუძლია, თუმცა, მე ჯერჯერობით ჩემი მიღწევებით საზოგადოებას ვერ ვიზიდავ, - აღიარებს კულტჰარდი, - ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია კანადაში საკვალიფიკაციო რბოლებში წარმატება, რადგან ჩემი სისუსტის მიზეზი სწორედ კვალიფიკაციებზე წარუმატებლობაა". კულტჰარდის პრობლემები ნათელია, მაგრამ საერთაშორისო პრესისა და სპეციალისტთა ყურადღება მაინც მონაკოს გრან-პრისკენ იყო მიპყრობილი. პრესა ერთხმად აქებდა ხუან პაბლო მონტოიას. ამავდროულად, გაოცებას ვერ ფარავდა "ფერარის" არადამჯერებელი გამოსვლის გამო.

**"Cazzetta dello Sport" (იტალია):** "მონტოია მონაკოს ახალი პრინცია, შუმახერი კი - მხოლოდ მესამე. "ფერარი" სტრატეგიაში ჩაიჭრა და იძულებულია, მძიმე მარცხს შეეგუოს. ამაში დამნაშავეა ან საბურავი, ან "უილიამსისა" და "მაკლარენის" პროგრესი. "შუმი" იძულებული იყო, დათანხმებოდა: "ამჯერად ჩვენ საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ვიყავით".

**"Corriere dello Sport" (იტალია):** "შუმისთვის" მსოფლიო ჩემპიონატი სულ უფრო რთულდება. თუმცა, ბარიკელოსგან განსხვავებით, რომელმაც უინტერესო რბოლა ჩაატარა, შუმახერი მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა. ამ საქმეში მას მაინცდამაინც არ გაუმართლა".

**"Tuttosport" (იტალია):** "იმედგაცრუებული შუმახერი აღიარებს, რომ მან ვერაფერი გააწყო. ნეგატიური შედეგი მხოლოდ საბურავების ბრალი არ არის. მსოფლიო ჩემპიონს ისევ ავიწროებენ".

**"La Repubblica" (იტალია):** "ფერარი", რა დაგემართა? ახალი "ფერარი", რომელსაც პრობლემები არა აქვს, უცებ სირთულეებს გადაეყარა. შუმახერი მესამეა, ბარიკელო - მერვე. ამას მოველოდით სუპერ-ფერარისგან?"

**"Corriere dello Sera" (იტალია):** "ფერარიმ" ხელიდან გაუშვა რბოლა, რომელშიც მას ლიდერის პოზიციის დაკავება შეეძლო. წარუმატებელმა კვალიფიკაციამ და სტრატეგიულმა შეცდომებმა ყველა გეგმა ჩაშალა".

**"El Tiempo" (კოლუმბია):** "ავტოსპორტის ასეთ მაგიურ ადგილზე გამარჯვება მონტოიას გრემ ჰილის გვერდით აყენებს. დღემდე მხოლოდ ამ ორმა პილოტმა მოახერხა მოეგო

**ვეძებთ ოჯახი**

დაიკარგა სკლეროზით დაავადებული 60 წლის მამაკაცი. მეტყველება და ორიენტაცია პრაქტიკულად დაკარგული აქვს. მოსალოდნელია უცნაური ქცევა. არის საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილი, მელოტი, რამდენიმე დღის გაუპარსავი. აცვია შავი შარვალი, ნაცრისფერი კოსტუმი, მუქი ლურჯი პერანგი და უკეთია მოყვითალო ჭრელი ჰალსტუხი. შეიძლება გადაკიდებული ჰქონდეს ცისფერი ჩანთა და ეხუროს შავი ნაქსოვი ქუდი.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე **53-75-82** ან მობილურზე **8(77)45-84-05.**

თუ გაქვთ შესაძლებლობა, გთხოვთ მიიყვანოთ ვაჟა-ფშაველას II კვარტლის I კორპუსში, მილიციის განყოფილებაში


**განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:**

**კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:**

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებული მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,ნაბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)


## აფიშა

### თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
მარნეულის თეატრი
პრემიერა "აუდიენცია, წასვლამდე", რეჟ. კოტე აბაშიძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"და სიმღერით ვკვდები", რეჟ. მერმან ჭინორია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ახალგაზრდები", რეჟ. დიმა ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### კლუბები

**კლუბი „16 რაუნდი„**
ფესტივალი "საუკუნე 20 დღეში"
"ლათინო ფართი"
დას: 22:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**შარდენი**
ოლეგ გონაკიძის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების მუზეუმი**
ია არსენიშვილის ნამუშევრების გამოფენა, (ბატიკა)

**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჯუჯა ცხვირა"
დას: 11:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 13:00; 14:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 6-10 ლარი

**„რუსთაველი„**
"მაუგლი"
დას: 15:00; ფასი 5 ლარი
"X მენი"
დას: 17:00; 22:00 სთ; ფასი 7,9 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 19:30 ფასი 5 ლარი
**გერმანული ფილმების კვირეული**

**„ელიზო„**
"პოლიციელი ქალი", რეჟ. ანდრეას დრეზენი; როლებში: გაბრიელ მარია შმიდე, აქსელ პრალი და სხვ.
დას: 13:00 სთ; ფასი 1 ლარი
"ინგლისი", რეჟ. ახიმ ფონ ბორისი; როლებში: მერაბ ნინიძე, ივან შვედოფი და სხვ.
დას: 16:00; 21:00 სთ; ფასი 1 ლარი
"არსად აფრიკაში", რეჟ. კაროლინ ლინკი, როლებში: მერაბ ნინიძე, იულიანე ქიოლერი, მათიას ჰაბიხი და სხვ.
დას: 18:00 სთ; ფასი 1 ლარი

**კინოს სახლი**
"ღამის წარმოდგენები" (ორიგინალური ვერსია), რეჟ. ანდრეას დრეზენი
დას: 18:00 სთ; ფასი 1 ლარი
"ნახევარი კიბე" (ორიგინალური ვერსია), რეჟ. ანდრეას დრეზენი
დას: 21:00 სთ; ფასი 1 ლარი

## TV პროგრამა 4 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ.ფილმი „ბარტოხელა გმირი“ მთ. რ-ში: ლუ დაიმონდ ფილიპსი.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
10.10 მუსიკალური ფესტივალი გერმანიაში
10.40 მხ. ფილმი „სამნი ნავში ძალლის გარეშე“
11.45 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები“
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „ტყის მცველები“
15.15 მხ. ფილმი „სამანტა“
16.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი“
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“
18.30 გასტრ-გუგუ
18.50 „ისტორიანი“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.55 „მათი ფვილები“
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება?!“
23.55 მხ. ფილმი „მახე“.

### პირველი სტერეო

07.00 ევანგელური ეკლესიის მიმდევართათვის
08.00 ტორონტო
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „პირველი შეხედვით“ მთ.რ-ში დენ კორტეზე.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 „გრავო“ „დები ია-ია-ს ღვთაებრივი საიდუმლოებანი“ მთრ-ში სანდრა ბალოკი.
01.40 „ღამურა“ „ულმოგელი“ მთრ-ში ლეო როსი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 ჩვენი მისამართია
21.00 და არს მუსიკა
21.30 ფილმი „ოქროს იუბილე“
22.10 მხ. ფილმი „ივანე ჯოტორავშვილის ამბავი“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი“
13.30 მხ. ფილმი „რენეგატორი“
15.00 მხ. ფილმი „უჩინარი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „სახიფათო ჩაძირვა“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ბანრისხეგული ანგელოზი“
22.30 მხ. ფილმი „პაროლი ხმალთევზა“

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „გამოუსწორებელი თალლითები“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „ქალის ხვედრი“
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 გუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „გლეფი“
22.00, 23.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „დეტროიტი 9000“
01.30 ღამის ფილმი

### მესხრე არხი

08.00 პრობრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.30 მულტფილმი „ვიზიონერები“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
12.00 „ცხელი ცხრიანი“
12.45 მხ. ფილმი „ბანადგურების პროცესი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ევროპის სტადიონებზე“
15.10, 16.20, 17.55, 18.50, 19.50, 20.20, 22.10 მუსიკა
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტფილმი „ვიზიონერები“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ევროპის სტადიონებზე“
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.20 „ტელემეტრი“
22.30 მხ.ფილმი „წარსულსა და მომავალს შორის“
00.20 კლასიკა
00.35 მხ. ფილმი „საიდუმლო მკვლელობა მანჰეტენზე“.

### იმედი

08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59, 20.59 ქრონიკა
09.00 „უცერემონიოდ“ (განმ.)
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 ლარის მახე
11.00 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“
12.05 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.05, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 მძაფრსიუჟეტიანი კინო „მაბარი პოლიციელი“
17.30 „ერთხელ ჰოლივუდში“
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 არტ-გულვარი
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.45 „უცერემონიოდ“
23.20 სერიალი „ერთგული უშიშროების აგენტი“
00.30 ფანების კინოკლუბი „შინაური ცხოველთა მაძებარი“.

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ფანტასტიკა „ოდისეა“ 1 ს.
10.40 მუსიკა
10.50 დოკუმენტური ფილმი
12.10 მხატვრული ფილმი „სიყვარული შეტყობინებით“
14.35 კომედია „ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი
17.00, 19.35 მუსიკა
17.30 „ქართული კინო“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30, 22.40 „პრესდაიჯესტი“
20.10 სათავგადასავლო ფილმი „ბლანში“
22.50, 01.00 მუსიკა
23.00 „ალტერნატივა“
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.10 ფანტასტიკა „ასტრონავტის ცოლი“
03.30 ისტორიული ფილმი „მეფური წყალობა“

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
11.00 მელოდია -
11.20 კომპიუტერული ტექნიკა
12.00 „ბიორიითმი“ - .
12.20 მოგილურები
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 კომპიუტერული თამაშები
13.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.50 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 სპორტული პრობრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 კომპიუტერული თამაშები
21.10 ლა-ლა-ლა“
22.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.40 „კინოკლუები „ - „სიკვდილი მას უხდება“. კომედია.
00.40 სპორტი
00.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.15 „ბიორიითმი“ - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Худ.фильм „По ту сторону волков“
12.05, 17.30, 00.55 „Фабрика звезд 2“
12.35 Дисней-клуб: „Плойд в космосе“
13.15 Комедия „Теща“
14.40 „Непутевые заметки“
15.00 „Русский экстрим“
15.30 „Тайны забытых побед“. „Засекреченный рекорд“
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Сами с усами“
21.00 „Слабое звено“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „По ту сторону волков“
23.45 Док.фильм „Особенности национального футбола“
01.10 „Новые чудеса света“. „Вена. Призраки старого города“
01.40 „Гении и злодеи“
02.10 „Апология“
03.10 Боевик „Операция „Медуза“, ч.1

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45, 21.55 Сериал „Главные роли“
10.40, 22.55 Сериал „Госпожа Победа“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Сериал „Проклятие древней гробницы“
14.15, 17.45 „Экспертиза“
14.30 „Москва-Минск“
14.45 Вести - Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.15, 04.50 „Агентство одиноких сердец“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 03.40 „Дорожный патруль“
19.05, 00.30 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
00.00 Ток-шоу „Вести+“
00.40 Худ.фильм „Часы без стрелок“
02.55 „Кинескоп“. Каннский кинофестиваль
04.00 Сериал „Твин Пикс“

### НТВ

07.00 „Утро на НТВ“
09.45 Сериал „Сокровища мертвых“
11.00 „Сегодня утром“
11.25 Док. драма „Преступление и наказание“
12.00 „Кулинарный поединок. Петербург - Самара“
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10 „Сегодня“
13.35 „Страна Советов“
14.40 Детектив „Поворот ключа“, 3 с.
15.45 „Криминал“
16.35 „Принцип „Домино“. „Как бороться с хулиганством?“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 „Чистосердечное признание“
20.35 Сериал „Сокровища мертвых“
21.45 Сериал „Дальнобойщики. Экспедитор“
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
00.20 „Живой Пушкин“ с Л.Парфеновым, ч. 3
01.35 „Гордон“
02.35 Сериал „Доктор“

*Программы предоставлены медиаиздательством совместного предприятия "Инфо-Сервис"*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მინის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება „ჩეხური“ გარემონტებული 3-ოთახიანი ბინა 3(9)V მ/რ-ის ბოლოში. ფასი 9 000. 96 78 96

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.108) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარაიძის ქუჩაზე(მ."გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"-ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

ქირავდება სახლი დიდი ეზოთი შუა წყნეთში, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით, აუზით და ყველა პირობით. 22 87 41, 8;87) 57 02 57

## კომერც. ფართი

**ვიქირავებ ფართს სასურსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.**
**ტელ: 95-21-46 დღისით**
**79-44-03 საღამოს ირაკლი.**

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

ქირავდება ფართი საოფისედ ან კომერციული საქმიანობისათვის პეკინის 23-ში. 61 86 13

## მანქანები

იყიდება „აუდი-100“, 1994 წლის, ახალი ჩამოყვანილი, საუკეთესო მდგომარეობაში, განუბაჟებელი. 8(93) 32 65 72, 79 37 36

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავა, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

აბიტურიენტთა და გერმანიაში წამსვლელთათვის ის გერმანულ ენაში მეცადინეობა ინტენსიური მეთოდით. 20 ივნისიდან. ტელ: 893 215688

## სხვადასხვა

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

ვამზადებ ფინური ტიპის სახლებს. 893 334186.

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. ტელ: 53-64-41.

ფუნქციონირებს მოსწავლეთა ბანაკი თბილისის ზღვაზე 09.00-დან 17.00 საათამდე. ორჯერადი კვებით. 95 32 42, 95 18 49, 95 00 56 მერი სვანიძე

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

# პოპკორნი, საჯარო ბიბლიოთეკა და მოდა

## ამერიკული მოდის გამარჯვებულები

*დადგა დრო, როდესაც ამერიკული პოპ-კულტურის მთავარ ინგრედიენტად მოდა იქცა. ნიუ იორკში გამოზრდილი დიზაინერები ცდილობენ საღამოს კაბებსა და ყოველდღიურ ტანისამოსს ამერიკული ხელოვნების "ექსპორტიორის" როლი დააკისრონ, რათა ბოლოს მოდაც ისეთივე ამერიკულ სიმბოლოდ ჩამოყალიბდეს, როგორც მიკი მაუსია.*

რა შემთხვევაში იქცევა ხოლმე წიგნებით სავსე ბიბლიოთეკა ლხინისთვის განკუთვნილ არენად? იმ შემთხვევაში, თუ მას ორიგინალობის მაძიებელი ცნობილი სახეები დაადგამენ თვალს და თუ საუბარია არა ჩვეულებრივ, არამედ ნიუ იორკის ბიბლიოთეკაზე.

სწორედ ამ შენობაში 2 ივნისის ღამეს, დიზაინერებმა წიგნები მისწიმოსწიეს, დარბაზი სვაროვსკის ბროლის ნათურებით ააციმციმეს, ჯაზი აახმიანეს და გვიანი კლასიციზმის არქიტექტურულ ნაგებობაში სუპერ-თანამედროვე "ფართი" მოაწყვეს. 1911 წელს აგებული, რომაულ-ბერძნულ სტილში გადაწყვეტილი ბიბლიოთეკაც, თუ მანამდე ცათამბჯენებით სავსე ქალაქს ძველებურ იერს აძლევდა, იმ საღამოს ჰოლივუდური ტიპის დაწესებულებად იქცა.

მაღალი მოდის წვეულებაზე ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭომ თავისი სფეროს "ოსკარები" დაარიგა და წლის საუკეთესო დიზაინერი, წლის ახალი სახე, ფეხსაცმლის დიზაინერი და კიდევ სპეც-ჯილდოების მფლობელები გამოავლინა.

საღამოს ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ნიკოლ კიდმანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას სასწრაფოდ ლოს ანჯელესში, გადასაღებ მოედანზე დაბრუნება მოუხდა. რის შემდეგაც წვეულების მთავარი "ღირსშესანიშნაობა" პოპულარული სერიალის "სექსი დიდ ქალაქში" ვარსკვლავი სარა ჯესიკა პარკერი გახდა. ფილმების – "საათებისა" და "დოგვილის" გამოსვლის შემდეგ ძალზე პოპულარული კიდმანი ხომ შეთავაზებებს შეთავაზებებზე იღებს. ის ამჯერად ფილმზე Human Stain მუშაობს. ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში კი მისი კუთვნილი პრიზი – "მოდის კერპი" – ლორენ ბაკალმა ჩაიბარა. ბაკალმა, რომელიც ამ ჯილდოს თავადაც ფლობს, განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია კიდმანის სამუშაო ეთიკითა და მოდური ალღოთი. თურმე, ყველას აოცებს ის ფაქტი, რომ დილის 6 საათზე გადასაღებ მოედანზე მისული კიდმანი უმაკიაჟოდაც კი მშვენივრად გამოიყურება. "ხანდახან მშურს კიდეც მისი", - იხუმრა ბოლოს მსახიობმა, რომელიც კიდმანთან ერთად ორ ახალ ფილმში თამაშობს.

მერე კი უმთავრესი პრიზის გაცემის დროც დადგა: წლის საუკეთესო ქალთა დიზაინერად გამოაცხადეს ნარსისო როდრიგესი, მოდელიერი, რომელიც სწორედ სარა ჯესიკა პარკერსა და სალმა ჰეიეკს აცმევს. აღსანიშნავია, რომ როდრიგესი უკვე მეორე წელია, ამ ჯილდოს იღებს. ის მოდის ექსპერტებს თავისი დახვეწილი, სხეულის ფორმების გამომკვეთი კაბებით ხიბლავს.

სიმბოლური იყო ის, რომ წვეულებაზე ეს საპატიო ჯილდო დიზაინერს საკუთარმა მაესტრომ – კელვინ კლაინმა და ქალმა-მუზამ სარა ჯესიკა პარკერმა გადასცეს. აცრემლებულმა როდრიგესმა ისეთი პათეტიკური სიტყვა წარმოთქვა, რომ გული დარბაზსაც აუჩუყა. ის იგონებდა, თუ როგორ მიატოვა კელვინ კლაინის მოდის სახლი დამოუკიდებელი ხაზის გასახსნელად. მაშინ კლაინს უთქვამს, რომ მოდის ბიზნესში დამკვიდრება ძალზე რთულია და რომ ნამდვილი წარმატება ძალზე იშვიათად მოდის. "თუმცა, ამ მკაცრი გაფრთხილებიდან რამდენიმე ხანში კლაინი მოვიდა და მითხრა, რომ მე საქმე გამომდიოდა და თან ძალიან კარგადაც", - ჰყვებოდა და თან ცრემლად იღვრებოდა როდრიგესი. ალბათ, სენტიმენტალურ დიზაინერს არ სწყენია ის, რომ მისმა საყვარელმა მოდელმა – სარამ წვეულებაზე მისი კაბა არ ჩაიცვა. არადა, პარკერმა ორსაათიანი ცერემონიალის განმავლობაში ჩაცმულობა ოხჯერ შეიცვალა. საჯარო ბიბლიოთეკაში ოსკარ დე ლა რენტას კაბით გამოცხადდა, შემდეგ კი ჟიურის სამი თავმჯდომარის – კაროლინა ჰერერას, ვერა ვანგისა და კელვინ კლაინის კაბებს იცვლიდა. თან, სცენაზე ასვლილსას თითოეული კაბის ავტორს საზეიმოდ აცხადებდა. ბოლოს კი დამსწრეებს გაუმხილა, ყველა ის ფეხსაცმელი, რაც დღეს მეცვა, მანოლო ბლაჰნიკის შეკერილი გახლავთო.

სხვათა შორის, გუშინწინდელმა საღამომ ისიც ცხადყო, რომ ამერიკული მოდის ბიზნესი და ჰოლივუდი სულ უფრო ერთგული მეგობრები ხდებიან: დიზაინერთა წვეულებას ხომ ამერიკული კინოს თითქმის ყველა ვარსკვლავი ამშვენებდა, კლერ დეინსის, მარისა ტომეის, ედრიენ ბროდისა და რენე ზელვეგერის ჩათვლით.

მათი გამოჩენა კი ცხადყოფდა იმასაც, რომ "ოსკარის" ცერემონიალის შემდეგ ამერიკულ შოუბიზნესში ყველაფერი ინერციით მიდის – ის მსახიობები, რომლებიც "ოსკარმა" ვარსკვლავებად გარდაქმნა, დიდებას მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ. რა პროფილისა და მიმართულებისაც არ უნდა იყოს წვეულება, მათი გამოჩენა უებარ რეკლამასავით ჭრის. ასე მოხდა მოდის მთავარ საღამოზეც. "ოსკარის" ვარსკვლავები ედრიენ ბროდი და რენე ზელვეგერი ისე მიიღეს, როგორც ყველაზე საპატიო სტუმრებს შეეფერებოდათ.

"პიანისტის" მთავარმა გმირმა ბროდიმ ჯილდო მამაკაცების საუკეთესო დიზაინერად არჩეულ მაიკლ კორსს გადასცა, თან იხუმრა: "დაცვა მკაცრად მექცეოდა, სანამ არ გაიგეს, ვისი პიჯაკი მეცვა, არ მიშვებდნენო". უნდა ითქვას, რომ კორსს გაუმართლა, ამ კატეგორიაში მისი მეტოქეები ხომ რალფ ლაურენი და შონ ქომბსი იყვნენ.

*გამარჯვებული როდრიგესი თავის მუზასთან - სარა ჯესიკა პარკერთან ერთად*

*დაჯილდოებული რედაქტორი ანდრე ლეონი და რენე ზელვეგერი*

*დიზაინერი მარკ ჯეკობსი და კლერ დეინსი*

დანარჩენი ჯილდოები ასე განაწილდა: ფეხსაცმლის საუკეთესო დიზაინერი ბრაიან ეტვუდი გახდა, აქსესუარების საუკეთესო დიზაინერი კი – მარკ ჯეკობსი. "სვაროვსკის" მზა ტანსაცმლისთვის დაწესებული პრიზი ჯეკ მაქკოლომ და ლაზარო ერნანდესმა მოიპოვეს. "სვაროვსკიმ" ისინი სოლიდური თანხითაც დააჯილდოვა და კოლექციებისთვის კომპანიის ბროლის რესურსები გამოყენების უფლება მისცა.

არ დაივიწყეს არც ჟურნალისტები. ჟურნალ "ვოგის" მთავარ რედაქტორს, ანა ვინტურს მოდის ინდუსტრიაში გაწეული ღვაწლისთვის სპეციალური პრიზი გადასცეს, "ვოგის" რიგით რედაქტორს, ანდრე ლეონ ტელის კი – ჟურნალისტიკის ჯილდო. შოუ გაახალისა 90 წლის ოლეკ კასინის გამოჩენამაც. კაცი, რომელიც გრეის კელის, მერილინ მონროსა და ჟაკლინ კენედისთვის კერავდა კაბებს (სწორედ მან შეუქმნა აშშ-ს პირველ ლედის ე.წ. "კამელოტის" სტილი), ღრმა მოხუცებულობის ასაკშიც მხნედ გამოიყურება. მან სპეც-ჯილდო მიიღო და დარბაზს გულწრფელად მოუყვა თავისი ცხოვრების სასიყვარულო ეპიზოდები ჰოლივუდის ლეგენდარულ ქალებთან.

ასე რომ, მოდის ინდუსტრიამ საჯარო ბიბლიოთეკა, მართლაც, სუპერ-თანამედროვე წვეულების არენად აქცია. გუშინწინდელმა საღამომ ცხადყო ისიც, რომ ამერიკული მოდა თანდათან ხდება ამერიკული კულტურული ღირებულებების მთავარი "ექსპორტიორი". ამაზე ზრუნვა ხომ ტომი ჰილფიგერმა, დონა კარანმა, რალფ ლაურენმა და კელვინ კლაინმა ჯერ კიდევ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაიწყეს. მაშინ მათ წამოიწყეს მძლავრი სარეკლამო კამპანია სახელად "მოდა ამერიკისთვის: ივაჭრეთ, რათა გამოხატოთ მხარდაჭერა" და მოსახლეობა დაარწმუნეს, რომ ტერაქტების შემდეგ ჩავარდნილი მოდის ბიზნესის აღორძინებაში საკუთარი წვლილის შეტანა ყველაზე პატრიოტული ნაბიჯი იყო. როგორც ჩანს, ამერიკამ ეს, მართლაც, ირწმუნა და სამამულო ნიშნის სამოსი უკვე მიკი მაუსისა და მაკდონალდსის რანგში აიყვანა. ანუ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შტატებში ახლა ასეთი ფორმულა მოქმედებს: თუ შენ "დონა კარანი" გაცვია, ე.ი. ჭეშმარიტი პატრიოტი ამერიკელი ხარ.

# საათი - მიმდინარე დროის აღმრიცხველი მოწყობილობა

## ძვირადღირებული საათები კლაპტონის კოლექციიდან

ნინო ჭანიშვილი

როდესმე თუ დაგითვლიათ დღეში რამდენჯერ იხედებით საათზე, ან იმის შესახებ თუ გიფიქრიათ როდის, ან ვინ გამოიგონა ჩვენი ცხოვრების მოწიკწიკე ნაწილი.

საათის (მიმდინარე დროის აღმრიცხველი მოწყობილობა) პირველ პროტოტიპად ე.წ. მზის საათი გვევლინება, რომელიც ჩ.წ.-მდე მე-3 ათასწლეულში ეგვიპტელებს გააჩნდათ. უკვე II და I ათასწლეულების მიჯნაზე ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტესა და საბერძნეთში წყლის საათების აგებას იწყებენ და შესაძლებელი ხდება დროის განსაზღვრა დღე-ღამის მანძილზე. დაახლოებით 150 წელს ჩ.წ.-მდე კტესიბიი ქმნის წყლის საათს - იმ საათების პროტოტიპს, რომლებიც ხმარებაში მე-18 საუკუნემდე იყო.

პირველი ცნობა მექანიკური საათის შესახებ VI საუკუნეში ბიზანტიურ ანთოლოგიაში გვხვდება. ზოგიერთი ისტორიკოსი მექანიკური საათის გამოგონებას ვერონელ პაციფიკუსს (IX საუკუნის დასაწყისი) მიაწერს, სხვები – ბერ გერბერს (შემდგომში პაპი სილვესტრ II) თითქოს და მას 996 წელს ქალაქ მაგდებურგისთვის შეექმნას გირებიანი საათი. დანამდვილებით კი ცნობილია, რომ კოშკის მექანიკური საათი მილანში, 1335 წელს ააშენეს; 1348-64 წწ-ში დონდიმ იტალიაში შექმნა საათი, რომელიც დროსთან ერთად მზის, მთვარის და 5 პლანეტის მოძრაობას აჩვენებდა; 1354 წელს სტრასბურგის ტაძარზე დაყენებული იქნა მექანიკური საათი კურანტებით, კალენდრით და მოძრავი ფიგურებით.

მე-14 საუკუნეში გამოჩნდა პირველი მექანიკური საათი გამშვები ტრიალა ტარით, ეს დიდი ნახტომი იყო, თუმცა მათ მხოლოდ საათის ისარი გააჩნდათ და ცდომილება დღე-ღამეში ნახევარ საათს შეადგენდა. დაახლოებით 1510 წელს ნიურენბერგელმა მექანიკოსმა ჰენლეინმა პირველმა გამოიყენა ფოლადის ზამბარა გირების ნაცვლად და შექმნა ჯიბის საათი ტრიალა ტარის მექანიზმით. მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლამ მე-17-ე საუკუნის ბოლოს ჯიბის საათებს წუთის ისარი, ხოლო დაახლოებით 1760 წელს წამების ისარიც აჩუქა.

საათი ცხოვრებისა და ჩაცმულობის აუცილებელი ატრიბუტი ხდება. მას ათავსებენ ძვირფასი ლითონის ჩარჩოებში, რთავენ ემალითა და სხვადასხვა ძვირფასი ქვებით, ამშვენებენ მონოგრამებით, მოკლედ არ იშურებენ ფანტაზიას.

პირველმა მსოფლიო ომმა ჯიბის საათის მოუხერხებლობა გამოაჩინა და მაჯის საათების "შემუშავებას" შეუწყო ხელი. მე-20-ე საუკუნის 20-იან წლებში, მას შემდეგ რაც ჯიბის საათები, ფაქტობრივად ხმარებიდან ამოვარდა, მაჯის საათების წარმოებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. მანამდე საათების მოწინავე ბრიტანულმა მანუფაქტურებმა მოქნილ შვეიცარულ წარმოებებს დაუთმეს ადგილი, რომლებმაც საბოლოოდ მთელი ევროპული ბაზარი დაიპყრეს. ამ დროს ჩნდება ბევრი ახალი საათების მწარმოებელი ფირმა, მაგრამ ძველებმაც, მაგალითად Movado-მ და Patek Philippe-მა მოახერხეს მოდერნიზირება. 30-იან წლებში პირველ ადგილზე გადის Rolex, რომელმაც გამოუშვა პირველი, მთლიანად ავტომატური, წყალგაუმტარი საათები. დღესდღეობით მსოფლიოს საათის მწარმოებელი წამყვანი ფირმების კატეგორიები ასე გამოიყურება:

**I ლიგა**

Patek Philippe; Audemar Piguet; Piaget; Vacheron &Constantin.

**II ლიგა**

Jaeger Le Coultre; Rolex; International Watch Company; Cartier.

**III ლიგა**

Omega; Longines; Baume & Merceir; Ebel; Movado.

რა თქმა უნდა, პრესტიჟული ფირმის საათის ფასი ორმაგად და სამმაგად იზრდება, როცა ესა თუ ის საათი სახელიანი ადამიანის მფლობელობაში იყო. ასეა ამჯერადაც, კრისტის აუქციონი სერიოზულ მოგებას ელის - 5 ივნისს, ნიუ იორკში, როკფელერის მოედანზე ერიკ კლაპტონის მაჯის, ჯიბის და დასადგამი საათების კოლექცია იყიდება. ეს გაყიდვა სხვადასხვა კატეგორიის მყიდველებს მიიზიდავს – მათ ვისაც პოპ-კულტურის და როკის საკულტო პიროვნებების ნაქონი ნივთები უყვართ და იმათაც, ვინც საათების მექანიზმის თვალიერებით დიდ სიამოვნებას ღებულობს.

როკ-მუსიკოსის კოლექციიდან 297 საათი იყიდება, კოლექცია საკმაოდ მრავალფეროვანია, რომელშიც ფრანგული და შვეიცარული მე-18 საუკუნის ოქროს საათებიც შედის.

კლაპტონის კოლექციაში რამდენიმე ათეული Patek Philippe-ის საათია. 1839 წელს დაარსებული კომპანია სხვა შვეიცარული ფირმებისგან განსხვავებით არც ისე ბევრ საათს უშვებს - დაახლოებით, 16 ათას ეგზემპლიარს წელიწადში, ისიც შეზღუდული სერიებით. Patek Philippe-ის საათების ღირებულებას არა გამოყენებული მასალა არამედ, ხელოსანთა – მესაათეთა და დეკორატორთა შრომა წარმოადგენს. ამის შედეგად ზუსტი მექანიზმის ნამდვილი შედევრები იქმნება: იმისათვის რომ ყოველი საათი უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამებოდეს, მექანიზმის ყოველი დეტალი ხელით მზადდება. რასაც შემდეგ 4 კვირის განმავლობაში ტესტირებას უკეთებენ სინქრონულობაზე. Patek Philippe-ის კლენტები იყვნენ დედოფალი ვიქტორია, ალბერტ ეინშტეინი, ლევ ტოლსტოი და ჩაიკოვსკი.

კლაპტონის კოლექციაში Cartier-ეს კლასიკური და ელეგანტური საათებიც არის, რომლის მხოლოდ ლოგოტიპი გონებას უკარგავს ადამიანებს. აღარაფერს ვამბობ "კარტიეს" ფირმის დახვეწილობასა და ძვირფასი თვლების გამოყენების რაოდენობაზე.

5 ივნისს კლაპტონის კოლექციიდან თანამედროვე ეროტიკული შინაარსის შემცველი Value Swisse ფირმის საათიც იყიდება. ჯიბის საათები ეროტიკული სცენებით განსაკუთრებით პოპულარული მე-19 საუკუნეში იყო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საათების წარმოება სასტიკად იკრძალებოდა. ძვირფასი საათების არალეგალური სცენებით დამშვენებისას, მესაათები უმეტესად თავიანთ ნამუშევარზე ხელს არ აწერდნენ. კანონის დამცველები ასეთი საათის პოვნისას, მას იმწუთშივე ანადგურებდნენ. დღეს ასეთ საათებს გამალებით დაეძებენ კოლექციონერები.

ასე რომ, საათების მოყვარულები კრისტის აუქციონზე კლაპტონის კოლექციის მხოლოდ სახელებითაც Patek Philippe, Cartier, Rolex, Chopard, Audemars Piguet, Jaeqer-LeCoultre დატკბებიან, რომლებიც ნიუ იორკში გაიჟღერებს.

***Rolex*** *- საწყისი ფასი 90-100 ათასი დოლარი*

***Patek Philippe*** *- საწყისი ფასი 120 ათასი დოლარი*

***Patek Philippe*** *- საწყისი ფასი 10-15 ათასი დოლარი*

***Value Swisse*** *- საწყისი ფასი 7-9 ათასი დოლარი*

# მაგიით გატაცებული მზეთუნახავი

ანჯელინა ჟოლი



*"ანჯელინა კი შავებშია გამოწყობილი..."*

დღევანდელი ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის, ანჯელინა ჟოლის ძირითადი გასართობი, როგორც ჩანს, საზოგადოების შოკში ჩაგდებაა. მისთვის მთავარია, ყურადღების ცენტრში იყოს, ხოლო რა გზით განახორციელებს ამას, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს: "იყავი ისეთი, როგორიც არავინაა, და ნამდვილად დაგიმახსოვრებენ". ამაში ღამაზმანს გარეგნობაც ხელს უწყობს – მისი კონკურენტი ქალების უმრავლესობა ქერათმიანია, ძალიან "სწორი". ისინი გარემოს დაცვისთვის იბრძვიან, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობენ, ჯანსაღ ცხოვრების წესს უწევენ აგიტაციას. ანჯელინა კი შავებშია გამოწყობილი, ხანჯლებს აგროვებს და მაგიითაა გატაცებული. მას უამრავი სვირინგი ამშვენებს, მათ შორის იაპონურებიც, მაგალითად, მარჯვენა მხარზე "სიკვდილი" აქვს გამოსახული.

ერთი სვირინგის ბედი კი სავალალო აღმოჩნდა: მეორე ქმართან, ბილი ბობ ტორნტონთან განქორწინების შემდეგ 27 წლის ანჯელინამ გადაწყვიტა, რომ წარსული ბედნიერების შესახებ ყოველგვარი მოგონება უნდა წაეშალა. ამისთვის მან მხარზე ამოტვიფრული საყვარელი მამაკაცის სახელი ლაზერული დასხივებით მოიცილა – რომ ყოველდღე სარკეში არ დაენახა.

ანჯელინა ყოველ ინტერვიუში იმეორებს, რომ "ზღვარზე ცხოვრება" მოსწონს: "ყოველთვის ამ წამით ვცხოვრობ. მომავალზე არასოდეს მიფიქრია, გეგმების დაწყობა არ მიყვარს. ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს – ჩემი ცხოვრება, ჩემი სახე, ჩემს გარშემო მყოფი ადამიანები... სხვაგვარად ცხოვრება მოსაწყენად მიმაჩნია".

ერთ-ერთი უკანასკნელი სკანდალი, რომელშიც ანჯელინა გაეხვა, ცოტა განსხვავებული ხასიათისა იყო: დაახლოებით, ერთი წლის წინათ ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ მსახიობს ბრალდება წაუყენა, რომ მან ბავშვი იყიდა! ამ ორგანიზაციის კამბოჯის ფილიალის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ "ეს ბავშვი უპატრონოთა თავშესაფრიდან არ წამოუყვანიათ. კამბოჯაში მრავალი ოჯახი საშინელ სილატაკეში ცხოვრობს და მზადაა, საკუთარი შვილები გაყიდოს". ბავშვისთვის გადახდილი თანხაც კი დაასახელეს – 230 ათასი დოლარი.

უნდა ითქვას, რომ ჟოლის დიდად არ უდარდია. ის "უმუხრუჭო ანჯელინაა", რომელსაც არც აკრძალვები ადარდებს და არც შეზღუდვები. რას იფიქრებდა ჯონ ვოიტი, რომ მისი ასული, რომელსაც მან ანჯელინა ჟოლი, "ლამაზი ანგელოზი" დაარქვა, ასეთი სკანდალური არსება დადგებოდა.

ანჯელინა "ოსკარის" ლაურეატ ჯონ ვოიტის ქალიშვილია. სახელი იმიტომ შეიცვალა, უფრო სწორედ, გვარი იმიტომ მოიცილა, რომ მამამისთან არავის დაეკავშირებინა. მას ისედაც მშვენივრად ჰქონდა საქმე - ლამაზიც იყო, ნიჭიერიც და ბრწყინვალე სამსახიობო განათლებაც ჰქონდა მიღებული: ბევერლი ჰილზის უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, ლი სტრასბერგის ინსტიტუტში სწავლობდა, რომელი ერთი დავასახელოთ...

ანჯელინას დედა, მარჩელინ ბერტრანი, მსახიობი და თავის დროზე ცნობილი მოდელი იყო. ამჟამად ის თავისი ქალიშვილის კარიერას მართავს.

ანჯელინას დებიუტი ჰელ ეშბის ფილმში, "გამოსავლის ძიებაში" შედგა. ფილმის სცენარის თანაავტორი და პროდიუსერი მამამისი იყო, ანჯელინა კი შვიდი წლისა გახლდათ. დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა, და 12 წლის გოგონა უკვე ლი სტრასბერგის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა, პარალელურად მოდელიც იყო და ვიდეოკლიპებში და კინოფილმებშიც იღებდნენ.

პირველი დიდი ფილმი "ჰაკერები" იყო, სადაც ჟოლის ჯონ ლი მილერი, მისი მომავალი მეუღლე უწევდა პარტნიორობას. მაგრამ ჭეშმარიტი აღიარება მსახიობს "ჯეამ" მოუტანა, რომელშიც ის შიდსით დაავადებულ ნარკომანს თამაშობდა. ამ ფილმისთვის ანჯელინა ჟოლის "ოქროს გლობუსი" გადასცეს.

2000 წელმა ანჯელინას "ოსკარი" მოუტანა, ფილმში "გოგონა, რომელსაც შეაწყვეტინეს" მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის.

დღეს კი ანჯელინა ჟოლის დაბადების დღეა – ის 1975 წლის 4 ივნისს, ლოს ანჯელესში დაიბადა.

## შპს "კვარციტი" აცხადებს

ელექტროზეინკლის ვაკანსიას მაღალი ანაზღაურებით:

- მაღალი ძაბვის სპეციალისტი სათანადო კვალიფიკაციით;
- ელექტრონული ტექნიკის სპეციალისტი;
- უცხოური ტექნიკის (CAT, კამაცუს) ელექტრონაწილის სპეციალისტი;
- რუსული და უცხოური წარმოების დიზელ-გენერატორების (CAT, პერკინსის) სპეციალისტი;
- ელექტრონული სასწორების სპეციალისტი.

სასურველია იცოდეს კომპიუტერზე მუშაობა დაფლობდეს ინგლისურ ენას.

მსურველებმა გამოგზავნონ რეზიუმე (CV) ელ. ფოსტით: quartzite_kazreti@yahoo.com

ტელ/ფაქსი:94-29-80 98-98-79 ან საფოსტო ყუთის მისამართზე: ს/ყ 86, მე-8 საფ.განყოფილება, 380008. თბილისი.

## ქროსვორდი



## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.